# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 19 მაისი 2007 №112 (3035) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქვემო ქართლი კლონდაიკია: ოქრო ოქროზე მოდის




რა წელიწადი უდგას რუსთავს: გუშინ ხომ კალათბურთში „აზოტი" გაჩემპიონდა, ხვალისთვის კი „ოლიმპი" იმზადებს საფეხბურთო ტრიუმფს. თანაც, რუსთაველები ამ ორივე პოპულარულ სახეობაში პირველად ხდებიან პირველები. პატარა ნაბიჯი დარჩა რევაზ ძოძუაშვილის „ოლიმპს", რაკილა ქუთაისში სტუმრობს დასუსტებულ „ტორპედოს" და იცის, რომ უნდა მოიგოს. ეს ის შემთხვევა არაა, როცა ამბობენ, გუნდს უმძიმესი ბრძოლა მოუწევს მიზნის მისაღწევადო. რუსთაველთა მდევარი „დინამო" კი „ბათუმს" მასპინძლობს და, წესით, სამი ქულა უპრობლემოდ უნდა მიითვალოს. მოკლედ, დღეს მეთვრამეტე ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურია და აკი ვთქვით, ახალი ჩემპიონის მოლოდინში ვართ...



## ღირსია და ეღირსა!
### აზოტმა ხუთზე და ხუთიანზე იჩემპიონა

რუსთავი თავშია! ბოლოს და ბოლოს, მეხუთე ცდაზე, რუსთაველთა ნატყორცნი ბურთები მეტოქის კალათში უფრო მეტი ჩაეშვა, ვიდრე პირიქით და ფინალში ოთხჯზის დამარცხებული „აზოტი" საქართველოს ჩემპიონი გახდა.

სამართალი მეხუთე ცდაზე გაიჭრა და რუსთავის „აზოტი" უკვე თექვსმეტპირველობამოლეული დამოუკიდებელი საქართველოს მეექვსე ჩემპიონი გახდა: თბილისის „დინამო", თბილისის „ვითა", ბათუმის „ბასკო", თბილისის „სტუ-ჯეოსელი", თბილისის „ავიამშენი" და აჰა, ამ ხუთეულს რუსთავული გუნდიც დაემატა.

ეკუთვნოდათ, ალალი იყოს! დიდხანს იბრძოლეს და საწადელსაც მიაღწიეს.

## რუსების ნუღარ გეშინიათ!
### ვიზა ვიზერისგან: ევროპა თქვენია



„2009 წელს თბილისი ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ეს უკვე გადაწყვეტილია" — თქვა გუშინ საქართველოში სახელდახელო ვიზიტით ჩამოსულმა ევროპის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა მარიუს ვიზერმა, რომელმაც ქართულ მხარეს ტურნირის საორგანიზაციო საკითხებში დახმარება აღუთქვა და იქვე დასძინა, ტექნიკური უზრუნველყოფაც ჩვენზე იყოსო.

ევროძიუდოს თავკაცმა შარშანდელი საკლუბო ჩემპიონატის ფინალიც გაიხსენა და, როგორც შეეძლო, თავიც იმართლა. გაგახსენებთ: მაშინ საკლუბო პირველობის გადამწყვეტი შეხვედრები სპორტის სასახლეში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ რუსეთის ძიუდოს ფედერაციის მოთხოვნით, ვიზერმა და მისმა ფედერაციამ ტურნირი ბუდაპეშტში გადაიტანეს.

„ორი წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონატს ვერც რუსების პროტესტი წაგვართმევთ და ვერც სხვა მიზეზები. საქართველო ძიუდოს ქვეყანაა და მსგავსი რანგის შეჯიბრების მასპინძლობის უფლებას ულაპარაკოდ იმსახურებს" — დასძინა ევროფედერაციის პრეზიდენტმა.

# ვილაპარაკოთ ფაქტებით

## ილია კოკაია: ჩამოვედი და ჩამოვედი...



„ზესტაფონის“ პრეზიდენტი ილია კოკაია დაახლოებით წელიწადნახევარი საქართველოში იშვიათად იყო და საკლუბო საქმეებს ძირითადად უცხოეთიდან ხელმძღვანელობდა. ახლა კი აქ არის და კლუბთან ერთად 26 მაისის საქართველოს თასის ფინალისთვის ემზადება. „ზესტაფონი“ ზედიზედ მესამედ ითამაშებს ფინალში და, როგორც კლუბის პრეზიდენტი ამბობს, სწორედ ამ მატჩის შედეგზე იქნება დამოკიდებული, როგორი ტემპით განვითარდება „ზესტაფონი“...

იქამდე კი ილია კოკაია ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებს დაესწრო, თავისი არჩევანიც გააკეთა და, როცა ამ ამბავზეც ვკითხეთ, საკმაოდ საინტერესო პასუხიც მოგვცა. თუმცა თავიდან, ცხადია, მისი უცხოეთში ხანგრძლივად ყოფნის მიზეზით დავინტერესდით...

— პირადი საქმეები მქონდა, თუმცა საქართველოში იმ პერიოდშიც ჩამოვდიოდი ხოლმე. „ზესტაფონს“ კი ჩემი ყურადღება არც უცხოეთიდან აკლდა. კლუბის მომავალზე იქაც ვფიქრობდი.

**— ახლა ჩამოხვედით და ჩამოხვედით?**

— დიახ, ახლა საქართველოში ვარ, თუმცა ისიც ნუ გაგიკვირდებათ, ხანდახან ისევ უცხოეთში რომ წავიდე. ერთ-ორ დღეში, მაგალითად, ჩემპიონთა ლიგის ფინალზე დასასწრებად ათენში მივდივარ.

**— თქვენი კლუბის საქმეები როგორაა?**

— კარგად. საქართველოს თასის ფინალისთვის ვემზადებით და სადღეისოდ მთელი ყურადღება სწორედ 26 მაისისკენ გვაქვს მიმართული.

**— „ზესტაფონში“ რამე სერიოზულ ცვლილებებს უნდა ველოდოთ?**

— თასის ფინალამდე ერთი კვირა დარჩა და, როგორც გითხარით, ახლა მთლიანად ამ მატჩზე ვართ კონცენტრირებულნი. როგორი შედეგიც გვექნება, ცვლილებებიც შესაბამისი მოხდება.

**— „ზესტაფონმა“ რომ მოიგოს, იმ შემთხვევაში რა იქნება?**

— ალბათ, სერიოზულად გავძლიერდებით, რამდენიმე ფეხბურთელს დავიმატებთ...

**— უფრო კონკრეტულად?**

— ჯერ სხვას ვერაფერს გეტყვით.

**— თუ „ზესტაფონმა“ ფინალში ისევ წააგო?**

— წარუმატებლობის მიზეზებს გავარკვევთ და ვეცდებით, მომავალი სეზონისთვის უკეთ მოვემზადოთ. თუმცა ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ ვარაუდებია და სჯობს, გეგმებზე 26 მაისის შემდეგ ვისაუბროთ.

**— ამასობაში კი „ზესტაფონმა“ საევროპო ლიცენზია მიიღო...**

— დიახ, ლიცენზირება გავიარეთ და ევროტურნირებზე თამაშის უფლება გვაქვს. თუმცა, ვცდილობთ, ჩვენი ინფრასტრუქტურა კიდევ უფრო მოვაწესრიგოთ. სტადიონის უკეთ მოწყობაც გვაქვს გეგმაში, მაგრამ ჯერ სწორედ სტადიონის პატრონის ვინაობაა გასარკვევი.

**— ფეხბურთის ფედერაცია, როგორც გავიგეთ, მომავალი სეზონიდან სახელმწიფოსთან ერთად სტადიონების მოწესრიგებისთვის დიდ სამუშაოებს იწყებს...**

— ძალიანაც კარგი იქნება, თუ ასე მოხდება. მიმაჩნია, რომ ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი, მძლავრი სპონსორი სწორედ სახელმწიფო უნდა იყოს, სხვანაირად ფეხბურთს განვითარებას მინიმალური შანსი ექნება.

**— ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებს როგორ კომენტარს გაუკეთებთ?**

— ზუსტად არ ვიცი, რა და როგორ იყო, ფაქტი კი ის არის, რომ გიორგი ნემსაძემ პრეზიდენტობა აღარ ისურვა და ისევ ნოდარ ახალკაცი ავირჩიეთ.

**— თქვენი აზრით, ნემსაძემ პრეზიდენტობა რატომ აღარ ისურვა?**

— ვერ გეტყვით, ეს თავად გიორგის ჰკითხეთ. ათასი ვერსია ისმის, მაგრამ ვერსიებს ვერ გამოვეკიდებით, რაც ფაქტია, თვალიც იმას უნდა გავუსწოროთ. ზოგადად კი, ახალკაცისთვისაც და ნემსაძისთვისაც ცუდია, ამ საქმეს ამხელა რეზონანსი რომ მოჰყვა.

**— ნემსაძე აიძულეს, პრეზიდენტობაზე უარი ეთქვაო...**

— და სახელმწიფოს მხარდაჭერა არ ჰქონდაო. მოდით, მაშინ გავიხსენოთ, მთელი 15 წელიწადი რას ვლაპარაკობდით. ფეხბურთს სახელმწიფო უნდა დაეხმაროსო. აი, მოვიდა სახელმწიფო ფეხბურთში და ახლა რა გვსურს? ხომ არ შეიძლება, ყველაფერი პირად ამბიციებს გადააყოლო?! ფიფას საპრეზიდენტო არჩევნებში ზეპ ბლატერმა ერთი, „კოკა-კოლასთან“ გასაფორმებლად გამზადებული კონტრაქტის წარდგენით გაიმარჯვა. ბლატერის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში „კოკა-კოლა“ უდიდეს ფულს გამოდიოდა და სწორედ ეს გამოდგა უმნიშვნელოვანესი ბლატერისა და მისი კონკურენტების ბრძოლაში. ბლატერმა, ფაქტობრივად, ერთი კონტრაქტით მოიგო ფიფას არჩევნები.

**— კი, მაგრამ, ჩვენი ფედერაციის არჩევნები ნემსაძემ მოიგო...**

— მაგრამ ის გადადგა. ეს არის ფაქტი და, მოდით, ფაქტებით ვილაპარაკოთ. ფაქტია ისიც, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სახელმწიფოსგან დიდი მხარდაჭერა აქვს და ეს თუნდაც ნაკრების მწვრთნელად კლაუს ტოპმიოლერის დანიშვნით გამოიხატება. იცით, უცხოეთში ყველგან ვამაყობ, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ტოპმიოლერია და ყველამ კარგად იცის, რა დონის სპეციალისტია ის.

**— საქმე მხოლოდ მწვრთნელის დანიშვნაა?**

— ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, როგორც ვიცი, უკვე მზადაა და, ვფიქრობ, ამ პროგრამის რეალურ შედეგს ქართული საფეხბურთო სამყარო მალე დაინახავს.

**კობა ინასარიძე**

# მე ისევ ვიბრძოლებ

## კვარაცხელიამ სანთელი შეინახა



„სანთელი მაქვს, მაგრამ აღარ ავანთებ, ამ სანთელმა თავისი საქმე უკვე გააკეთა“ — ასე დაიწყო თავისი მორიგი პრესკონფერენცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის ან უკვე ყოფილმა კანდიდატმა მამუკა კვარაცხელიამ. იგი ფედერაციის ძველ-ახალი პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის ყველაზე ხმაურიანი ოპონენტია და სანამ სათქმელზე გადავიდოდა, ჟურნალისტებს დაგვპირდა, აწი აღარ შეგაწუხებთ, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდება, რომ თქვენ მოგიწევთ ჩემი შეწუხებაო. პრესკონფერენცია კი კვარაცხელიამ, ცხადია, რიგგარეშე ყრილობით დაიწყო...

— ყრილობამ დაუშვა უდიდესი შეცდომა და დაარღვია წესდება. ყრილობას არ დაუკმაყოფილებია კანონიერი გზით არჩეული პრეზიდენტის გიორგი ნემსაძის განცხადება გადადგომის თაობაზე. ასევე არ დაკმაყოფილდა არჩეული ალმასკომის წევრთა განცხადებები. შეგიძლიათ, არქივში ნახოთ 2005 წლის 11 ივნისის ყრილობის ოქმი, სადაც პირველ საკითხად მაშინდელი პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას გადადგომის შესახებ განცხადება განიხილეს. ასეთი რამ გუშინდელ ყრილობაზე საერთოდ არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, ნოდარ ახალკაცის მეორე ვადით გაპრეზიდენტება ან არალეგიტიმურია, ან ფედერაციას ორი პრეზიდენტი ჰყავს.

— ძალიან გამაკვირვა გიორგი ნემსაძის კომენტარმა, როდესაც გადადგომის მიზეზი ახსნა. გიორგი ჩემი მეგობარია და მასთან შეხვედრას ვაპირებ. უნდა ვთხოვო, ასეთი განცხადებები აღარ გააკეთოს. ყველამ ვიცით, რომ კლაუს ტოპმიოლერის ბავშვური პრეტენზიების გამო არ გადამდგარა და ეს ფაქტორი ნუ მოჰყავს მიზეზად. ამით პირველ რიგში თავის თავს აყენებს შეურაცხყოფას.

— ამ ფარსის მიმართ, რასაც ნოდარ ახალკაცის ფედერაციის პრეზიდენტად „არჩევა“ ჰქვია, პროტესტს ჩემებურად გამოვხატავ. ამიერიდან აღარ დავესწრები ეროვნულ ჩემპიონატს. ჯერ ერთი, არ ვუქომაგებ კლუბებს, რომლის უფროსობამ არაფერი გააკეთა ამ ფარსის წინააღმდეგ, პირიქით, მხარში დაუდგნენ „ნოდარას დუქანს“. და მეორე, დავუჯერებ ქართული ფეხბურთის ფაქტობრივ გამგებელს კლაუს ტოპმიოლერს და საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე, სადაც თურმე სანახავი არაფერი ყოფილა, არ ვივლი.

— დარწმუნებული ვარ, რომ ორ წელიწადში კიდევ იქნება რიგგარეშე ყრილობა, რადგან ნოდარ ახალკაცს უყვარს რიგგარეშე არჩევნები. სხვა შემთხვევაში მომგები არ არის. მე ყოველთვის მივიღებ არჩევნებში მონაწილეობას და რომც გავიმარჯვო, მაინც შევთავაზებ ალმასკომს, რომ ქართული ფეხბურთის თურქმენბაში ნოდარ ახალკაცი მუდმივ პრეზიდენტად დავტოვოთ...

პრესკონფერენციის ბოლოს მამუკა კვარაცხელიამ მისეული, „მომავლის ალმასკომის“ შემადგენლობა გაგვაცნო: დავით გელაშვილი, ვლადიმერ გუცაევი, გიორგი დევდარიანი, მალხაზ კაკაურიძე, ოთარ კორღალიძე, მერაბ მეგრელაძე, გია ფირცხალავა, თემურ ქეცბაია, ლევან ყიფიანი, პაატა ჩხეიძე, მიხეილ ყაველაშვილი, კახა ცხადაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ზურაб ხორგუაშვილი, გოჩა ჯამარაული.

**ბაჩო სვანიძე**

### ინგლისი

I ლიგა. პლეი ოფი
1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

ნოტინგემი 2:5დ.დ. (1:3) იოვილი (2:0)

II ლიგა. პლეი ოფი
1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

დონსი 1:2 შრიუსბერი (0:0)

### გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა
XXXII ტური

მიუნხენი (მ) 2:2 ვეჰენი
ელვერსბერგი 3:1 როიტლინგენი
ჰოფენჰაიმი 2:1 პირმასენსი
ლაუტერნი (მ) 0:3 პფულენდორფი

### ავსტრია

I დივიზიონი. XXXII ტური

ავსტრია (ლ) 1:0 ლეობენი
ჰარტბერგი 0:4 ლინცერი
კაპფენბერგი 1:3 ადმირა
კერნტენი 1:1 ავსტრია (მ)
პარნდორფი 0:2 ლუსტენაუ
შვანენშტადტი 3:1 გრატკორნი

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XXXVII ტური

აიაჩო 0:2 მონპელიე
შატორუ 1:0 გენგამი
კრეტეი 0:2 ამიენი
გრენობლი 2:1 დიჟონი
გენიონი 4:2 ბასტია
ისტრი 1:2 კაენი
ლე ავრი 2:2 ნიორი
რეიმსი 1:1 ლიბურნი
სტრასბური 2:1 მეცი
ტურსი 1:2 ბრესტი

### ბელგია

იუპილერლიგა
XXXIV ტური

ბეერსხოტი 3:0 რუზელარე

### პოლონეთი

I ლიგა. XXVIII ტური

კორონა 5:3 ბელხატოვი
ლეჩნა 2:1 ზაგლებე

### ირლანდია

პრემიერლიგა. XI ტური

ბრეი 2:0 სლიგო
კორკი 2:1 ბოჰემიანსი
გალვეი 0:0 დუბლინი
შემროკი — უოტერფორდი
1:1-ზე შეწყდა

### უნგრეთი

ბორსოდი ლიგა
XXIX ტური

ზალაეგერსეგი 0:1 დებრეცენი

### რუმინეთი

პირველი ლიგა
XXXIII ტური

არადი 2:1 ტიმოშოარა
გლორია 1:2 ოცელული
რაპიდი 4:1 ჩაჰლაული


**იყიდება**

6 000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ნუცუბიძის IV მ/რ ახლოს, სოფელ-აგარაკთან, მუხათწყაროს გზის ნაპირზე.

ფასი შეთანხმებით.

ტელ: 893 42-74-94

## საქართველოს ეროვნული 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა · II წრე. 26 ტური

# ქუთაისი ქალაქია ჩემპიონობის

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 25 | 18 | 6 | 1 | 53:7 | 60 |
| დინამო | 25 | 19 | 2 | 4 | 53:17 | 59 |
| ამერი | 25 | 16 | 6 | 3 | 50:14 | 54 |
| ზესტაფონი | 25 | 15 | 9 | 1 | 52:10 | 54 |
| ვიტ ჯორჯია | 25 | 12 | 9 | 4 | 40:25 | 45 |
| სიონი | 25 | 11 | 4 | 10 | 28:23 | 37 |
| ტორპედო | 25 | 9 | 4 | 12 | 22:31 | 31 |
| ბათუმი | 25 | 8 | 6 | 11 | 25:26 | 30 |
| ბორჯომი | 25 | 8 | 6 | 11 | 28:33 | 30 |
| ლოკომოტივი | 25 | 7 | 6 | 12 | 20:33 | 27 |
| მერანი | 25 | 5 | 8 | 12 | 17:41 | 23 |
| ჩიხურა | 25 | 5 | 6 | 14 | 13:41 | 21 |
| დილა | 25 | 2 | 6 | 17 | 16:56 | 12 |
| კახეთი | 25 | 0 | 2 | 23 | 20:81 | 2 |

კვირას მე-18 ეროვნული თვალს ჩაგვიპაჭუნებს. სეზონი ეკვატორზეც არ იყო მისული, რომ ვივარაუდეთ, დაძაბული ბოლო ტურები იქნებაო და ისე აგიხდეთ ყველაფერი — ჩემპიონ-პრიზიორების ბედი სწორედ ხვალ წყდება, თანაც ცხრილის ქვედა ნაწილშიცაა შემორჩენილი ერთი ინტრიგა. დაძაბულობით და თამაშის ხარისხით არა, მაგრამ მნიშვნელობით კი ბოლო ტურის ნომერი პირველი მატჩი ქუთაისშია...



ქუთაისი. 20 მაისი. 17 საათი. ტორპედო

### ტორპედო — ოლიმპი

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, ი. უკლება, მ. ნაკაიძე, ვ. ელისაბედაშვილი

**პირველ წრეში 0:1**

ზედიზედ მეორე წელია, ჩემპიონს „ტორპედოს" სტადიონი ავლენს. ოღონდ მასპინძლები მხოლოდ მიმლოცველების როლში არიან — შარშან ქუთაისში „სიონმა" იჩემპიონა, ხვალ კი, ალბათ, „ოლიმპი" გაიხარებს. არადა, ერთ დროს „ტორპედო" მართავდა საშინაო სარბიელზე მისთვის საჩემპიონო თამაშებს.

რუსთაველებს გამარჯვება სჭირდებათ, თუმც წინა ტურში „ამერთან" შინ რომ მოეგოთ, ქუთაისში ფრეც ყელამდე ეყოფოდათ. „ოლიმპთან" დაახლოებულ ერთ პიროვნებას ამერელთა ფეხბურთელებისთვის უთქვამს, არასწორად მოიქეცით, თამაში უნდა დაგვეთმოთო, რასაც გლდანელთა თავკაც გიორგი ჩიხრაძის აღშფოთება მოჰყვა...

თქვენი არ ვიცი და, მე ნაღდად არ მჯერა, რომ ქართულ ფეხბურთში მიცემ-მოცემა ან ამ თემაზე გაუთავებელი ლაპარაკი როდესმე მოისპობა.

სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებში ხშირად ყოფილა, ლიდერებს ბოლო ტურში უმოტივაციო გუნდთან თამაშში რომ დაუკარგავთ ჩემპიონობა, მაგრამ საქართველოში მსგავსი პრეცედენტი არ გვახსენდება: ერთხელ, ისიც ბოლოსწინა ტურში, „სამტრედიამ" რუსთავში ვერ მოიგო და „დინამომ" გადაასწრო. „ოლიმპს" დისკვალიფიცირებული გიორგი ნავალოვსკი დაუბრუნდა და ტრავმიანი ვლადიმერ დვალიშვილის გარდა ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს. რა უნდა მოახერხოს ლიდერთან „ტორპედომ", რომელიც მეორე წრეში პანტა-პუნტით აგებს და „მერანსა" და „დილასაც" კი ვერ ერევა...

თბილისი. 20 მაისი. 17 საათი. მიხეილ მესხი

### დინამო — ბათუმი

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, დ. გოგოლაშვილი, გ. ყრუაშვილი, დ. სანაია

**პირველ წრეში 3:1**

„ოლიმპმა" თუ წააგო, „დინამოს" ფრეც გააჩემპიონებს; „ოლიმპმა" თუ ფრე ითამაშა, „დინამო" მხოლოდ მოგებით იჩემპიონებს; ამ ორი ვარიანტიდან რომელიმესი გჯერათ? დუშან უჰრინის ბიჭები ქუთაისურ სასწაულს ნაკლებად უნდა ელოდნენ, მაგრამ თავიანთი გასაკეთებელი კი უნდა გააკეთონ. ბოლო რამდენიმე სეზონია, „დინამო" შინ-გარეთ უგებს „ბათუმს" და ალბათ ხვალაც იოლად სძლევს. და კიდევ, საინტერესოა, რამდენი გოლით დაასრულებს ჩემპიონატს სანდრო იაშვილი — ბომბარდირმა 18 ბურთს მოუკრა პირი და ვინძლო, დაამრგვალოს კიდეც.

თბილისი. 20 მაისი. 17 საათი. ამერი

### ამერი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, მ. ელიკაშვილი, კ. ტეფნაძე, ა. ნონიკაშვილი

**პირველ წრეში 3:4**

ხუთი ურთიერთშეხვედრიდან „ვიტ ჯორჯიამ" უკლებლივ ყველა მოუგო „ამერს" და რა გასაკვირია, რომ გლდანელებს მინი-რევანშის სურვილი კლავთ. ეგეც არ იყოს, გიორგი ჩიხრაძის ბიჭები მესამე ადგილზე არიან და თუ მოიგებენ, პრიზიორობა ვერსად გაექცევათ, ვიტელები კი მეხუთე საფეხურს ტკეპნიან. ამ გუნდების საპირველწრეო მატჩი სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ჯახი იყო — ნესტორ მუმლაძის „ვიტ ჯორჯია" 2:0-ს იგებდა, მერე აგებდა, ბოლო ათ წუთში ისევ ორი გაიტანა და გაიმარჯვა. მაგრამ მაშინ „მწვანეებს" დავით დიღმელაშვილი და გიორგი ფეიქრიშვილი ჰყავდათ, რომელთა „დინამოში" გაშვებით შედეგი გაუღარიბდათ.

ბორჯომი. 20 მაისი. 17 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი

### ბორჯომი — ზესტაფონი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი, ლ. მიქელაძე, ზ. ჯვარიძე, კ. ქაჭუა

**პირველ წრეში 0:4**

ფეროელები ჯანიანად ამთავრებენ ჩემპიონატს და საქართველოს თასზე ფიქრობენ. ფორმაში არიან ზურაბ იონანიძე, გიორგი ჭელიძე, გოგი ფიფია, ვიეირა... ასე რომ, მასპინძლებს გაუჭირდებათ, მაგრამ მათმა თავკაცმა ვლადიმერ ხაჩიძემ ერთხელ უკვე თქვა, ბორჯომი ზაფხულში მშვენიერი დასასვენებელი ადგილია, ოღონდ ჩვენთან სასეირნოდ ჩამოსვლას არავის ვურჩევო. მართლაც, „ბორჯომმა" იმ დროს ჩემპიონობისთვის მებრძოლ „ამერს" აართვა სამი ქულა.

თელავი. 20 მაისი. 17 საათი. გივი ჩოხელი

### კახეთი — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, გ. ჩიგოგიძე, შ. ქუხილავა, ლ. კვარაცხელია

**პირველ წრეში 0:1**

თელაველებმა 25 თამაშში 81 გოლი გაუშვეს და დიდი ხანია, პირველ ლიგაში ჩაყვეს ორივე ფეხი, ხოლო „ლოკომოტივმა" წინა ტურში „სიონთან" მოგებით თავი უმაღლესში დაიგულა. რკინიგზელებს არ ეყოლებათ 16 წლის იმედი ლევან ყენია, რომელიც საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ახლავს შოტლანდიაში.

ბოლნისი. 20 მაისი. 17 საათი. თამაზ სტეფანია

### სიონი — მერანი

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი, ბ. ჭიჭინაძე, ზ. ბერულავა, მ.მაისურაძე

**პირველ წრეში 3:0**

მეექვსეადგილოსან „სიონს" არანაირი სატურნირო მოტივაცია არა აქვს. „მერანს" კი მოგება სურს, რათა მეთორმეტე საფეხურზე არ ჩამოცოცდეს და პლეი ოფში ჯახირს თავი აარიდოს. საკითხავიც ესაა, გაძალიანდებიან ბოლნისელები თუ– და ერთიც, „სიონის" თავკაც კახა ცხადაძისთვის, ვინძლო, ხვალ ბოლო ბოლნისური მატჩია — ცხადაძეს კონტრაქტი ეწურება და შესაძლოა, აღარ გააგრძელებს.

გორი. 20 მაისი. 17 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

### დილა — ჩიხურა

მსაჯები: ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი, დ. კვეტენაძე, ლ. ფანიაშვილი

**პირველ წრეში 1:1**

საჩხერელები ორი ქულით ჩამორჩებიან „მერანს" — თუ მოიგებენ და პარალელურად თბილისელები ბოლნისში ვერ იმარჯვებენ, „ჩიხურა" პლეი ოფს გადაურჩება. უფრო გასაგებად, ზემოიმერელთა ბედი ქვემოქართლელებზე ჰკიდია.

### დისკვალიფიცირებულნი

ჩიხურა: გიორგი ქუცურუა; მერანი: კახა გლუნჩაძე; დილა: დავით ტლაშაძე, რევაზ თევდორაძე; ლოკომოტივი: მიხეილ ფლენტი; ბათუმი: ლერი ხოხონიშვილი, უჩა ლობჯანიძე

## საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
33-ე ტური

დინამო 2 0:1 გაგრა
მალაროელი 4:0 მერცხალი
სამტრედია 0:1 ნ. დინამოელი
მეშახტე 2:1 მესხეთი
ოლიმპი 1:0 ზესტაფონი
მეშაქრე 3:1 რაჭა
გურია 0:3 ამერი 2
ვიტ ჯორჯია 2 5:0 ჩიხურა 2
მგლები 2:0 სპარტაკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მგლები | 33 | 24 | 4 | 5 | 57:22 | 76 |
| მესხეთი | 33 | 21 | 6 | 6 | 66:19 | 69 |
| გაგრა | 33 | 17 | 6 | 10 | 50:35 | 57 |
| მალაროელი | 33 | 16 | 9 | 8 | 48:29 | 57 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 33 | 16 | 7 | 10 | 57:28 | 55 |
| მეშაქრე | 33 | 15 | 10 | 8 | 43:32 | 55 |
| ამერი 2 | 33 | 14 | 12 | 7 | 54:34 | 54 |
| ოლიმპი (თბ) | 33 | 14 | 8 | 11 | 50:40 | 50 |
| ნ. დინამოელი | 33 | 15 | 4 | 14 | 47:45 | 49 |
| მეშახტე | 33 | 14 | 6 | 13 | 50:39 | 48 |
| სამტრედია | 33 | 13 | 8 | 12 | 35:40 | 47 |
| ზესტაფონი 2 | 33 | 10 | 10 | 13 | 33:37 | 40 |
| დინამო 2 | 33 | 9 | 9 | 15 | 49:39 | 36 |
| რაჭა | 33 | 8 | 12 | 13 | 34:47 | 36 |
| ჩიხურა 2 | 33 | 8 | 5 | 20 | 26:64 | 29 |
| გურია | 33 | 7 | 7 | 19 | 33:74 | 28 |
| სპარტაკი | 33 | 7 | 6 | 20 | 18:48 | 27 |
| მერცხალი | 33 | 2 | 5 | 26 | 20:95 | 11 |

# შქახე პირველი ლიგა: ზამორა, მესხი, მეტრეველი

„გაგრამ" მე-9 წუთზევე მოინაგრა პენალტი — დინამოელებმა ზამორა დათუნაშვილი წააქციეს და დარტყმა მანვე ითავა, მაგრამ გიორგი ლორიას ვერ აჯობა. თბილისელებმა უმალვე შეტევა წამოიწყეს, ზამირ ჯანაშიას დარტყმული ბურთი გაგრელთა მეკარე ტალახაძემ ვერ შეიმაგრა, მაგრამ დამმატებელი არავინ იყო.

პირველ ტაიმში საინტერესო არაფერი მომხდარა, თამაშის განახლებისთანავე კი „გაგრამ" გაიტანა — ზვიად მეტრეველმა კართან უმეთვალყურეოდ დატოვებული მიხეილ მესხი მოძებნა და 0:1.

სტუმრები სრულ უპირატესობას ფლობდნენ, თუმც საგოლე მომენტამდე საქმე ვერ მიჰყავდათ. ყველას გასაკვირად, გაგრელთა მწვრთნელმა თამაზ სამხარაძემ ყველაზე აქტიურნი — მესხი, მეტრეველი და დათუნაშვილი მოედნიდან გაიყვანა და კინაღამ დაისაჯა. დასჯა კი კანდელაკს შეეძლო — მეკარე ტალახაძეს ბურთი ხელიდან გაუვარდა, ცარიელ კართან მარტო მყოფმა კანდელაკმა კი ნამეტანი ძნელი საქმე გააკეთა — აცილა...

ასე რომ, სეზონის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე „გაგრასა" და „მალაროელს" შორის თანაფარდობა არ შეცვლილა და მესამე საპლეიოფო ადგილის ბედს ბოლო ტური გადაწყვეტს.

ბოლო ტურში „გაგრა" უკვე ჩემპიონ „მგლებს" მასპინძლობს, ჭიათურელები კი „ნორჩ დინამოელს" სტუმრობენ.

„მალაროელმა" თამაზ კოსტავას გუნდს რომც მოუგოს, ერთადერთ შანსად გაგრელთა ვერმოგება რჩება, რაც, ვაღიაროთ და, ერთობ ძნელი წარმოსადგენია — ზუგდიდელებმა უმაღლეს ლიგაში ადგილი ხომ რა ხანია გაინაღდეს და ამ ტურში პირველი ლიგის ჩემპიონობაც მოიპოვეს. მოკლედ, უმოტივაციოდ არიან, რაც, ცხადია, გაგრელთა წისქვილზე ასხამს წყალს.

**ნუკრი ლოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯაბა კანკავა: სამართლიანად გამაძევეს, უსამართლოდ დამსაჯეს



ჯაბა კანკავა ზამთარში კიევის „არსენალიდან" „დნიპროში" გადავიდა და ახალ გუნდში უკვე ორჯერ გააძევეს. დნეპრისპირელთა თავკაცი ოლეგ პროტასოვი ჯაბას მუდმივად ძირითადში ათამაშებს და არაერთხელაც შეუქია, თუმც არც კრიტიკას აკლებს წითელი ბარათების გამო. კანკავა მეორედ კიევის „დინამოსთან" თამაშის 21-ე წუთზე გააძევეს ორი ყვითლით, რის გამოც „დნიპრომ" კიდევ ერთხელ გადაახდევინა ფულადი ჯარიმა...

— კიეველებთან ვიუხეშე და ულაპარაკოდ გასაწითლებელი ვიყავი. პირველად მოხდა, რომ სათამაშო სიტუაციაში გამაძევეს, ნერვული მატჩი იყო და, სამწუხაროდ, მალევე მომიხდა მინდვრის დატოვება — გვითხრა კანკავამ, რომელსაც გუშინ უკრაინაში დავუკავშირდით.

— პირველად რომ გაგაძევეს, „დნიპრომ" სოლიდური ფულადი ჯარიმა დაგაკისრა. კიეველებთან თამაშის მერეც დაგსაჯეს?

— დიახ. სხვათა შორის, „დინამოსთან" მატჩის შემდეგ „დნიპროს" ხელმძღვანელობას ორი დღე არაფერი უთქვამს ჩემი დასჯის შესახებ და ქართველ თუ უკრაინელ ჟურნალისტებს ინტერვიუში ვუთხარი, ჯარიმა არ დამაკისრეს-მეთქი. პროტასოვმა კი სამი დღის წინ გამომიცხადა — ეს საიდან მოიტანე, რამდენიც პირველი გაძევების შემდეგ გადაიხადე, ახლაც იმდენს გადაიხდიო.

— გეწყინა, ასე რომ მოგექცნენ?

— რას ვიზამ, კლუბმა ასე გადაწყვიტა და უნდა დავეთანხმო. არადა, აქ ასეთი წესია, წმინდა სათამაშო ეპიზოდში გაძევებული ფეხბურთელის ფულადი დაჯარიმების უფლება არა აქვთ, მაგრამ პროტესტი არ გამომითქვამს.

— რატომ?

— არ მინდა სიტუაციის არევა და გუნდში ურთიერთობის გაფუჭება. ამიტომაც შევიკავე თავი.

— დისკვალიფიკაციის ვადა უკვე გავიდა?

— დიახ და კვირას ზაპოროჟიეს „მეტალურგთან" ვითამაშებ. მეოთხე ადგილზე ვართ და მდევარს ოთხი ქულით ვუსწრებთ. თუ მეოთხეზე გავალთ, უეფას თასზე ვითამაშებთ.

— „დნიპროსთან" სამწლიანი კონტრაქტი კი გაქვს, მაგრამ სადმე ხომ არ აპირებ გადასვლას?

— არა მგონია, რაიმე სერიოზული წინადადება არ მქონია და ჯერ არცაა სხვაგან გადასვლის დრო. „დნიპროში" ძირითადში ვთამაშობ, ჯერ აქ უნდა მოვუმატო.

— რევაზ ბარაბაძე „დნიპროს" დუბლებში აღარ გამოჩენილა. წავიდა გუნდიდან?

— დიახ, რეზო თბილისშია და „დნიპროში" აღარ ჩამოვა.

— უკრაინის ჩემპიონობისთვის რბოლაში კიევის „დინამო" ოთხი ქულით უსწრებს „შახტარს", რომელსაც პირველ წრეში „არსენალში" თამაშისას გადამწყვეტი გოლი გაუტანე...

— ის მართლაც კარგი და მნიშვნელოვანი გოლი იყო. სხვათა შორის, „შახტარს" ჩემი „დნიპროში" თამაშისასაც მოვუგეთ სტუმრად.

**ილია ნანოგაშვილი**



# წასვლა ღირდეს და...
## ზაალ ელიავას სკონტო ახალგაზრდობით აგებს

**ზაალ ელიავა** და დავით გამეზარდაშვილი რიგის „სკონტოს" ძირითადში უცვლელად თამაშობენ, თუმც ლატვიის მრავალგზის ჩემპიონს ამჟამად სერიოზული კრიზისი აქვს — გუნდი მეოთხე ადგილზეა. ელიავას წლის ბოლოს უმთავრდება „სკონტოსთან" კონტრაქტი, თუმც არ გამორიცხავს, ზაფხულშივე დატოვოს გუნდი.

„მაქვს რაღაც წინადადებები, მაგრამ კონკრეტული ჯერ არაფერია. გერმანული კლუბი? თუ ეს ვარიანტი იქნება, აქ რატომ გავჩერდები, „სკონტოდან" წასვლის სურვილი ისედაც მაქვს".

ელიავა რიგელთა წარუმატებლობას გუნდში ახალგაზრდების მოზღვავებით ხსნის, ძირითადში ხუთი-ექვსი ისეთი ფეხბურთელი თამაშობს, რომლებიც ძალიან გამოუცდელები არიან, მაგრამ „სკონტომ" ასეთი გეზი აირჩია, მომავალზე აკეთებს აქცენტსო.

„ჯერ ადრეა ჩემპიონობაზე ხელის ჩაქნევა, რადგან წინ 21 ტურია, მთავარი ფავორიტი კი ლიეპაიას „მეტალურგსია"

როგორც შევიტყვეთ, ელიავათი რუსული პრემიერლიგის ორი და ერთიც გერმანიის მეორებუნდესლიგური გუნდები ყოფილან დაინტერესებული.

**ილია ნანოგაშვილი**



# ივენისიც მოვა და ასათიანიც

**საქართველოს** ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის" უნივერსალი მალხაზ ასათიანი, როგორც თავად ამბობს, თანდათან უშინაურდება მოედანს. ასათიანმა ვარჯიშისას კიდევ ერთ ორმხრივ მატჩში ითამაშა და საკმაოდ დამაჯერებლადაც გამოიყურებოდა. მასთან ერთად დაცვაში მარიან ხადი, დმიტრი სენიკოვი და ოლეგ პაშინინი იდგნენ. რკინიგზელთა მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი ჩვენებურის გარჯით კმაყოფილი დარჩა და განაცხადა, რომ რუსეთის პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის გამოჯანმრთელებით გახარებულია.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ასათიანს ოფიციალურ მატჩებში შუა ივნისიდან ვიხილავთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# ვიეირამ ფორმას მუხლი გადააყოლა

**საქართველოს** ნაკრები 6 ივნისს ევროშესარჩევ მატჩში საფრანგეთს ოსერში ეთამაშება და მასპინძლები ჩვენებს შესუსტებული შემადგენლობით დახვდებიან. ტიერი ანრი და ვილი სანიოლი რომ ვერ ითამაშებენ, გადაწყვეტილი ამბავია, საეჭვოა ლუი საას და პატრიკ ვიეირას თამაშიც.

მანჩესტერელმა საამ ტრავმა პრემიერლიგის მატჩში მიიღო და ექიმებს ეეჭვებათ, 6 ივნისამდე გამოჯანმრთელდეს.

უფრო მძიმედაა პატრიკ ვიეირას საქმე. მან ახლახან მოირჩინა დაშავებული კუნთი და სანაკრებო შეხვედრებამდე ფორმის აღსადგენად იტალიის თასის ფინალში ითამაშა, თუმც ინანა კიდეც: „ინტერ" — „რომას" საპასუხო ფინალურ მატჩში მუხლის ტრავმა მიიღო და თამაშის დასრულება ვერ შეძლო. „ინტერმა" ფინალი წააგო, ხოლო ვიეირამ ნაკრებში თამაში სათუო გაიხადა.

შეგახსენებთ, რომ ქართველებამდე „მამლები" 2 ივნისს უკრაინას მასპინძლობენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**




საქართველოს თასის
ყაზბეგის გათამაშების
ფინალი

26 მაისი ეროვნული სტადიონი

ამერი
VS
ზესტაფონი

www.pfl.ge

დასაწყისი 20:00 საათზე - ბილეთის ფასი 2, 3, 5 ლარი

მთავარი სპონსორი — ჯეოსელი GEOCELL
ოფიციალური სპონსორი — ფოლქსვაგენი VOLKSWAGEN
პარტნიორი — აქსისი
სპონსორები — BANK OF GEORGIA; i'm lovin' it

საინფორმაციო მხარდამჭერა
სარბიელი
ოლიმპი
11×11
24
FORTUNA ფორტუნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალია

**თასის ფინალი. საპასუხო მატჩი**

**ინტერი 2:1 რომა (2:6)**

1:0 კრესპო (50), 2:0 კრუზი (56), 2:1 პეროტა (83)
ინტერი: ტოლდო, მაიკონი, ბურდისო, კორდობა, ხ. ძანეტი, ვიეირა (კრუზი 26), კამბიასო, სტანკოვიჩი, მ. გონსალესი (რეკობა 53), ფიგუ (მაქსველი 82), კრესპო
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
რომა: ა. დონი, პანუჩი, ფერარი, მექსეში, კიგუ, დე როსი, აკვილანი (დ. პიზარო 58), ტადეი, პეროტა, მანსინი (ტონეტო 79), ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: კორდობა, პანუჩი, აკვილანი, კამბიასო, კორდობა, პეროტა, კივუ
გაძევება: კორდობა (71), პანუჩი (90)
მსაჯი: მორგანტი
26 606 მაყურებელი

# სპალეტიმ თასი მანჩინისთან გადააზღვია


AFP

**პირველი** მატჩის დარად, 8 გოლი არ გასულა, მაგრამ იტალიის თასის საპასუხო ფინალური შეხვედრაც სანახაობრივი გამოდგა...

მასპინძლები თავიდანვე შეტევაში წავიდნენ, ყველაზე აქტიური კი დეიან სტანკოვიჩი იყო — სერბის ორი უაღრესად სახიფათო დარტყმა მილიმეტრებით ასცდა მიზანს.

მალე „რომამაც" გაიღვიძა, მაგრამ უპირატესობა „ინტერს" რჩებოდა. ბრწყინვალე ფორმაში მყოფმა ერნან კრესპომ სახიფათოდ კი დაარტყა, მაგრამ დონიმ იყოჩაღა. იქვე ფრანჩესკო ტოტის საჯარიმოდან გასროლილი დიდებულ ნახტომში მოიგერია ფრანჩესკო ტოლდომ.

ტაიმის ბოლო უაღრესად დაძაბული გამოდგა. ჯერ კრესპომ კინაღამ გაიტანა, როცა ქუსლით გადაუგდო ბურთი თავზე მეკარეს, მაგრამ კარსაც გადააცილა. მერე ალბერტო აკვილანიმ დუგლას მაიკონი წააქცია და თითქოს „ინტერი" პენალტს იმსახურებდა, მაგრამ მსაჯმა სხვაგვარად განსაჯა.

ბოლოს ხულიო კრუზს გოლიც გაუუქმეს თამაშგარეს გამო.

„ნერაძურის" გარჯა მეორე ტაიმის დასაწყისში დაუფასდა — მაიკონის ჩაწოდებულს კრესპოს უზადო თავური მოჰყვა. აქედან 6 წუთში კი ლუიშ ფიგუმ კრუზი პირისპირ შეატოვა დონის და 2:0.

„სან სიროზე" სასწაულის სუნი დადგა და ვითარებაც დაიძაბა. დაბნეული „რომა" სიფრთხილეს იჩენდა, „ინტერი" კი ცდილობდა, მაგრამ...

მსაჯის კიდევ ერთმა საკამათო გადაწყვეტილებამ მილანელთა თავკაც რობერტო მანჩინის უკმაყოფილება გამოიწვია და იგი გააძევეს. თუმცა ამას ვინ ჩიოდა, 71-ე წუთზე წითელი ბარათი ივან კორდობასაც აუფრიალეს, რამაც საბოლოოდ გააჩერა „ინტერი".

„რომაც" თავისუფლად ათამაშდა და ერთი-ორი მომენტიც შექმნა...

78-ე წუთზე კი დონიმ კინაღამ მესამე გოლი მოიგონა — მის უშეხ შეცდომას გოლი მოჰყვებოდა, ალვარო რეკობას ბურთი რომ არ გაქცეოდა.

ყველაფერი 83-ე წუთზე დასრულდა — ტოტის დარტყმულს სიმონე პეროტამ მიმართულება შეუცვალა და 2:1.

წამატებულ წუთზე კრისტიან პანუჩიმ რეკობა მოცელა, რისთვისაც წითელი ბარათი მიიღო, რამდენიმე წამში კი...

ლუჩანო სპალეტის „რომამ" იტალიის თასის 59-ე გათამაშება მოიგო. ეს ტიტული „გლადიატორებს" 1991 წლის მერე არ ენახათ, სულ კი უკვე რვაჯერ აქვთ მოპოვებული.

რობერტო მანჩინი: „რომამ" პირველი მატჩი ბრწყინვალედ ჩაატარა და თასი სწორედ „ოლიმპიკოზე" წავაგეთ. თუმცა დღეს ცოტა უცნაური თამაში იყო. თითქოს ყველაფერი სწორად გავაკეთეთ, მაგრამ... არ გაგვიმართლა, რომ გოლის გატანა პირველივე ტაიმში ვერ შევძელით. არადა, მომენტები გვქონდა, პენალტიც არ დაგვინიშნეს. ვულოცავ „რომას", რომელმაც დამსახურებულად იმარჯვა".

„ეს ჩვენი შრომის შედეგია. თასს ვიმსახურებდით, ისევე, როგორც ჩვენი ფანები და პრეზიდენტი ფრანკო სენსი. ძალიან გახარებული ვარ, ეს ჩემი პირველი სამწვრთნელო ტიტულია. მატჩამდე რობერტო მანჩინის ვთხოვე, თუ ვერ მოვიგებთ, შენი ერთ-ერთი ჯილდო მათხოვეთქო, საბედნიეროდ, ეს საჭირო არ გახდა და ახლა თასი მე მაქვს, რომლითაც, შემიძლია, მეგობრებთან თავი მოვიწონო".

ფრანჩესკო ტოტი: „ძალიან გახარებულნი ვართ. მოზეიმე „ინტერის" ყურებამ დაგვღალა — ბოლო წლებში მილანელებმა რამდენიმე ფინალი მოგვიგეს, მაგრამ ახლა ჩვენ უკეთ ვითამაშეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. დიდი მადლობა ლუჩანო სპალეტის ყველაფრისთვის, რაც გააკეთა. ვის ვუძღვნი ამ ტიტულს? ჩემს ახლადშეძენილ ქალიშვილ კანელს, ჩემს მეუღლეს, ვაჟს და მთელ ოჯახს, რომელიც რთულ პერიოდში მუდამ გვერდზე მედგა".

„ჯალოროსის" ასაკოვანი პრეზიდენტი ფრანკო სენსი კლუბში ყოველდღიურ საქმიანობას ავადმყოფობის გამო ვერ ახერხებს და ამიტომ „რომა" ქალიშვილისთვის, როზელასთვის აქვს მიბარებული, რომელმაც ეს გამარჯვება მამას მიუძღვნა...

„ეს ტიტული პირველ რიგში მამაჩემს ეძღვნება, რადგან იგი ნომერ პირველი ფანია. დიდ წარმატებას მივაღწიეთ, რასაც ვულოცავ ფეხბურთელებს და მადლობას ვუხდი თავდაუზოგავი შრომისთვის. ახლა ზეიმის დროა, მერე კი ჩვეულ რეჟიმში მუშაობას გავაგრძელებთ" — განაცხადა როზელამ.

**გიორგი ძაძამიძე**

# მთვარეზე გავფრინდეთ?!

## გატუზოს ცუდად სძინავს

**იტალიური** „მილანის" ნახევარმცველმა ჯენარო გატუზომ პრესკონფერენცია მოაწყო, რომლის მთავარი თემა, ცხადია, ჩემპიონთა ლიგის მომავალი ფინალი იყო. 23 მაისს ათენში „როსონერი" „ლივერპულთან" ორი წლის წინანდელი კოშმარული მარცხისთვის შურისძიებას ეცდება.

„იმედია, ის მწარე მოგონებები სათანადოდ იმოქმედებს ჩვენზე და დამატებითი მოტივაცია გვექნება „ლივერპულის" დასამარცხებლად. იმ საღამოს დავიწყება ადვილი არ არის და, ერთი მხრივ, ეს კარგიცაა, შურისძიების წყურვილი გვაქვს. გაინტერესებთ, მძინავს თუ არა? მძინავს, მაგრამ ძალიან დაძაბული ვარ, ერთი სული მაქვს, როდის იქნება ფინალი" — აღნიშნა რინომ.

ორი წლის წინ სტამბოლში „მილანმა" „ლივერპულს" პირველი ტაიმი 3:0 მოუგო, მაგრამ მეორე ნახევრის ექვსწუთიან მონაკვეთში 3 გოლი გაუშვა და საბოლოოდ პენალტებში დამარცხდა. მაშინ ითქვა, „როსონერი" უკვე შესვენებაზე ზეიმობდა და ამიტომაც დაისაჯაო.

ჯენარო გატუზო: „სირცხვილია, რომ ასეთი ტყუილები გაავრცელეს. ეს დიდ შეურაცხყოფას გვაყენებს. „მილანის" დარი კლუბი ასე არ იქცევა ხოლმე. „ლივერპული" ქების მეტს არაფერს იმსახურებს იმ ფაქტობრივად წაგებული ფინალის მოგების გამო, მაგრამ ძალიან სამწუხაროა, რომ ატყდა მითქმა-მოთქმა, თითქოს ჩვენ უკვე ვზეიმობდით შესვენებაზე. ასევე არ ვიცი, იმ კოშმარული მარცხის შემდეგ რამდენი გუნდი მოახერხებდა მომდევნო სეზონშივე ნახევარფინალში, მერე კი ფინალში გასვლას, მაგრამ ჩვენ ეს შევძელით, რაც დიდი წარმატებაა. ამაში ხელმძღვანელობამ და ქომაგებმაც გრანდიოზული წვლილი შეიტანეს — ზედმეტი ზეწოლის გარეშე მოგვცეს გონს მოსვლის და წინსვლის საშუალება".

ცხადია, ჟურნალისტებმა გატუზოს ბრიტანულ პრესაში გავრცელებული სტივენ ჯერარდის კომენტარიც გაახსენეს...

„ნამდვილად ისეთივე უწყინარი ვარ, როგორც კატა — ღიმილით აღნიშნა გატუზომ — არ მინდა ამაზე რაიმე კომენტარის გაკეთება, რადგან მჯერა, ინგლისურმა პრესამ ჯერარდის სიტყვებს სულ სხვაგვარი ინტერპრეტაცია გაუკეთა. თუმცა, თუ მან მართლაც თქვა ასეთი რამ, ვიცი, რაც უნდა გავაკეთო. ჯერარდი დიდი ფეხბურთელია და მინდორზე ყოველთვის 100 პროცენტით იხარჯება. მე კი თავს კატად და მშიშარად ნამდვილად არ ვგრძნობ, ყოველთვის ბოლომდე ვიბრძვი, დანებება არ მჩვევია. „ლივერპული" კი ისეთი გუნდია, რომელიც თავისუფლად თამაშის საშუალებას არ გაძლევს და მასთან ლაღი, კარგი ფეხბურთის ჩვენება ძალიან რთულია. თუმცა ჩვენ მაინც უნდა ვეცადოთ, მეტოქეს საკუთარი სტილი მოვახვიოთ თავს. ფაქტია, ორი წლის მერე ჩემპიონთა ლიგის ფინალში ისევ ჩვენ გავედით და ეს ორივე გუნდისთვის უდიდესი მიღწევაა. მერსისაიდელთა მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი ამას იანვარშივე ვარაუდობდა, მაგრამ ჩვენ არ გვეგონა, თუ კვლავ ფინალში გავიდოდით".

„მილანი" ბოლო ხუთ წელიწადში მესამედაა ფინალში. თუმცა ამ სეზონის წინ „როსონერის" ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობა საეჭვო გახდა კალჩოპოლის სკანდალის გამო. ბევრის აზრით, „მილანი" არ უნდა დაეშვათ ამ ტურნირზე...

„როგორი კარგი და ძლიერია იტალიური ფეხბურთი, ეს მსოფლიოს ჩემპიონატზეც დავამტკიცეთ. კიდევ რა უნდათ, რას ითხოვენ ჩვენგან, მთვარეზე გავფრინდეთ? სამწუხაროდ, მსგავსი მაქინაციები მეტ-ნაკლებად ყველგან ხდება, რადგან სპორტში ძალიან დიდი ფული ტრიალებს და ყოველთვის გამოჩნდება ისეთი ადამიანი, რომელსაც ხელისმოთბობა მოუნდება. იტალიურმა ფეხბურთმა ბოლოხანს დიდ წარმატებებს მიაღწია და, მგონი, არავის საკრიტიკებელი არ არის, საკმარისია, რაც გვაკრიტიკეს" — განაცხადა გატუზომ.

„ლივერპულთან" ფინალი, სავარაუდოდ, ალესანდრო კოსტაკურტას ბოლო მატჩი იქნება, იგი კარიერას ასრულებს — მომავალი სეზონიდან კარლო ანჩელოტის ერთ-ერთი თანაშემწე გახდება.

„მიუხედავად იმისა, რომ ეს ფინალი ჩემი ბოლო მატჩი იქნება, ჯერჯერობით მოწყენილი არ ვარ და გული არ მწყდება. ალბათ იმიტომ, რომ ჩემი ხანგრძლივი კარიერის შემდეგ ვხვდები, წასვლის დრო მართლაც მოვიდა. თანაც, მომავალი სეზონიდან ანჩელოტის თანაშემწედ ვიმუშავებ, რაც დიდი მოტივაციაა" — აღნიშნა „ბილიმ".

**გიორგი ძაძამიძე**



## შვედეთი

**ალსვენსკა**
**VII ტური**

**ტრელებორგი 1:2 ელფსბორგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კალმარი | 6 | 4 | 0 | 2 | 9:7 | 12 |
| ჰამარბი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:3 | 11 |
| გოტებორგი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:5 | 11 |
| მალმიო | 6 | 3 | 2 | 1 | 9:4 | 11 |
| ელფსბორგი | 7 | 2 | 4 | 1 | 9:8 | 10 |
| ჰალმსტადი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:7 | 10 |
| აიკ | 6 | 3 | 0 | 3 | 5:7 | 9 |
| გაის | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 8 |
| ვეფლე | 6 | 2 | 2 | 2 | 5:7 | 8 |
| იურგორდენი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:6 | 7 |
| ჰელსინგბორგი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:8 | 6 |
| იორებრო | 6 | 1 | 3 | 2 | 4:7 | 6 |
| ტრელებორგი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:13 | 5 |
| ბრომაპოიკარნა | 6 | 1 | 1 | 4 | 7:14 | 4 |

## ინგლისი

**II ლიგა. პლეი ოფი**
**1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი**

**ლინკოლნი 3:5 *როჩდეილი* (1:2)**

## ავსტრია

**ბუნდესლიგა**
**XXXV ტური**

ალტახი — მატერსბურგი 3:2; ტიროლი — ზალცბურგი 0:2; რაპიდი — პაშინგი 2:0; რიდი — აუსტრია 1:0; შტურმი — გრაცერი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 35 | 21 | 9 | 5 | 69:24 | 72 |
| რიდი | 35 | 14 | 11 | 10 | 44:40 | 53 |
| რაპიდი | 35 | 14 | 10 | 11 | 54:46 | 52 |
| მატერსბურგი | 35 | 15 | 7 | 13 | 55:57 | 52 |
| პაშინგი | 35 | 14 | 9 | 12 | 46:40 | 51 |
| აუსტრია | 35 | 10 | 12 | 13 | 40:43 | 42 |
| შტურმი | 35 | 16 | 5 | 14 | 39:39 | 40 |
| ალტახი | 35 | 11 | 5 | 19 | 45:61 | 38 |
| ტიროლი | 35 | 8 | 10 | 17 | 39:58 | 34 |
| გრაცერი | 35 | 8 | 10 | 17 | 41:64 | 6 |

*შტურმს დაკლებული აქვს 13 ქულა*
*გრაცერს დაკლებული აქვს 28 ქულა*

## აშშ

**MLS. გადადებული მატჩი**

**ჩიკაგო 1:2 დალასი**

## ფინეთი

**ვეიკაუსლიგა. V ტური**

**ჰიკ 2:2 მარიეჰამნი**
**ინტერი 1:1 ჰონკა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 5 | 4 | 0 | 1 | 6:3 | 12 |
| ტამპერე | 5 | 3 | 1 | 1 | 6:5 | 10 |
| ტურკუ | 5 | 2 | 2 | 1 | 6:3 | 8 |
| ჰიკ | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 8 |
| ოულუ | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| მიუპა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 7 |
| კტპ | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| ლაჰტი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:9 | 7 |
| ინტერი | 5 | 1 | 2 | 2 | 7:5 | 5 |
| იარო | 5 | 1 | 2 | 2 | 6:6 | 5 |
| ჰონკა | 5 | 1 | 2 | 2 | 7:8 | 5 |
| მარიეჰამნი | 5 | 0 | 4 | 1 | 3:4 | 4 |
| ვიიკინგიტი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| ვაასა | 5 | 0 | 3 | 2 | 2:8 | 3 |

## მექსიკა

**კლაუსურა. პლეი ოფი**
**1/2 ფინალი. I მატჩები**

**კრუზ ასული 1:3 პაჩუკა**
**ამერიკა 1:0 გვადალახარა**

# ისტორიაული

## გონსალეს ბლანკო სანტილიანას და დი სტეფანოს წინააღმდეგ



**რაული** პრიმერადივიზიონში გოლების რაოდენობით სახელგანთქმულ კარლოს სანტილიანას გაუთანაბრდა — მადრიდის „რეალის“ ძველი ვარსკვლავის აქტივში 186 გოლია, გონსალეს ბლანკომ კი თავისი 186-ე გოლი წინა შაბათს „ესპანიოლის“ კარში შეაგდო — იმ იღბლიანი დარტყმით სამეფო თეთრების კაპიტანმა „რეალის“ ისტორიულ ბედის შემოტრიალებას და ცხრილში ლიდერად გადანაცვლებასაც დაუდო სათავე და ძველჩაუქი სანტილიანას რეკორდიც გაიმეორა.

წინ ახლა მხოლოდ ლეგენდარული ალფრედო დი სტეფანოს რეკორდია. დონ ალფრედომ ლა ლიგაში თამაშის პერიოდში მეტოქეთა კარები 216-ჯერ დალაშქრა...



„ესპანიოლთან“ რაულმა მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში 603-ე მატჩი გამართა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამეფო შვიდიანი ფრანსისკო ექტორ ჰენტოს სულ ორი მატჩით ჩამორჩება და როდესაც მასაც გაუთანაბრდება, წინ მხოლოდ ხსენებული სანტილიანა (643 თამაში „რეალის“ შემადგენლობაში) და ალფრედო დი სტეფანო (712) დარჩებიან.

გონსალეს ბლანკო „პიჩიჩის“, ანუ ესპანეთის ჩემპიონატის მთავარმეგოლის ტიტულს ორჯერ, 1998-99 და 2000-01 წლების სეზონებში ფლობდა. თავისი საპრიმერო 186 გოლით რაულმა ლა ლიგის 12 სეზონში იხეირა. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მადრიდელთა კაპიტანი ოდენ 29 წლის გახლავთ და მეკარეების გამწარებას ალბათ კიდევ მრავალჯერ მოახერხებს.



კარლოს სანტილიანა „პიჩიჩი“ არასოდეს ყოფილა, მიუხედავად ამისა, ძველ რეალელს გოლები არ დაუკლია — სანტილიანამ 186 გოლი 17 სეზონის განმავლობაში გაიტანა.

ლა ლიგაში ჩატარებული მატჩების რაოდენობით ეს ორი ფეხბურთელი ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან — კარლოსმა 461 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, რაულმა კი ჯერჯერობით 442-ში.

**ლადო ხომერიკი**

# ალექსი ვალენსიაამ აალაპარაკა

**მადრიდული** „ხეტაფეს“ მცველმა ალექსის რუანომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მომავალ სეზონში უკვე „ვალენსიას“ ფეხბურთელი იქნება.

ალექსი მედიასთან საუბარს თებერვლის შემდეგ ჯიუტად ერიდებოდა, ახლა კი აღიარა, რომ „ღამურებთან“ ხელშეკრულება გააფორმა.

„როცა მეკითხებოდნენ, მადრიდის „რეალში“ მინდოდა თამაში თუ „ვალენსიაში“, ვერაფერს ვპასუხობდი, რადგანაც მაშინ გადაწყვეტილი არაფერი იყო და მარტო „ხეტაფე“ და მისი წარმატება მახსოვდა. ახლა კი „ვალენსიასთან“ ექვსწლიანი კონტრაქტი გავაფორმე — თქვა რუანომ.

**ლადო ხომერიკი**

Copa Toyota Libertadores '2007

## ლიბერტადორესის თასი 2007

**1/4 ფინალი. პირველი მატჩი**

**ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 1:1 ლიბერტადი (პარაგვაი)**

0:1 ო. მარტინესი (82), 1:1 პალერმო (90)

## ამხანაგური მატჩი

**ჩილე 2:0 კუბა**

1:0 რ. გუტიერესი (40), 2:0  დ. გონსალესი (71)

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალი

# ჩელსი — მანჩესტერი


AFP

# ძველები ახალ უემბლიზე

**როდესაც** შუა სეზონში „ჩელსის“ მეკარემ, პეტრ ჩეხმა თავის საშიში ტრავმა მიიღო, მას მთელი ინგლისის პროფესიონალი ფეხბურთელები უგზავნიდნენ მხარდაჭერის ბარათებს. მათ შორის „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთელი შემადგენლობაც იყო, მაგრამ ჩეხი განსაკუთრებით გაახარა ედვინ ვან დერ სარის წერილმა.

ჰოლანდიელი ჩეხის კერპი იყო ბავშვობაში და მისი სამაგალითო მეკარეც გახდა.

ახლა კი საქმე ისეა, რომ დღეს, ნაშუადღევს, ისინი ალბათ ერთმანეთის წინააღმდეგ გამოვლენ ახალ „უემბლიზე“, სადაც მსოფლიოს უძველესი საფეხბურთო შეჯიბრის ფინალი გაიმართება. თუმცა, ჟოზე მაურინიუ ამბობს, რომ კარში შეიძლებოდა, ნენე ილარიოც ჩამდგარიყო, მაგრამ ტრავმა აქვს, ამიტომ ეგებ მესამე მეკარე, ებრაელი ბენ საჰარი გამოვიყვანოო. ჩეხის ტრავმის შესახებ კი დაწვრილებით არაფერს იტყობინება.

მოკლედ, ჟოზე ბლანდავს...

ინგლისური მედია მიიჩნევს, რომ ამ თამაშში გადამწყვეტი სწორედ მეკარეთა ხელოვნება იქნება, ვინაიდან, იმთავითვე ცნობილია, რომ „მანჩესტერი“ შეუტევს, მაურინიუ კი ყველაფერს გააკეთებს საფეხბურთო შურისძიებისთვის: წლეულს ალექს ფერგიუსონმა მას ჩემპიონობა წაართვა და ამიტომაც მოისმის ლაპარაკი, სწორედ შაბათს გამოჩნდება, ვინ უფრო ძლიერიაო.

რიო ფერდინანდი აცხადებს, რომ მაურინიუ დაინახავს ნამდვილ ჩემპიონებს, თავად მაურინიუმ კი გუშინ კიდევ ერთხელ დაარწმუნა ჟურნალისტები, ჩემი იორკშირული ტერიერის ამბავი ფეხბურთზე ვერ იმოქმედებსო.

როგორც მოგეხსენებათ, შუა კვირაში მაურინიუებს ძაღლს ართმევდნენ, პორტუგალიიდან აუცრელი ჩამოიყვანეთ, არც პასპორტი აქვს აქაური და ექვსთვიან კარანტინში უნდა ვამყოფოთო. ამან ჟოზეს აღშფოთება გამოიწვია, რის შემდეგაც, პოლიციისკენ ჩაასეირნეს და მალევე დააბრუნეს შინ, თუმც კი, სანაცვლოდ ძაღლი წაიყვანეს.

სერ ბობი რობსონმა, რომელიც მაურინიუსაც კარგად იცნობს და ფერგიუსონსაც, თავის სვეტში აღნიშნა, რომ ეს იშვიათი ძალის ფინალი იქნება, ვინაიდან ორივენი შმაგდებიან სიტყვა „წაგების“ გაგონებისას, ოღონდ ორივეს თავისი საფეხბურთო გზა აქვსო.

მედია ასევე მოუწოდებს მაურინიუს, რომელიც სეზონის მიწურულს მსაჯებს ამუნათებდა, „მანჩესტერის“ კარში პენალტებს არ ნიშნავენო, რომ ამჯერად მაინც შეიკავოს თავი, ვინაიდან მსაჯად სტივ ბენეტია, რეფერი, რომელიც ყოველთვის ყველაზე რთულ მატჩებს მსაჯობს და იშვიათად შემცდარა.

დანაკლისები ცნობილია: „მანჩესტერს“ ვარჯიშზე ლუი საა დაემტვრა, გარი ნევილი კი კარგა ხანია, გამოთიშულია საქმიდან.

„ჩელსის“ ბიულეტენიც ძველია: მიხაელ ბალაკი, რიკარდუ კარვალიუ და ანდრეი შევჩენკო.

საერთოდ, კიდევ, ამ გუნდების სათასო ფინალი ბოლოს 13 წლის წინ იყო, „უემბლიზე“. „მანჩესტერმა“ 4:0 მოუგო „ჩელსის“, რომელსაც მოთამაშე მწვრთნელად გლენ ჰოდლი ჰყავდა. ოთხიდან ორი გოლი ერიკ კანტონამ გაიტანა, თანაც, ორჯერვე „ჩელსის“ ფეხბურთელებს დაენიძლავა, გავიტანო.

ამ თასის მოგებით „მანჩესტერმა“ თავის ისტორიაში პირველი დუბლი გააზერხა, რადგან იმ წელიწადს ჩემპიონიც გახდა — „მანჩესტერი“ ახლაც დუბლის წინაშე დგას...

ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში სამჯერ ყოფილა, რომ ერთმანეთს ფინალში პირველ და მეორე ადგილებზე გასული გუნდები შეხვედრიან.

მაურინიუ და ფერგიუსონი კი მეცხრედ ხვდებიან ერთმანეთს რაგინდარა შეჯიბრში: მაურინიუს ოთხჯერ მოუგია, ფერგის ორჯერ. თუმცა შარშან, „ოლდ ტრაფორდზე“, „მანჩესტერმა“ 40-მატჩიანი წაუგებელი სერია შეუწყვიტა „ჩელსის“.

თუ „მანჩესტერი“ მოიგებს, პოლ სქოულზი თასის სამგზის მფლობელი შეიქნება, ხოლო რაიან გიგზი ხუთგზის, რითაც წამოეწევა ბლექბერნელი ჯიმი ფორესტის რეკორდს, რომელიც აგერ უკვე 116 წელიწადია, დგას.

ახალი „უემბლი“ კი, ცხადია, სავსე იქნება: მთელი 90 ათასი ადგილი.

თანაც, მართლა, რომელი უფრო ძლიერია?

**ირაკლი გამყრელიძე**
**ლონდონიდან**

# ნაგვემი და საუკეთესო



**„მანჩესტერის“** თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა, ვინ მოთვლის, უკვე მერამდენედ დაიცვა თავისი პორტუგალიელი ვარსკვლავი კრიშტიანუ რონალდუ.

ვისგან? რასაკვირველია, „ჩელსის“ პორტუგალიელი მწვრთნელისგან, ჟოზე მაურინიუსგან. საქმე ის გახლავთ, რომ „ჩელსი“ და „იუნაიტედი“ ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში დღეს ხვდებიან ერთმანეთს, რის გამოც ორიოდ დღის წინ მაურინიუმ ინტერვიუ მისცა, სადაც... რონალდუს პატიოსანი თამაშისკენ მოუწოდა.

„არა მგონია, ვინმეს წინააღმდეგ უფრო ხშირად ჯარიმდებოდნენ ვიდრე რონალდუს წინააღმდეგ ჯარიმდებიან. ეს ბიჭი დიდი სიმამაცითა და მხნეობით გამოირჩევა. მას ფეხებში ურტყამენ, ის ეცემა, მაგრამ დგება და თამაშს განაგრძობს“ — განაცხადა ფერგიუსონმა.

შეგახსენებთ, რომ ერთი ხნის წინ მაურინიუსა და რონალდუს ამბავზე უფრო მასშტაბური სკანდალი იყო აგორებული, მაშინ „ჩელსის“ მწვრთნელმა თანამემამულეს გაუნათლებელი უწოდა.

ისევ ფერგიუსონი: „ეჭვი არ არის, რომ ამ სეზონში ის საუკეთესო იყო და სრულიად დამსახურებულად გახდა როგორც პროფესიონალ ფეხბურთელთა, ასევე საფეხბურთო მწერალთა გამოკითხვების ლაურეატი“.

**ბაჩუნა ძიდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პატარა ბიჭი ტრიბუნიდან ჩელსიში არასდროს არავინ ჩივის



**თუ დღეს „ჩელსი“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ვერ დაამარცხებს და ფეხბურთის ასოციაციის თასს ვერ მოიგებს, ჯო კოულისთვის მთელი სეზონი ნაგავში იქნება გადასაგდები — ლონდონელი „ლურჯებისა“ და ინგლისის ნაკრების ვარსკვლავს ტრავმის გამო დიდი დრო გაუცდა, მაგრამ ბოლოსკენ მოედანზე დაბრუნება მოახერხა და ახლა ყველა ღონეს ხმარობს, რათა სეზონი მძლავრი მაჟორული აკორდით დაასრულოს...**

და როგორ ფორმაშია ჯო კოული? ალბათ, საკმაოდ კარგში საიმისოდ, რომ დღეს, „უემბლიზე“, ჟოზე მაურინიუმ სასტარტო შემადგენლობაში ჩართოს. თავად ფეხბურთელი ამბობს, რომ მზად არის, გამარჯვებისთვის ყველაფერი გაიღოს, რამეთუ, თუ „ჩელსი“ გაიმარჯვებს, იმ ტკივილსა და ნერვიულობას, რომელიც მას ბოლო ცხრა თვის განმავლობაში გადახდა, კეთილი დასასრული ექნება.

კერძოდ, 25 წლის კოული ბრძანებს: „ზაფხულამდე კიდევ არის საქმე — წინ მნიშვნელოვანი სანაკრებო თამაშები გველის, თუმცა პირადად ჩემთვის ამჟამად ყველაფერზე მნიშვნელოვანი შაბათის ამბავია. დიდი იმედი მაქვს, რომ კვირამალს ფეხბურთის ასოციაციის თასი ჩემი იქნება. იცით, მე პრემიერლიგის ბრძოლები გადამიტანია, ჩემპიონთა ლიგაში მაქვს გამოცდილება, მსოფლიოს ჩემპიონატზეც კი მომისინჯავს ძალები, მაგრამ ეს ფინალი ყველა მათგანზე მნიშვნელოვანია. ფეხბურთის ასოციაციის ფინალი უდიდესი მოვლენაა. ეს გახლავთ თამაში, რომელსაც ბავშვობაში ყოველ წელიწადს ვუყურებდი. პატარა გოლის გატანას რომ ოცნებობს, ბუნებრივია, თვალწინ პრემიერლიგის მორიგი თამაში არ აქვს წარმოდგენილი, ის ასოციაციის თასის ფინალზე ფიქრობს“.

კოულისა და თასის ფინალის სიყვარული ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც ჩრდილოლონდონელი ბიჭი „უემბლის“ შორიახლოს იზრდებოდა, ხოლო მამამის ჯორჯს ნიუ კოვენტ გარდენში ხილის მაღაზია ედგა. პირველი დიდი ამბავი კი 1994 წელს მოხდა, როდესაც მამამ, რომელსაც ფეხბურთი მაინც და მაინც არასდროს ჰყვარებია, ჯიბიდან ორი ბილეთი ამოაძვრინა. და, გაფიცებთ ყველაფერს, როგორ გგონიათ, ვინ ვის ხვდებოდა იმ წლის ფინალში?

დიახ, დიახ, თქვენ გამოიცანით: „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ჩელსის“.

ცუდად დასრულდა ის თამაში „ლურჯებისთვის“, ბოლო ნახევარსაათამდე 0:0 იყო, მერე კი ალექს ფერგიუსონის გუნდმა ოთხი გოლი გაიტანა: ორი ერიკ კანტონამ, ერთი მარკ ჰიუზმა და ერთიც ბრაიან მაკლეირმა.

კოული: „მამაჩემმა ორი ბილეთი მოიტანა, მაგრამ ერთი თავისთვის კი არ დაიტოვა, „უემბლიზე“ ჩემი თავი თავის ერთ ძმაკაცს გაატანა. სტადიონისკენ „ჩელსის“ ფანებთან ერთად ვიმგზავრე, ავტობუსში მათთან ერთად ვიჯექი, ვმღეროდი და ვყვიროდი. წავაგეთ, მაგრამ თამაშის შემდეგ მაინც პაბისკენ გამოვეშურეთ და სიმღერა იქ განვაგრძეთ. მე „კოკა-კოლა ლაითი“ დამალევინეს. ამ ამბიდან სამი წლის შემდეგ „ჩელსი“ თასის ფინალში „მიდლსბროს“ შეხვდა. იმ დროს მე უკვე ლილიშელის წარჩინებულთა ეროვნულ სკოლაში ვსწავლობდი, რომელიც შროფშირში მდებარეობს. მოკლედ, ფინალი ტელევიზორში უნდა მენახა, მაგრამ, უცბად ასეთი რამ მოხდა: მისტერ პიკერინგმა, რომელიც ჩვენზე მომაგრებული მასწავლებელი გახლდათ, თქვა, რომ ორი ბილეთი აქვს. მან იცოდა, მე „ჩელსის“ ქომაგი რომ ვიყავი და კიდევ ერთ მოსწავლესთან, კრეიგ პიდთან ერთად სტადიონზე გამიშვა. ჩვენ საოცარი დღე გვქონდა“.

იმ დღეს „ლურჯებმა“ რობერტო დი მატეოსა და ედი ნიუტონის გოლებით „ბოროს“ 2:0 მოუგეს.

„ჩვენნაირი ორი ბიჭისთვის გარშემო თვალისამაჭრელებელი რამ ხდებოდა. ვუყურებდი მოედანს და ვფიქრობდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს მეც იქ, დაბლა ვიქნებოდი. აქ გასაკვირი არაფერია, ეს ყველა დამწყები ფეხბურთელის ოცნებაა. აი, ასეთი იყო ჩემი პირველი და მეორე ფინალი. მიუხედავად იმისა, რომ პირველში „ჩელსი“ დამარცხდა, ორივე დიდებულად მახსენდება. ასე რომ, ჩემთვის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალი ყველაფერია, ის ყველაფერია კლუბისთვისაც და ფანებისთვისაც, რომლებიც გვერდში გვიდგანან. აკი ზემოთ მოგახსენეთ, რომ თავად ვყოფილვარ ტრიბუნაზე მაშინაც, როდესაც გუნდმა ფინალში გაიმარჯვა და მაშინაც, როდესაც გუნდმა ფინალში წააგო. ასე რომ, კარგად ვიცი, რა გრძნობების გამოწვევა შეიძლია შაბათს „უემბლის“ მინდვრიდან. ვიცი ისიც, თუ რა ძნელი იყო ჩვენი ფანებისთვის ინგლისის ჩემპიონად „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხილვა და მინდა, სანაცვლოდ ახლა ვაჩუქო ზეიმი. მე თავს საუცხოოდ ვგრძნობ. მუხლჩაუხრელად ვმუშაობ. ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ერთი წამიც არ ყოფილა, ჩემი მთავარი საზრუნავი საკუთარი სხეულის სათანადოდ მომზადება რომ არ ყოფილიყო. მოკლედ, ყველაფერი ამ თამაშისკენ მოდიოდა“.

„ჩელსის“ ფანი ჯო კოული საყვარელ გუნდში „ვესტ ჰემიდან“ 2003 წელს გადავიდა — როგორც კი კლუბი რომან აბრამოვიჩმა იყიდა. რუსმა მილიარდერმა მასში 6,6 მილიონი გირვანქა გადაიხადა. შესაბამისად, ჯო კოული გახლდათ უშუალო მონაწილე ზედიზედ ორი ჩემპიონობისა 2005 და 2006 წლებში, ამ სეზონში კი, როგორც მოგახსენეთ, ფეხი მოიტეხა და მთელი ოთხი თვე უქმად ჯდომა მოუხდა. როდესაც გამოჯანმრთელდა და მოედანზე დაბრუნდა, პრემიერლიგის ტიტულთან „ჩელსიზე“ ახლოს „მანჩესტერ იუნაიტედი“ დახვდა, ხოლო თავად ჯერ კიდევ ვერ იყო ბოლომდე მოლონიერებული. სწორედ ამიტომ ვერ ითამაშა, თავად რომ ისურვებდა ისე, ჩემპიონსაა ლიგის ნახევარფინალი „ლივერპულის“ წინააღმდეგ.

„ხალხი მაფრთხილებდა, რომ ბოლომდე ჯერ კიდევ არ ვიყავი მოყოჩაღებული, მაგრამ ყური არავისთვის დამიგდია — განაგრძო კოულმა — მე ჯიუტად განვაცხადე, რომ „ვალენსიასთან“ მეოთხედფინალური თამაშისთვის მოედანზე გადაადგილება უკვე უნდა შემძლებოდა და შემეძლო კიდეც. რასაკვირველია, ასი პროცენტით არ გახლდით მზად, მაგრამ ცუდადაც არ ვყოფილვარ. ყველაზე მეტად ერთი კვირის განმავლობაში სამ შეხვედრაში მონაწილეობა გამიჭირდა, მაგრამ ჩვენ ისეთი მწვრთნელი გვყავს, რომელმაც კარგად იცის, როგორ გამომიყენოს სწორად...

და რა? „მანჩესტერ იუნაიტედზე“ შურისძიება? არა, უბრალოდ, ჩვენ ამ სეზონში ყველაფრის მოგება გვინდოდა, ოთხ შეჯიბრში გამარჯვება კი ძნელია. რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ და, თუ შაბათს თასსაც მოვიგებთ, ესე იგი, სეზონი მართლაც საუცხოო გამოგვივიდა...

ტრავმები? ჩვენებრ დიდი გუნდი კერძო პრობლემებზე არ უნდა ჩიოდეს და არც ჩივის. ჩვენთან ბავშვებიც იმდენად ძლიერები არიან, რომ მოედანზე დიდების დარად შეძლებენ თამაშს. „ჩელსიში“ არც გამიგია, ვინმეს ტრავმებზე დაეწუწუნოს, ეს გარეთ ლაპარაკობენ ამაზე“.

**ბაჩუნა ძიდია**

# ასოცი? არა!

**„ჩელსი“** თავის სამ ფეხბურთელს, ჯონ ტერის, ფრენკ ლამპარდს და არიენ რობენს მარტივი პრინციპით მიუდგა: აიღე ან წადი!

რას ნიშნავს ეს? იმდენს არაფერს: უბრალოდ, დასახელებული ტრიო „ლურჯებში“ დარჩენის შემთხვევაში ანდრეი შევჩენკოსა და მიხაელ ბალაკზე დაბალშემოსავლიანი იქნება. ლონდონური კლუბის რუსმა მეპატრონემ, რომან აბრამოვიჩმა გასაგებად განაცხადა, რომ შევას და ბალაკის ჯამაგირზე (კვირაში 120 ათასი) მეტს ვერავინ მიიღებს.







ჩამოთვლილთაგან რობენი გახლავთ ბოლო, ვისაც გამზადებული კონტრაქტი დაუდეს და უთხრეს, რომ ამის იქით მოლაპარაკებებს აღარ გაუმართავენ. დადებულ კონტრაქტში კი წერია, რომ მხარეებმა კიდევ 4 წელიწადს უნდა ითანამშრომლონ, რაშიც ჰოლანდიელი ყოველკვირეულად 84 ათასს მიიღებს.

სხვათა შორის, ეს ხელფასის მომატებაა — აქამდე რობენი კვირაში 64 ათასს იღებდა. ამდენივეს იღებდნენ ლამპარდი და ტერიც. 23 წლის რობენით კი „ბაიერნი“ და „ბარსელონა“ არიან დაინტერესებულნი.

ახლა ლონდონელთა კაპიტან ტერიზე ვთქვათ. მას „ჩელსიმ“ კვირაში 115 ათასი შესთავაზა, რაზეც კაპიტანმა უარი განაცხადა. ასეთივე შეთავაზებაზე უარი თქვა ლამპარდმაც. მიზეზი: ერთიცა და მეორეც გრძნობს, რომ მათთვის შევჩენკოსა და ბალაკზე ნაკლები ხელფასის დანიშვნა სამართლიანობის დარღვევაა.

და გამოსავალი? როგორც ინგლისური პრესა იტყობინება, ზემოთ ჩამოთვლილ სამივე ვარსკვლავს დღევანდელი თასის ფინალის შემდეგ წინ არაფერი უდგას, შეუძლიათ, ქუდი დაიხურონ და გზას ეწიონ. ლამპარდით ასევე „ბარსელონაა“ დაინტერესებული, ტერით „მილანი“... ასე რომ, „ჩელსი“, უფრო სწორად კი, აბრამოვიჩი არჩევანის წინაშეა: სიჯიუტე ან სამი ფეხბურთელის დაკარგვა. ცხადია, თუ ეს ფეხბურთელები დარჩენას არ ამჯობინებენ.

ამასობაში კი „ლურჯების“ თავმჯდომარე ბრუს ბაკი რომან აბრამოვიჩის შესახებ გავრცელებულ ჭორს აბათილებს — რუსი ოლიგარქი კლუბის გაყიდვას არ აპირებსო.

„აბრამოვიჩი ფეხბურთით ფრიად დაინტერესებული ადამიანია. ძნელია, აღწერო, როგორ უყვარს მას ფეხბურთი. როდესაც „ჩელსი“ რთულ მატჩს აგებს, მის თვალებში ცრემლი თამაშობს. კლუბის გაყიდვა კი არა, ჩვენ უფრო ტევად სტადიონზეც კი ვფიქრობთ, ოღონდ „სტემფორდ ბრიჯზე“ დავრჩებით თუ ახალს ავაგებთ, ეს ჯერ გადაწყვეტილი არ არის. პირადად მე „სტემფორდ ბრიჯის“ რეკონსტრუქციის მომხრე ვარ, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ნაგებობა სამი მხრიდან გარშემორტყმულია, ასე რომ, ყველაფერს კარგად უნდა აწონ-დაწონვა. თუ ახალ სტადიონს ავაშენებთ, აუცილებლად დასავლეთ ლონდონში დავრჩებით“.

**ბაჩუნა ძიდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ყვირილი, ღრიალი, ქარბორბალას ტრიალი

## გაბუტული ლაპორტა რაიკარდს უშვებს!

## უსირცხვილო და უნამუსო დაქირავებულნი, რონალდინიო და ეტოო მიდიან...




...„ბარსელონამ" პრიმერას ლიდერობა 89-ე წუთზე დაკარგა, ზუსტად იმ დროს, როცა გონსალო იგუაინმა თავისი გოლით მადრიდში „ესპანიოლს" ბოლო მოუღო და „რეალს" ცხრილის სათავეში მიუჩინა ადგილი.

ესპანეთში უკვე ალაპარაკდნენ, რომ კატალონიურ გრანდს 89-ე წუთის „სინდრომი" აწუხებს. თუმც „ბარსა" მარტო „ბეტისს" არ გაუმწარებია: წინა კვირა ხუან ლაპორტას ბანაკისთვის შავბნელი გამოდგა — მთავარმა გუნდმა ლიდერობა დათმო, ხოლო ფარმ-კლუბი ტერსერა-დივიზიონში ვარდება...

„ბეტისთან" 1:1-ის შემდეგ კატალონიელთა კაპიტანმა კარლეს პუიოლმა გასახდელში კინაღამ ყველაფერი დალეწა, ყოველთვის მშვიდი დეკუ დაჭრილი მხეცივით ღრიალებდა, ორ ბარსელონელს (მათ ვინაობას კატალონიური მედია არ ამხელს) კი კუთხეში ჩაკეცილს ბავშვივით უტირია...

„ბეტისთან" ჯახი კვირას იყო, ორშაბათი დილა კი წვიმიანი გათენდა ბარსელონაში და იქაურმა გაზეთებმაც სევდიანად იხუმრეს, გულშემატკივართა ცრემლებს ამინდმა თავისი დაუმატაო. წვიმას სეტყვა, მერე კი ქარიშხალი მოჰყვა და ქალაქის ქუჩებში მდგარი უზარმაზარი სარეკლამო აბრა გადალეწა. ამ აბრაზე კი, რონალდინიო, ეტოო და ლეო მესი იყვნენ გამოსახულნი...

ერთი სიტყვით, კატალონიური ინჩადისთვის ბუნება შემაშფოთებელ ნიშნებს იძლევა.

კლუბის პრეზიდენტი ხუან ლაპორტა გასახდელში ფეხბურთელთა გასამხნევებლად აღარ ჩასულა.

ლაპორტამ კოპა დელ რეიზე „ხეტაფესთან" გამანადგურებელი წაგების მერეც კი არ დაიზარა თავისიანთათვის ერთი-ორი თბილი სიტყვის თქმა, ამჯერად კი გასახდელისკენ არც გაუხედავს...

საშინელება იყო „ბარსასთვის" თამაშისშემდგომი პირველი ვარჯიში — „ლა მასიაზე" მისული ფანები ფეხბურთელებს „სამარცხვინოებს" და „უნამუსო დაქირავებულებს" ეძახდნენ...

რას ფიქრობენ ყოველივე ამის მერე კატალონიურ ბანაკში? გაზეთები წერენ, რომ ფრანკ რაიკარდს თავის საყვარელ 4-3-3 სქემასთან გამოთხოვება და 4-4-2-ზე გადასვლა მოუწევს.

გამოკითხვების შედეგად დადგინდა, რომ კატალონიური გრანდის ჩემპიონობა გულშემატკივართა 30 პროცენტს სჯერა, დანარჩენ სამოცდაათს კი ხელი ჩაუქნევია.

თუ გუნდი მართლა ვერ გახდა ჩემპიონი, კატალონიელებს ალბათ ფრანკ რაიკარდთან გამოთხოვება მოუწევთ — დიდი და პატარა გუნდის ჩავარდნაში მთავარ დამნაშავედ სწორედ მას ასახელებს და ლაპორტასაც მარკო ვან ბასტენის ან ბერნდ შუსტერის მოთაფვლა გადაუწყვეტია.

და ერთიც: ჯერ არაფერია გადაწყვეტილი, მაგრამ შეიძლება, გუნდი რონალდინიომ ან სამუელ ეტოომ დატოვოს.

ვნახოთ, ვნახოთ...

**ლადო ხომერიკი**

| XXXV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბეტისი | : | ხიმნასტიკი |
| მალიორკა | : | ვალენსია |
| სარაგოსა | : | ბილბაო |
| **ხვალ** | | |
| დეპორტივო | : | სევილია |
| უელვა | : | რეალი |
| ესპანიოლი | : | ხეტაფე |
| ატლეტიკო | : | ბარსელონა |
| სოსიედადი | : | სელტა |
| ლევანტე | : | ოსასუნა |
| ვილიარეალი | : | რასინგი |

# ესპანეთი

## სპარტანელთა მეფობა ესპანეთში

**ყველაზე** საინტერესო თამაშები ესპანეთში კვირასაა, ამიტომ ჩვენც ხვალინდელი შერკინებებით დავიწყოთ.

ფაბიო კაპელოს „რეალი" „უელვას" ჩააკითხავს, რათა, სავარაუდოდ, მორიგი მძაფრსიუჟეტიანი ტრილერი გაათამაშოს მომთხოვნი მადრიდული ინჩადის გულის გასახარად. სამეფო თეთრების „ესპანიოლთან" წინა ტურის ეპიკურ ომზე უკვე იმდენი ითქვა და დაიწერა, რომ თავს აღარ შეგაწყენთ და მხოლოდ „რეალის" ახალ მეტსახელს გეტყვით — დონ ფაბიოს შეგირდები ესპანურმა მედიამ „სპარტანელებად" მონათლა...

„რეალი" დღეს ცხრილის ლიდერია, დევიდ ბექემი და რობინიოც დაუბრუნდა, თუმცა ფერნანდო გაგოს თამაშია საეჭვო...

„უელვა" კი ის გუნდია, ჩემპიონატის პირველ წრეში სამეფო თეთრები 3:0 რომ დაამარცხა. ანდალუზიელები მეშვიდე ადგილზე არიან და ჯერჯერობით უეფას თასზე მოხვედრის შანსს ინარჩუნებენ.

ურთულესი მატჩი ელის „ბარსელონას". აწ უკვე მეორეადგილოსანი კატალონიელები „ვისენტე კალდერონზე" მადრიდის „ატლეტიკოსთან" იომებენ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ „ბარსას" მხოლოდ მოგება სჭირდება. ფრანკ რაიკარდის ბიჭებმა წინა კვირას „კამპ ნოუზე" „ბეტისი" ვერ დააჩოქეს, ამიტომაც გაიჭრა საჩემპიონო რბოლაში წინ „რეალი".

„ტრავმირებული არ გვყავს. ფეხბურთელები კარგ განწყობაზე არიან და მჯერა, ამ მატჩის მოგება შეგვიძლია" — განაცხადა რაიკარდმა.

„ატლეტიკომ" „ხეტაფესთან" მოგების მერე ცხრილში მეექვსე ადგილზე აინაცვლა. თუმც მადრიდელებს კვალში „უელვა" ჰყავთ და საეჭვოა, დედაქალაქელთა მწვრთნელი ხავიერ აგირე „ბარსასთან" ქულების დაკარგვაზე ფიქრობდეს...

„ატლეტიკოს" არგენტინელი „კუნ" აგერო, სავარაუდოდ, ძირითადში ეყოლება.

ლა ლიგის ოქროს მესამე პრეტენდენტი „სევილიაც" სტუმრად თამაშობს — უეფას თასის მომგები ანდალუზიელები „რიასორზე" ძალებს „დეპორტივოსთან" მოსინჯავენ. თან, არ დაგვავიწყდეს, რომ „სევილიას" მალე კოპა დელ რეის ფინალი ელის „ხეტაფესთან"...

ხუანდე რამოსის გუნდი ერთადერთია ევროპაში, საამსეზონოდ სამ უძნელეს ტურნირზე (უეფა, ლა ლიგა, კოპა დელ რეი), რომ იომა, აქედან ერთი უკვე მოიგო და დანარჩენებშიც გამარჯვების რეალურ შანსს ინარჩუნებს. რაც შეეხება „დეპორტივოს", გუნდი მეცამეტე ადგილზეა, აღარც ევროპა აინტერესებს და სეგუნდაში გავარდნისგანაც დაზღვეულია.

ამბობენ, რომ ხოაკინ კაპაროსს გალისიელთა მწვრთნელობა აღარ უნდა და ამას მალე „დეპორის" პრეზიდენტსაც მოახსენებს.

სხვა რაღა ხდება ლა ლიგაში? დღეს „ბეტისი" „ხიმნასტიკს" მასპინძლობს, ხოლო „მალიორკა" „ვალენსიას".

„ხიმნასტიკის" საქმე წასულია, „ბეტისს" კი გასავარდნ ზონამდე 6 ქულა აშორებს და იცის, რომ ლიგაში დარჩენა სულაც არ აქვს გარანტირებული.

„ვალენსიას" კუნძულელებთან ომში შეიძლება ტრავმირებული ფერნანდო მორიენტესი გამოაკლდეს. საჩემპიონთალიგო იმედებს მოკლებულ „სარაგოსას" კი ლა ლიგაში დარჩენის მსურველი „ბილბაო" ესტუმრება და „ლა რომარედაზეც" ფიცხელი ბრძოლაა მოსალოდნელი.

**ლადო ხომერიკი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 3:3 | 3:1 | 1:1 | 3:1 | 1:1 | 3:0 | 4:0 | | 2:0 | 1:0 | | 2:1 | 3:0 | 1:1 | 1:0 | 3:0 | 1:0 | 3:1 | 3:0 |
| 2 | რეალი | 2:0 | | 3:2 | 2:1 | 1:0 | 1:1 | 0:3 | 0:0 | 1:1 | 3:1 | | 4:3 | | 2:0 | 0:0 | 0:1 | 2:1 | 2:0 | 1:2 | 2:0 |
| 3 | სევილია | 2:1 | 2:1 | | 3:0 | | 3:1 | 2:1 | | 1:0 | 0:0 | 1:2 | 3:1 | 4:0 | 2:0 | 3:2 | 4:0 | 4:1 | 0:0 | 2:0 | 2:1 |
| 4 | ვალენსია | 2:1 | 0:1 | 2:0 | | 2:0 | 3:1 | 2:0 | | 2:0 | 0:2 | 3:1 | 3:2 | 4:0 | 1:0 | 2:1 | 3:0 | 1:1 | | 1:0 | 4:0 |
| 5 | სარაგოსა | 1:0 | | 2:1 | 0:1 | | 1:0 | 0:0 | 1:0 | 3:1 | 0:0 | 2:0 | 3:0 | 1:1 | 1:2 | 2:1 | 2:2 | | 3:2 | 2:0 | 3:0 |
| 6 | ატლეტიკო | | 1:1 | 2:1 | 0:1 | 0:1 | | 2:1 | 3:1 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 1:2 | 2:0 | 1:0 | 0:0 | 1:0 | 1:0 | 1:1 | | 0:0 |
| 7 | უელვა | 0:4 | | 1:3 | 2:0 | | 1:0 | | 2:1 | 1:2 | 4:2 | 1:1 | | 1:1 | 2:0 | 2:0 | 0:1 | 0:0 | 1:0 | 4:2 | 2:1 |
| 8 | ვილიარეალი | 2:0 | 1:0 | 0:0 | 0:1 | 3:2 | 0:1 | 0:1 | | 1:0 | | 2:1 | 0:0 | 0:2 | 1:4 | 3:2 | 1:1 | | 1:1 | 1:0 | 2:0 |
| 9 | ხეტაფე | 1:1 | 1:0 | 0:0 | 3:0 | 2:2 | 1:4 | 1:1 | 3:0 | | 1:0 | 1:0 | 0:1 | 2:0 | 2:0 | 1:1 | 0:0 | 0:0 | 1:0 | 1:0 | |
| 10 | რასინგი | 0:3 | 2:1 | 0:0 | 1:0 | 0:2 | 0:1 | 4:3 | 2:1 | 1:0 | | 0:2 | 1:1 | 0:0 | 1:0 | | | 5:4 | 1:0 | 1:1 | 4:1 |
| 11 | მალიორკა | 1:4 | 0:1 | | | 2:1 | 0:0 | 2:1 | 1:2 | 2:0 | 1:2 | | 1:0 | 0:0 | 3:1 | 2:0 | 3:1 | 1:3 | 0:0 | 2:2 | 1:0 |
| 12 | ესპანიოლი | 3:1 | 0:1 | 2:1 | 1:1 | 1:2 | 2:1 | 0:1 | 1:1 | | 2:2 | 3:1 | | | 0:0 | 2:2 | 1:1 | 3:2 | 1:0 | 2:1 | 0:1 |
| 13 | დეპორტივო | 1:1 | 2:0 | | 1:2 | 3:2 | 1:0 | | 2:0 | 1:0 | 0:0 | 1:0 | 0:0 | | 1:0 | 0:1 | 0:0 | 0:2 | 2:0 | 0:1 | 1:0 |
| 14 | ოსასუნა | 0:0 | 1:4 | 0:0 | 1:1 | 2:2 | | 1:1 | 1:4 | 0:2 | 0:1 | 3:0 | 0:2 | 4:1 | | 5:1 | 2:1 | 1:1 | | 0:1 | 2:0 |
| 15 | ბეტისი | 1:1 | 0:1 | 0:0 | 2:1 | 1:1 | 0:1 | 0:0 | 3:3 | 0:2 | 1:1 | 0:1 | 1:1 | 1:1 | | | 2:1 | 3:0 | 0:1 | 1:0 | |
| 16 | ლევანტე | 1:1 | 1:4 | 2:4 | | 0:0 | 0:3 | 2:1 | 0:2 | 1:1 | 2:0 | 0:1 | 0:0 | 2:0 | | 1:1 | | 0:0 | 2:0 | 1:1 | 2:0 |
| 17 | ბილბაო | 1:3 | 1:4 | 1:3 | 1:0 | 0:0 | 1:4 | 4:2 | 0:1 | 2:0 | 0:0 | | 2:1 | 1:1 | 0:3 | 1:2 | | | 1:1 | 0:1 | 0:2 |
| 18 | სოსიედადი | 0:2 | 1:2 | 1:3 | 0:1 | 1:3 | 2:0 | 2:3 | 0:1 | 0:0 | | 3:1 | 1:1 | 0:1 | 2:1 | 0:0 | 1:0 | 0:2 | | | 3:2 |
| 19 | სელტა | 2:3 | 1:2 | 1:2 | 3:2 | 1:1 | 1:3 | 1:2 | 1:1 | | 2:2 | 0:3 | 0:2 | 1:0 | 0:2 | | 1:2 | 1:1 | 0:0 | | 1:1 |
| 20 | ხიმნასტიკი | | 1:3 | 1:0 | 1:1 | 1:0 | | 1:1 | 0:3 | 1:3 | 2:2 | 2:3 | 4:0 | 0:0 | 2:3 | 0:1 | 2:1 | 2:3 | 1:3 | 1:2 | |

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | 34 | 19 | 9 | 6 | 64:30 | 66 | 13 | 4 | 0 | 38:10 | 43 | 6 | 5 | 6 | 26:20 | 23 |
| 2 | რეალი | 34 | 20 | 6 | 8 | 55:34 | 66 | 10 | 4 | 3 | 26:16 | 34 | 10 | 2 | 5 | 29:18 | 32 |
| 3 | სევილია | 34 | 19 | 7 | 8 | 59:32 | 64 | 14 | 2 | 1 | 38:11 | 44 | 5 | 5 | 7 | 21:21 | 20 |
| 4 | ვალენსია | 34 | 19 | 5 | 10 | 49:32 | 62 | 14 | 1 | 2 | 35:10 | 43 | 5 | 4 | 8 | 14:22 | 19 |
| 5 | სარაგოსა | 34 | 15 | 10 | 9 | 47:34 | 55 | 11 | 4 | 2 | 27:11 | 37 | 4 | 6 | 7 | 20:23 | 18 |
| 6 | ატლეტიკო | 34 | 15 | 9 | 10 | 40:29 | 54 | 8 | 6 | 3 | 18:11 | 30 | 7 | 3 | 7 | 22:18 | 24 |
| 7 | უელვა | 34 | 14 | 8 | 12 | 46:45 | 50 | 9 | 3 | 4 | 24:18 | 30 | 5 | 5 | 8 | 22:27 | 20 |
| 8 | ვილიარეალი | 34 | 14 | 8 | 12 | 39:40 | 50 | 8 | 4 | 5 | 18:16 | 28 | 6 | 4 | 7 | 21:24 | 22 |
| 9 | ხეტაფე | 34 | 13 | 10 | 11 | 33:28 | 49 | 9 | 7 | 2 | 21:10 | 34 | 4 | 3 | 9 | 12:18 | 15 |
| 10 | რასინგი | 34 | 12 | 13 | 9 | 39:41 | 49 | 9 | 4 | 4 | 23:20 | 31 | 3 | 9 | 5 | 16:21 | 18 |
| 11 | მალიორკა | 34 | 14 | 6 | 14 | 40:42 | 48 | 8 | 4 | 5 | 22:18 | 28 | 6 | 2 | 9 | 18:24 | 20 |
| 12 | ესპანიოლი | 34 | 11 | 12 | 11 | 41:43 | 45 | 7 | 6 | 4 | 24:19 | 27 | 4 | 6 | 7 | 17:24 | 18 |
| 13 | დეპორტივო | 34 | 11 | 11 | 12 | 25:34 | 44 | 9 | 4 | 4 | 16:9 | 31 | 2 | 7 | 8 | 9:25 | 13 |
| 14 | ოსასუნა | 34 | 10 | 7 | 17 | 39:46 | 37 | 5 | 6 | 6 | 23:22 | 21 | 5 | 1 | 11 | 16:24 | 16 |
| 15 | ბეტისი | 34 | 7 | 15 | 12 | 32:41 | 36 | 4 | 8 | 5 | 16:16 | 20 | 3 | 7 | 7 | 16:25 | 16 |
| 16 | ლევანტე | 34 | 8 | 12 | 14 | 29:43 | 36 | 5 | 7 | 5 | 17:19 | 22 | 3 | 5 | 9 | 12:24 | 14 |
| 17 | ბილბაო | 34 | 8 | 10 | 16 | 37:55 | 34 | 4 | 4 | 9 | 16:28 | 16 | 4 | 6 | 7 | 21:27 | 18 |
| 18 | სოსიედადი | 34 | 7 | 9 | 18 | 26:41 | 30 | 5 | 3 | 9 | 17:23 | 18 | 2 | 6 | 9 | 9:18 | 12 |
| 19 | სელტა | 34 | 7 | 9 | 18 | 32:52 | 30 | 2 | 6 | 9 | 17:29 | 12 | 5 | 3 | 9 | 15:23 | 18 |
| 20 | ხიმნასტიკი | 34 | 6 | 6 | 22 | 31:61 | 24 | 4 | 4 | 9 | 22:29 | 16 | 2 | 2 | 13 | 9:32 | 8 |

# კაკასთვის ლიგა ოქროს ბურთია

## ვინ არის ლივერპული და, ჯერარდი!



**იტალიური** „მილანის" ვარსკვლავ კაკას ჩემპიონთა ლიგის მოგება და „ოქროს ბურთის" მოპოვება სურს. მისი ამბიცია არცთუ უსაფუძვლოა, რადგან 25 წლის ბრაზილიელი ჩინებულ ფორმაშია.

„თუ ჩემპიონთა ლიგას მოვიგებ, „ოქროს ბურთის" მოპოვების ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი გავხდები. ეს ბრწყინვალე ჯილდოა და, თუ მე მხვდა წილად, „მილანის" ისტორიაში ოქროს ასოებით ჩავეწერები. ძალიან მიხარია, რომ თანაგუნდელები მხარს მიჭერენ და ჩემი სჯერათ. ეს ნიშნავს, რომ კარგ ფორმაში ვარ. თუმცა კლუბის წარმატება მხოლოდ ერთ ფეხბურთელზე არ არის დამოკიდებული" — თქვა კაკამ.

ბრაზილიელის აზრით, ფინალში „მილანი" „ლივერპულის" კაპიტან სტივენ ჯერარდს უნდა უფრთხოდეს:

„იგი ნამდვილი ლიდერია, რომელიც სულ დარბის, დაცვაშიც არის, თავდასხმაშიც და მნიშვნელოვნად განაპირობებს გუნდის თამაშს. თუმცა გავიმეორებ, რომ მხოლოდ ერთი ფეხბურთელი ვერც ერთ გუნდს ვერ მოუტანს დიდ წარმატებას".

ამასობაში კაკა 1 ივნისს „უემბლიზე" ინგლისისა და ბრაზილიის ნაკრებთა ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახეს. იგი ალბათ 5 ივნისს დორტმუნდში, თურქეთთან ამხანაგურ შეხვედრაშიც ითამაშებს. ეს კი ნიშნავს, რომ პენტაკამპეონთა მწვრთნელი კარლოს დუნგა მას, სავარაუდოდ, 26 ივნისიდან 15 ივლისამდე ვენესუელაში გასამართ კოპა ამერიკაზე წაიყვანს, რაც კაკას სულაც არ უნდა...

**ბოკა ბანდელაძე**

# ადრიანოს სუაზო გაყიდის

**იტალიური** „კორიერე დელო სპორტის" ცნობით, მილანის „ინტერი" უკვე გაურიგდა „კალიარის" დავიდ სუაზოს ტრანსფერზე. 27 წლის ჰონდურასელი „ნეროაძურისთან" სამწლიან კონტრაქტზე შეთანხმდა და სეზონში დაახლოებით 1,5 მილიონ ევროს მიიღებს.

ამბობენ, სუაზო „ინტერს" 15 მილიონი დაუჯდებაო, მაგრამ მილანელები მთლიან ფულს გადაუხდიან სარდინიელებს თუ ნაკლებს მისცემენ და ერთ-ორ ახალგაზრდა ფეხბურთელს დაუთმობენ, ჯერ უცნობია.

მართალია, „შავ-ლურჯთა" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ ეს ინფორმაცია უარყო, მაგრამ იტალიური პრესა ირწმუნება, ტრანსფერი ოფიციალურად სეზონის ბოლოს გახმაურდებაო.

სუაზო „კალიარიში" 1999 წლიდან თამაშობს და ბოლო ხანს ბევრი გრანდის ყურადღება მიიპყრო.

და თუ ეს ტრანსფერი მართლაც შედგა, ბოლოდროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე, გაიზრდება „ინტერიდან" ადრიანოს წასვლის შანსები. თანაც, არაერთხელ ითქვა, რობერტო მანჩინის სუაზო ბრაზილიელის შემცვლელად უნდა და, თუ „იმპერატორი" „სან სიროს" დატოვებს, ჰონდურასელ ფორვარდს მხოლოდ იმ შემთხვევაში იყიდისო...

**ბოკა ბანდელაძე**

# ნუნუს ნაცნობი კლიენტურა

**ლისაბონის** „ბენფიკას" ფორვარდ ნუნუ გომეშის აგენტმა თქვა, რომ მის კლიენტს სამი იტალიური კლუბი ეპატიჟება.

— „ტორინო", „ლაციო" და „ნაპოლი" დაინტერესდნენ — განაცხადა მარიო პიკიოლიმ — გომეშს „ბენფიკასთან" კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს, მაგრამ თუ წასვლა მოინდომა, კლუბი ვერ დააკავებს. მას ძალიან გაუხარდა, იტალიელები რომ დაინტერესდნენ, რადგან სერია A-ში უთამაშია".

ნუნუ გომეშმა „ფიორენტინაში" 2001 წელს იტალიის თასი მოიგო...

**ვაჟა ხუციშვილი**

# ნაპოლიმ ვიერის მიაკითხა

**„ნაპოლი"** სერია A-ში თუ აღზევდა, „ატალანტადან" კრისტიან ვიერის გადაბირებას შეეცდება.

„ბობო" შარშან გადავიდა ბერგამოულ კლუბში და ტრავმების გამო თითქმის მთელი სეზონი გაუცდა, პირველი გოლი კი ორი კვირის წინ „სიენასთან" გაიტანა.

ვიერის შეძენას „ფიორენტინა" და „ტორინოც" აპირებენ. „ნაპოლის" პრეზიდენტმა აურელიო დე ლოურენტისმა კი განაცხადა: „გუნდი აუცილებლად უნდა გავაძლიეროთ და ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშოთ".

ნეაპოლური კლუბის გენერალური დირექტორი პიერპაოლო მარინო უკვე დაუკავშირდა ვიერის აგენტს და ტრანსფერზე ელაპარაკა.

# ოპერაცია ლუკას

**„ფიორენტინას"** ფორვარდ ლუკა ტონის ოპერაცია ელის და ამ სეზონში ველარ ითამაშებს, ბოლოს იგი აპრილში, „ლაციოსთან" მატჩში გამოჩნდა და მას შემდეგ მკურნალობს. ექიმმა მარკო ბარდელიმ განაცხადა, რომ მას ტერფზე ოპერაცია სჭირდება და უახლოეს დღეებში გაუკეთებენ.

რაც შეეხება ტონის მომავალს, კლუბის პრეზიდენტმა ანდრეა დელა ვალემ თქვა, არჩევანში თავისუფალია და სადაც უნდა, იქ გადავიდესო.

შეგახსენებთ, რომ ლუკა ტონის ყიდვა მიუნხენის „ბაიერნს" სურს და ალბათ ტრანსფერს მოაგვარებს კიდეც.

# ბუფონმა მილანში სახლი ნახა

**„იუვენტუსის"** მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი ალბათ მაინც გადავა „მილანში" — წერს „გაძეტა დელო სპორტი".

ბუფონი ამტკიცებდა, რომ გუნდის გამოცვლას არ აპირებს, მაგრამ იგი მეუღლესთან ერთად მილანში უნახავთ — ცოლ-ქმარი სახლის საყიდლად იყო ჩასული და მილანელოს ბაზიდან 45 წუთის სავალზე მდებარე შენობა შეუგულებიათ, რომელშიც ადრე დენის ბერხკამპს და ლოთარ მათეუსს უცხოვრიათ.

# კლაასის ხელფასი

**„ტუტოსპორტის"** ცნობით, „იუვენტუსმა" კლაას-იან ჰუნტელაართან პირადი კონტრაქტის პირობები შეათანხმა. „აიაქსის" ფორვარდი ტურინულ კლუბში წელიწადში 3 მილიონ 500 ათას ევროს მიიღებს, მაგრამ „იუვე" და „აიაქსი" ფეხბურთელის ფასზე ჯერ არ მორიგებულან. ამსტერდამელები 18 მილიონ ევროს ითხოვენ.

# ბაცანი მივა, ლუკარელი წავა

**„სამპდორიას"** მეგოლე ფაბიო ბაცანი მომავალი სეზონიდან „ლივორნოში" ითამაშებს — ამის შესახებ ლივორნოელთა პრეზიდენტმა ალდო სპინელიმ განაცხადა.

„ჯერჯერობით ერთადერთი ტრანსფერი ესაა — თქვა სპინელიმ — ბაცანის „სამპდორიასთან" კონტრაქტი დაუსრულდა და ჩვენი ფეხბურთელი გახდება".

სამპდორიელის მისვლა კი ალბათ „ლივორნოდან" კრისტიანო ლუკარელის წასვლას გამოიწვევს, რომელსაც პრეზიდენტთან არცთუ კარგი ურთიერთობა აქვს.

**ბოკა ბანდელაძე**

# იტალია

| XXXVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| მილანი | : | უდინეზე |
| **ხვალ** | | |
| კიევო | : | ასკოლი |
| მესინა | : | ფიორენტინა |
| სამპდორია | : | კატანია |
| ატალანტა | : | ინტერი |
| ტორინო | : | ლივორნო |
| ლაციო | : | პარმა |
| ემპოლი | : | რეჯინა |
| კალიარი | : | რომა |
| პალერმო | : | სიენა |

# იტალიას ინტრიგა ქვემოთ დარჩა

**ცხრილს** თუ ჩახედავთ, ნახავთ, რომ ბოლო ორი გუნდი უკვე გავარდნილია, ხოლო მეთერთმეტე ადგილზე მყოფ „ლივორნოდან" მოყოლებული და „კიევოთი" დამთავრებული ჯერაც გადარჩენისთვის იბრძვიან.

ერთი სიტყვით, სერია A-ს ბოლო ორ ტურში რეალურად გასარკვევი ისლა დარჩა, ვინ იქნება მომდევნო უიღბლო.

ბოლოდან მესამე ახლა „კიევოა", მაგრამ ლუიჯი დელ ნერის გუნდი ბოლო ტურებში დამაჯერებლად თამაშობს, თან უკვე გავარდნილ „ასკოლის" მასპინძლობს და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, „მფრინავი ვირები" აუცილებლად მოიგებენ და სახიფათო ზონიდან ბოლო ტურამდე მაინც ამოძვრებიან. ეს „რაიმე გაუთვალისწინებელი" კი ფუჭი სიტყვები სულაც არ არის — გაიხსენეთ, როგორ მოუგო „ასკოლიმ" წინა ტურში „პალერმოს"... სიტყვამ მოიტანა და, „პალერმოზე" გადავიდეთ, სადაც დიდი აურზაურია. სეზონის ბოლო ორი მატჩისთვის მწვრთნელად ფრანჩესკო გვიდოლინი დააბრუნეს, კლუბის პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ კი ცოფები ჰყარა, თუ „სიენასაც" ვერ მოუგებთ და საბოლოოდ უეფას თასის საგზურსაც დაკარგავთ, მერე მე ვიციო.

სათქმელად ადვილია, მაგრამ... „სიენას" თავისი გასაჭირი აქვს, ქულები ჰაერივით სჭირდება და ამიტომ ტოსკანელები უბრძოლველად არაფერს დათმობენ.

„ემპოლი" „რეჯინას" მასპინძლობს და, წესით, ძალიან დაძაბული მატჩი უნდა გამოვიდეს. რეჯოკალაბრიელებს მარცხი, შესაძლოა, ძვირად დაუჯდეთ, არადა, არც ტოსკანელები არიან უმოტივაციოდ — უეფას თასის საგზურისთვის იბრძვიან.

„ლაციო" „პარმას" მასპინძლობს. დედაქალაქელებს ისლა დარჩენიათ გასარკვევი, მესამე ადგილზე თავად გავლენ თუ „მილანი". „ენიო ტარდინის" ბინადრებს კი გაცილებით დიდი საფიქრალი აქვთ და კლაუდიო რანიერის გუნდი ეცდება, „ოლიმპიკოდან" ქულა მაინც წამოიღოს.

სრულიად უმოტივაციო „რომა" გადარჩენისთვის მებრძოლ „კალიარის" სტუმრობს. იგივე ითქმის „სამპდორია" — „კატანიას" წყვილზეც, მაგრამ აქ უმოტივაციოდ მასპინძლები არიან. თუმცა წინასწარი ინფორმაციით, არც გენუელები და არც კატანიელები სარეზერვო შემადგენლობით თამაშს არ აპირებენ.

„ატალანტას" ჯერ კიდევ შერჩა იმის პატარა იმედი, რომ უეფას თასის საგზურს გამოჰკრას ხელს. ამიტომ ბერგამოელები ჩემპიონ „ინტერთან" თავგამოდებით ითამაშებენ. თან, მილანელებს სხვადასხვა მიზეზის გამო რამდენიმე ლიდერი აკლიათ.

მასპინძლებს კი კრისტიანო დონი, მარინო დეფენდი და ჯულიო მილიაჩო არ ეყოლებათ.

სხვა ყველა მატჩზე ერთი დღით ადრე კი „მილანი" — „უდინეზეა". ეს შეხვედრა ბევრს არაფერს წყვეტს და ამიტომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასულ „შავ-წითლებს" შაბათს თამაშის ნება უპრობლემოდ დართეს. ცხადია, „მილანი" თავს არ მოიკლავს და მთლად უმოტივაციოდ არიან უდინელებიც, მაგრამ ამ კლუბებს შორის თამაშები თითქმის ყოველთვის საინტერესო გამოდის და ვნახოთ...

**გიორგი ბაბაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 36 | 29 | 6 | 1 | 76:33 | 93 |
| რომა | 36 | 21 | 9 | 6 | 68:28 | 72 |
| მილანი | 36 | 19 | 12 | 5 | 55:31 | 61 |
| ლაციო | 36 | 18 | 10 | 8 | 58:31 | 61 |
| ფიორენტინა | 36 | 20 | 9 | 7 | 55:28 | 54 |
| ემპოლი | 36 | 14 | 11 | 11 | 38:37 | 53 |
| პალერმო | 36 | 14 | 10 | 12 | 54:49 | 52 |
| ატალანტა | 36 | 12 | 13 | 11 | 53:49 | 49 |
| სამპდორია | 36 | 12 | 10 | 14 | 42:43 | 46 |
| უდინეზე | 36 | 11 | 10 | 15 | 45:51 | 43 |
| ლივორნო | 36 | 9 | 12 | 15 | 37:52 | 39 |
| ტორინო | 36 | 10 | 9 | 17 | 27:44 | 39 |
| პარმა | 36 | 9 | 11 | 16 | 38:55 | 38 |
| კატანია | 36 | 9 | 11 | 16 | 44:67 | 38 |
| სიენა | 36 | 8 | 14 | 14 | 32:42 | 37 |
| კალიარი | 36 | 8 | 13 | 15 | 31:42 | 37 |
| რეჯინა | 36 | 11 | 14 | 11 | 47:47 | 36 |
| კიევო | 36 | 8 | 12 | 16 | 37:46 | 36 |
| მესინა | 36 | 5 | 10 | 21 | 32:63 | 25 |
| ასკოლი | 36 | 4 | 12 | 20 | 34:65 | 24 |

*სიენას დაკლებული აქვს 1 ქულა, ლაციოს 3 ქულა, მილანს 8 ქულა, რეჯინას 11 ქულა, ფიორენტინას 15 ქულა*

# ფაბიო კანავარო: რეალურად თავს სულ რეალელად ვგრძნობდი



**იტალიის** ნაკრების კაპიტანმა ფაბიო კანავარომ უარყო ხმები, თითქოს ამ ზაფხულს მადრიდის „რეალიდან" წასვლას და სამშობლოში დაბრუნებას აპირებდეს.

შეგახსენებთ, რომ 33 წლის მცველი შარშან ზაფხულს „იუვენტუსიდან" გადავიდა „რეალში", მაგრამ მისი ესპანური კარიერა არცთუ კარგად აეწყო.

— „რეალში" ჩემს თავს კიდევ ორი-სამი წელი ვხედავ. ფეხბურთელების კარიერა ახლა, როგორც წესი, გაცილებით ხანგრძლივია, ვიდრე ადრე იყო. ამის უამრავი მაგალითი არსებობს და მეც კიდევ რამდენიმე წელი ვაპირებ თამაშს. რაც შეეხება კარიერის დასრულებას, აზრი არ შემიცვლია, მინდა, ეს მშობლიურ „ნაპოლიში" მოხდეს — განაცხადა კანავარომ.

მადრიდელები პრიმერადივიზიონის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე ცხრილს სათავეში მოექცნენ და ჩემპიონობის რეალური შანსიც გაუჩნდათ. არადა, სეზონის ძალიან არადამაჯერებლად დაწყების გამო მათ ბევრი კრიტიკოსი ჰყავდათ და არც კანავაროს ინდობდნენ.

ფაბიო კანავარო: „ნამდვილად სხვანაირ „რეალს" ველოდი, მაგრამ რაც მოხდა, ნორმალურია. ახალი მწვრთნელი, ახალი ფეხბურთელები... ყველაფრის დალაგებას დრო სჭირდება და ჩვენც ნელ-ნელა გამოვასწორეთ თამაში. იმედია, ასევე გავაგრძელებთ. ჩემი აზრით, ერთ-ორ წელიწადში „რეალი" საერთოდ შეუდარებელი იქნება".

**ქოქი ქანდელაკი**

# ალესანდრო ნესტაზე სალაპარაკო მოსპო

**იტალიის** ნაკრებისა და „მილანის" მცველმა ალესანდრო ნესტამ კლუბთან კონტრაქტი 2011 წლის 30 ივნისამდე გააახანგრძლივა. აქამდე მოქმედ შეთანხმებას ვადა 2008 წლის ზაფხულში გასდიოდა და ამბობდნენ, იგი „ლაციოში" დაბრუნებას აპირებსო, მაგრამ 31 წლის მცველმა „როსონერისთან" ახალი კონტრაქტის გაფორმებით ამ მითქმა-მოთქმას წერტილი დაუსვა.



„ვადასტურებთ, რომ ალესანდრო ნესტასთან კონტრაქტი 2011 წლის 30 ივნისამდე გავახანგრძლივეთ. შეთანხმებით ორივე მხარე ძალიან კმაყოფილია" — ნათქვამია „მილანის" ოფიციალურ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ ნესტა „როსონერიში" მეხუთე სეზონს ატარებს. მას კლუბთან ერთად უკვე მოგებული აქვს ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერთასი და იტალიის თასი. 23 მაისს კი „ბიანკონერისტის" ექსკაპიტანი ჩემპიონთა ლიგის მეორედ მოგებას ეცდება.

**ქოქი ქანდელაკი**

# მესტოს ადგილი იუვენტუსშია

**იტალიური** „გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, ტურინის „იუვენტუსი" უკვე შეუთანხმდა „რეჯინას" ჯანდომენიკო მესტოს ტრანსფერზე. ოფიციალურად ეს ყველაფერი მას მერე გაფორმდება და გაცხადდება, როცა რეჯოკალაბრიელები სერია A-ში დარჩენისთვის ბრძოლას დაასრულებენ.

ამბობენ, „რეჯინას" პრეზიდენტი ლილო ფოტი 25 წლის ნახევარმცველში 7,5 მილიონ ევროს ითხოვდა, მაგრამ „იუვე" რეჯოკალაბრიელებს ნაკლებ თანხას გადაუხდის და ერთ ან ორ ახალგაზრდა, პერსპექტიულ ფეხბურთელს დაუთმობსო.

თითქოს საბოლოოდ გადაწყვეტილია ისიც, რომ მაურო კამორანეზი „იუვენტუსში" დარჩება. შესაძლოა, ამან მარკო მარკიონის წასვლა გამოიწვიოს — მისით „ფიორენტინაა" დაინტერესებული.

„ბებერი ქალბატონის" პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ კი კიდევ ერთხელ უარყო დიდიე დეშანის სხვა მწვრთნელით შესაძლო შეცვლის ვარიანტი. შეგახსენებთ, რომ ფრანგი სპეციალისტის აგენტმა ახლახან თქვა, ტურინულ კლუბში დეშანს ბოლომდე არ ენდობიან და მის შრომას სათანადოდ ვერ აფასებენო...

„აგენტის სიტყვები წავიკითხე და ვერაფერი გავიგე. იმედია, ეს მხოლოდ მისი ნააზრევია და არა დიდიესი. მოდით, დეშანის წასვლა-არწასვლისგან სერიალს ნუ გავაკეთებთ. უკვე მრავალჯერ ვთქვით, რომ დეშანის გაწეულ სამუშაოს ძალიან ვაფასებთ და იგი მომავალ სეზონშიც „იუვეს" მწვრთნელი იქნება" — განაცხადა კობოლი ჯილიმ.

**გიორგი ქაქაბაძე**

## ნანი გაძვირდა

**სპორტინგელი** ნანის სანაცვლოდ „მანჩესტერს" 20 მილიონი გირვანქის გადახდა მოუწევს. 20 წლის ნახევარმცველმა „სპორტინგთან" კონტრაქტი ექვსი წლით გააახანგრძლივა და მისი ფასი სამი მილიონით გაიზარდა.

ალექს ფერგიუსონს ნანი რაიან გიგზის შემცვლელად უნდა, რომელიც მომავალი სეზონის ბოლოს კარიერის დასრულებას აპირებს.

## მაისი და მუნიოსი

**ბერძნულმა** „პანათინაიკოსმა" ოფიციალურად დაადასტურა მწვრთნელ ვიქტორ მუნიოსის გათავისუფლების ამბავი.

50 წლის ესპანელმა 2006-ის ოქტომბერში შვედი ჰანს ბაკე შეცვალა, მაგრამ გუნდს ჩემპიონატი ვერ მოაგებინა — მესამე ადგილზე გავიდა.

მუნიოსს „მალიორკაში", „ლოგრონიესში", „ლეიდაში", „ვილიარეალსა" და „სარაგოსაში" უმუშავია.

ბერძნული მედიის ცნობით, ესპანელს ალბათ ჟოზე პეშეირა შეცვლის, რომელიც ადრე ლისაბონის „სპორტინგს" წვრთნიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| XXXIV ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| შალკე | : | არმინია |
| გლადბახი | : | ბოხუმი |
| ჰამბურგი | : | ალემანია |
| შტუტგარტი | : | კოტბუსი |
| ვოლფსბურგი | : | ვერდერი |
| აინტრახტი | : | ჰერტა |
| ლევერკუზენი | : | დორტმუნდი |
| ჰანოვერი | : | ნიურნბერგი |
| ბაიერნი | : | მაინცი |

# გერმანია

# 15 წლის მეჰმეთ შოლი ბერდება

**ზედიზედ** შვიდი მატჩის მომგებ „შტუტგარტს" რა უნდა დაემართოს, რომ „კოტბუსთან" მერვე არ გაიფორმოს და ჩემპიონის გვირგვინი ვერ დაიდგას. მით უმეტეს, არმინ ფეეს სრული საბრძოლო შემადგენლობა ეყოლება — არც ერთი ტრავმირებული და დისკვალიფიცირებული.

მთავარმწვრთნელე მარიო გომესმა გუნდს სწორედ კარგ დროს მოუსწრო — თებერვალში დაშავებული ფორვარდი ერთი კვირის წინ დაუბრუნდა „შტუტგარტს" და „ბოხუმთან" შეცვლაზე შესულმა 1:2-ზე ანგარიში გაათანაბრა. გომესი ალბათ დღეს ძირითად შემადგენლობაში იქნება.

„დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ თავიდანვე ვათამაშო" — თქვა არმინ ფეემ.

„კოტბუსს" რომელმაც ბოლო თამაში წააგო, კაპიტანი კევინ მაკკენა ტრავმის გამო დააკლდება.

აღსანიშნავია, რომ ბოლოს „შტუტგარტმა" 17 მარტს „შალკესთან" წააგო, რომელსაც წინა ტურში პირველი ადგილი წაართვა. გელზენკირხენელები სასწაულის იმედად არიან — „კოტბუსმა" „შტუტგარტს" უნდა მოუგოს, „ხუმარებმა" კი „არმინია" დაამარცხონ და ამ შემთხვევაში „შალკე" გახდება ჩემპიონი.

გელზენკირხენელთა მეკარე მანუელ ნოიერი დაშავებულია და, თუ გამოკეთება ვერ მოასწრო, მის ადგილს ტონი ტაპალოვიჩი დაიკავებს. ექვსთვიანი მკურნალობის შემდეგ მომჯობინდა პეტერ ლოვენკრანდსი. მირკო სლომკა კი შიშობს, რომ „კოტბუსი" მთელი ძალით არ ეთამაშება „შტუტგარტს", რადგან ბუნდესლიგაში ადგილი განაღდებული აქვს.

„ვერდერი" „ვოლფსბურგს" ესტუმრება და მოგების შემთხვევაშიც ვერ ასცდება მესამე ადგილს, რადგან „შალკე" ალბათ „ვერ მოახერხებს" შინ „არმინიასთან" დამარცხებას.

მიუნხენის „ბაიერნი" „მაინცს" უმასპინძლებს და მეჰმეთ შოლი კარიერას ამ მატჩით დაასრულებს. 36 წლის ნახევარმცველმა 15 წელი შეალია „ბაიერნს" და 392 შეხვედრაში ითამაშა.

კარიერის ბოლო მატჩი იქნება „ლევერკუზენის" მეკარე იორგ ბუტისთვისაც. მან მეორე წრეში რენე ადლერს დაუთმო ადგილი ძირითად შემადგენლობაში.

32 წლის მეკარემ 6 სეზონში 190-ჯერ ითამაშა და 7 გოლი პენალტით გაიტანა...

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | ო | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შტუტგარტი | | 3:0 | 4:1 | 2:0 | 3:0 | 0:3 | 1:3 | 2:1 | 2:0 | 3:2 | 1:0 | 0:0 | | 1:1 | 0:0 | 3:1 | 2:0 | 1:0 | 33 | 20 | 7 | 6 | 60:36 | 67 | 11 | 3 | 2 | 28:12 | 36 | 9 | 4 | 4 | 32:24 | 31 |
| 2 | შალკე | 1:0 | | 2:0 | 2:2 | 0:1 | 1:0 | 3:1 | 2:1 | 0:2 | | 2:1 | 2:0 | 2:0 | 1:1 | 2:0 | 2:1 | 4:0 | 2:0 | 33 | 20 | 5 | 8 | 51:31 | 65 | 12 | 2 | 2 | 28:10 | 38 | 8 | 3 | 6 | 23:21 | 27 |
| 3 | ვერდერი | 2:3 | 0:2 | | 3:1 | 2:1 | 1:0 | 1:3 | 3:0 | 0:2 | 3:0 | 3:0 | 3:1 | 1:1 | 1:2 | 2:1 | 3:1 | 2:0 | 3:0 | 33 | 19 | 6 | 8 | 74:40 | 63 | 11 | 1 | 5 | 33:18 | 34 | 8 | 5 | 3 | 41:22 | 29 |
| 4 | ბაიერნი | 2:1 | 2:0 | 1:1 | | 2:1 | 0:0 | 2:0 | 0:1 | 1:2 | 1:0 | 0:0 | 4:2 | 2:1 | 2:0 | 2:1 | 2:1 | | 1:1 | 33 | 17 | 6 | 10 | 50:38 | 57 | 10 | 4 | 2 | 24:12 | 34 | 7 | 2 | 8 | 26:26 | 23 |
| 5 | ლევერკუზენი | 3:2 | 3:1 | 0:2 | 2:3 | | 2:0 | | 0:1 | 1:2 | 1:2 | 1:4 | 2:1 | 3:1 | 2:2 | 1:1 | 3:0 | 1:1 | 1:0 | 33 | 14 | 6 | 13 | 52:49 | 48 | 7 | 3 | 6 | 26:23 | 24 | 7 | 3 | 7 | 26:26 | 24 |
| 6 | ნიურნბერგი | 4:1 | 0:0 | 1:2 | 3:0 | 3:2 | | 1:1 | 3:1 | 0:2 | 1:1 | 1:1 | 2:1 | 1:0 | 2:2 | 1:1 | 1:0 | 1:1 | 1:0 | 33 | 10 | 15 | 8 | 40:32 | 45 | 8 | 7 | 2 | 26:16 | 31 | 2 | 8 | 6 | 14:16 | 14 |
| 7 | დორტმუნდი | 0:1 | 2:0 | 0:2 | 3:2 | 1:2 | 0:0 | | 2:2 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 1:2 | 2:3 | 2:0 | 1:0 | 0:0 | 1:1 | 1:0 | 33 | 12 | 8 | 13 | 40:41 | 44 | 6 | 6 | 5 | 19:17 | 24 | 6 | 2 | 8 | 21:24 | 20 |
| 8 | ჰანოვერი | 1:2 | 1:1 | 2:4 | 1:2 | 1:1 | | 4:2 | | 0:0 | 1:1 | 0:2 | 5:0 | 2:0 | 1:1 | 2:2 | 0:3 | 1:0 | 1:0 | 33 | 12 | 8 | 13 | 41:47 | 44 | 5 | 6 | 5 | 23:21 | 21 | 7 | 2 | 8 | 18:26 | 23 |
| 9 | ჰამბურგი | 2:4 | 1:2 | 1:1 | 1:2 | 0:0 | 0:0 | 3:0 | 0:0 | | 1:1 | 0:3 | 1:1 | 1:1 | 3:1 | 1:0 | | 2:2 | 1:1 | 33 | 9 | 15 | 9 | 39:37 | 42 | 3 | 9 | 4 | 18:19 | 18 | 6 | 6 | 5 | 21:18 | 24 |
| 10 | არმინია | 2:3 | 0:1 | 3:2 | 2:1 | 0:0 | 3:2 | 1:0 | 3:1 | 1:1 | | 1:3 | 2:2 | 3:1 | 2:4 | 0:0 | 5:1 | 1:0 | 0:2 | 33 | 11 | 9 | 13 | 46:47 | 42 | 8 | 4 | 5 | 29:24 | 28 | 3 | 5 | 8 | 17:23 | 14 |
| 11 | ბოხუმი | 2:3 | 2:1 | 0:6 | 1:2 | 1:3 | 0:2 | 2:0 | 2:0 | 2:1 | 2:1 | | 1:3 | 0:1 | 4:3 | 0:1 | 2:2 | 0:1 | 2:0 | 33 | 12 | 6 | 15 | 47:50 | 42 | 7 | 1 | 9 | 23:30 | 22 | 5 | 5 | 6 | 24:20 | 20 |
| 12 | ჰერტა | 2:2 | 2:0 | 1:4 | 2:3 | 2:3 | 2:1 | 0:1 | 4:0 | 2:1 | 1:1 | 3:3 | | 0:1 | 1:0 | 2:1 | 2:1 | 1:2 | 2:1 | 33 | 11 | 8 | 14 | 48:54 | 41 | 8 | 3 | 6 | 29:25 | 27 | 3 | 5 | 8 | 19:29 | 14 |
| 13 | კოტბუსი | 0:0 | 2:4 | 0:0 | 0:3 | 2:1 | 1:1 | 2:3 | 0:1 | 2:2 | 2:1 | 0:0 | 2:0 | | 0:1 | 3:2 | 0:2 | 2:0 | 3:1 | 33 | 11 | 8 | 14 | 37:47 | 41 | 6 | 5 | 6 | 21:22 | 23 | 5 | 3 | 8 | 16:25 | 18 |
| 14 | აინტრახტი | 0:4 | 1:3 | 2:6 | 1:0 | 3:1 | 2:2 | 1:1 | 2:0 | 2:2 | 0:3 | 0:3 | | 1:3 | | 0:0 | 4:0 | 0:0 | 1:0 | 33 | 9 | 13 | 11 | 45:56 | 40 | 5 | 5 | 6 | 20:28 | 20 | 4 | 8 | 5 | 25:28 | 20 |
| 15 | ვოლფსბურგი | 1:1 | 2:2 | | 1:0 | 3:2 | 1:1 | 0:2 | 1:2 | 1:0 | 2:3 | 3:1 | 0:0 | 0:0 | 2:2 | | 1:2 | 3:2 | 1:0 | 33 | 8 | 13 | 12 | 37:43 | 37 | 6 | 6 | 4 | 22:20 | 24 | 2 | 7 | 8 | 15:23 | 13 |
| 16 | ალემანია | 2:4 | 0:1 | 2:2 | 1:0 | 2:3 | 1:1 | 1:4 | 1:4 | 3:3 | 2:0 | 2:1 | 0:4 | 1:2 | 2:3 | 2:2 | | 2:1 | 4:2 | 33 | 9 | 7 | 17 | 46:66 | 34 | 5 | 4 | 8 | 28:37 | 19 | 4 | 3 | 9 | 18:29 | 15 |
| 17 | მაინცი | 0:0 | 0:3 | 1:6 | 0:4 | 1:3 | 2:1 | 1:0 | 1:2 | 0:0 | 1:0 | 2:1 | 1:1 | 4:1 | 1:1 | 1:2 | 1:3 | | 3:0 | 33 | 8 | 10 | 15 | 32:52 | 34 | 6 | 4 | 7 | 20:28 | 22 | 2 | 6 | 8 | 12:24 | 12 |
| 18 | მიონხენგლადბახი | 0:1 | 0:2 | 2:2 | 1:1 | 0:2 | 0:0 | 1:0 | 0:1 | 0:1 | 1:0 | | 3:1 | 2:0 | 1:1 | 3:1 | 0:0 | 1:1 | | 33 | 6 | 8 | 19 | 23:42 | 26 | 5 | 6 | 5 | 15:14 | 21 | 1 | 2 | 14 | 8:28 | 5 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 15:00 | 540 | ბლეკპული-ოლდემი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 490 | ექსეტერი-მორეკამბი | 2.40 | 3.10 | 2.70 | 1.35 | 1.27 | 1.44 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 15:30 | 5 | დანდი იუნაიტედი-მაზერუელი | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 15:30 | 6 | დანფერმლაინი-ფოლკირკი | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 15:30 | 7 | სტ.მირენი-ინვერნესი | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 8 | აბერდინი-რეინჯერსი | 2.50 | 3.30 | 2.55 | 1.42 | 1.26 | 1.43 |
| 17:00 | 10 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 3.55 | 3.30 | 1.90 | 1.71 | 1.23 | 1.20 |
| 17:00 | 12 | კილმარნოკი-ჰარტსი | 4.00 | 3.20 | 1.85 | 1.77 | 1.26 | 1.17 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 17:30 | 13 | ბაიერნი-მაინცი | 1.35 | 4.30 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.85 |
| 17:30 | 15 | აინტრახტი-ჰერტა | 2.20 | 3.30 | 2.95 | 1.32 | 1.26 | 1.55 |
| 17:30 | 16 | ჰამბურგი-ალემანია | 1.60 | 3.70 | 5.20 | 1.11 | 1.22 | 2.16 |
| 17:30 | 17 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.85 | 3.50 | 3.80 | 1.21 | 1.24 | 1.82 |
| 17:30 | 18 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 2.45 | 3.30 | 2.60 | 1.40 | 1.26 | 1.45 |
| 17:30 | 19 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 17:30 | 20 | შალკე-არმინია | 1.22 | 5.60 | 10.00 | 1.00 | 1.08 | 3.58 |
| 17:30 | 22 | შტუტგარტი-კოტბუსი | 1.20 | 6.30 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 4.13 |
| 17:30 | 23 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 3.50 | 3.30 | 1.95 | 1.69 | 1.25 | 1.22 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 16:00 | 25 | აუე-მიუნხენი 1860 | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 16:00 | 26 | აუგსბურგი-კარლ ცაისი | 3.20 | 3.20 | 2.05 | 1.60 | 1.24 | 1.24 |
| 16:00 | 27 | ბურგჰაუზენი-პადერბორნი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 16:00 | 28 | დუისბურგი-ესენი | 1.50 | 3.70 | 5.70 | 1.06 | 1.18 | 2.24 |
| 16:00 | 29 | ფრაიბურგი-კობლენცი | 1.20 | 5.70 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.75 |
| 16:00 | 30 | ფიურტი-კარლსრუე | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 16:00 | 31 | ჰანზა-უნტერჰახინგი | 1.50 | 3.60 | 6.20 | 1.05 | 1.20 | 2.27 |
| 16:00 | 32 | კაიზერსლაუტერნი-კიოლნი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 16:00 | 33 | ოფენბახი-ბრაუნშვაიგი | 1.30 | 4.50 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.94 |
| | | გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.) | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 16:00 | 34 | ვუპერტალი-ვილჰელმშავენი | 1.40 | 3.80 | 6.50 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 16:00 | 35 | ალენი-მიონხენგლადბახი(მ) | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 16:00 | 36 | დორტმუნდი(მ)-უნ ბერლინი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 16:00 | 37 | დინამო-ემდენი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 16:00 | 38 | დიუსელდორფი-ჰამბურგი(მ) | 1.95 | 3.20 | 3.35 | 1.21 | 1.23 | 1.63 |
| 16:00 | 39 | ლიუბეკი-ჰერტა(მ) | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 16:00 | 40 | მაგდებურგი-ლევერკუზენი(მ) | 1.35 | 4.00 | 7.50 | 1.00 | 1.14 | 2.60 |
| 16:00 | 41 | ოსნაბრიუკი-კილი | 1.85 | 3.20 | 3.55 | 1.17 | 1.21 | 1.68 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 16:00 | 42 | ერფურტი-სტ.პაული | 3.85 | 3.30 | 1.80 | 1.77 | 1.22 | 1.16 |
| | | გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.) | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 16:30 | 47 | აალენი-ზიგენი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 16:30 | 48 | ჰესენი-კასელი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 16:30 | 49 | ინგოლშტადი-ბაიერნი(მ) | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 16:30 | 50 | კარლსრუე(მ)-ზაარბრიუკენი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 51 | შტუტგარტი(მ)-დარმშტადი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 17:30 | 57 | ავსტრია-ალტახი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 17:30 | 59 | მატერსბურგი-ტიროლი | 1.25 | 4.80 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.24 |
| 17:30 | 60 | პაშინგი-შტურმი | 1.52 | 3.60 | 5.50 | 1.06 | 1.19 | 2.17 |
| 17:30 | 61 | ზალცბურგი-რაპიდი | 2.15 | 3.30 | 2.90 | 1.30 | 1.23 | 1.54 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 19:45 | 78 | გრასჰოპერი-თუნი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| 19:45 | 79 | ლუცერნი-ბაზელი | 7.50 | 4.20 | 1.35 | 2.69 | 1.14 | 1.02 |
| 19:45 | 81 | სტ.გალენი-სიონი | 1.90 | 3.20 | 3.75 | 1.19 | 1.26 | 1.72 |
| 19:45 | 82 | იანგ ბოიზი-ციურიხი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 80 | შაფჰაუზენი-აარაუ | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 21:30 | 92 | კიასო-ლუგანო | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 21:30 | 93 | კონკორდია-კრიენსი | 2.95 | 3.20 | 2.15 | 1.53 | 1.24 | 1.28 |
| 21:30 | 94 | დელემონი-ვადუცი | 1.90 | 3.40 | 3.30 | 1.21 | 1.20 | 1.67 |
| 21:30 | 95 | ლოზანა-შო დე ფონი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 21:30 | 96 | ლოკარნო-ივერდონი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 21:30 | 97 | სერვეტი-ბელინცონა | 3.20 | 3.30 | 1.95 | 1.62 | 1.21 | 1.22 |
| 21:30 | 98 | ვილი-იუვენტუსი | 1.45 | 3.80 | 6.20 | 1.04 | 1.17 | 2.35 |
| 21:30 | 99 | ვინტერთური-ვოლენი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 21:30 | 100 | ქსამაქსი-ბოლში | 1.25 | 4.80 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.13 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 108 | მილანი-უდინეზე | 2.05 | 2.60 | 4.55 | 1.14 | 1.41 | 1.65 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 101 | ატალანტა-ინტერი | 2.50 | 3.10 | 2.70 | 1.38 | 1.29 | 1.44 |
| 17:00 | 103 | კალიარი-რომა | 1.60 | 3.40 | 5.80 | 1.08 | 1.25 | 2.14 |
| 17:00 | 104 | კიევო-ასკოლი | 1.12 | 6.50 | 20.00 | 1.00 | 1.06 | 4.90 |
| 17:00 | 105 | ემპოლი-რეჯინა | 3.00 | 2.50 | 2.75 | 1.36 | 1.43 | 1.30 |
| 17:00 | 106 | ლაციო-პარმა | 3.35 | 2.30 | 2.50 | 1.36 | 1.43 | 1.19 |
| 17:00 | 107 | მესინა-ფიორენტინა | 7.50 | 3.70 | 1.45 | 2.47 | 1.21 | 1.04 |
| 17:00 | 110 | პალერმო-სიენა | 2.50 | 2.50 | 3.35 | 1.25 | 1.43 | 1.43 |
| 17:00 | 111 | სამპდორია-კატანია | 2.85 | 3.20 | 2.35 | 1.50 | 1.28 | 1.35 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 113 | არეცო-იუვენტუსი | 4.80 | 2.60 | 1.90 | 1.68 | 1.36 | 1.09 |
| 18:00 | 114 | ბარი-ჯენოა | 3.60 | 2.30 | 2.45 | 1.40 | 1.45 | 1.18 |
| 18:00 | 115 | ბოლონია-ბრეშა | 1.80 | 2.80 | 4.85 | 1.09 | 1.31 | 1.77 |
| 18:00 | 116 | ჩეზენა-პიაჩენცა | 3.40 | 2.70 | 2.20 | 1.50 | 1.33 | 1.21 |
| 18:00 | 117 | ფროზინონე-ტრევიზო | 2.20 | 2.20 | 4.65 | 1.10 | 1.49 | 1.49 |
| 18:00 | 118 | მანტოვა-ვერონა | 1.60 | 3.30 | 5.30 | 1.07 | 1.22 | 2.03 |
| 18:00 | 119 | ნაპოლი-მოდენა | 1.35 | 3.80 | 9.00 | 1.00 | 1.17 | 2.67 |
| 18:00 | 120 | პესკარა-ალბინოლეფე | 3.80 | 2.70 | 2.05 | 1.57 | 1.33 | 1.16 |
| 18:00 | 121 | სპეცია-რიმინი | 2.75 | 2.50 | 2.75 | 1.30 | 1.37 | 1.30 |
| 18:00 | 122 | ტრიესტინა-კროტონე | 1.34 | 4.20 | 7.50 | 1.01 | 1.13 | 2.69 |
| 18:00 | 123 | ვიჩენცა-ლეჩე | 2.40 | 1.90 | 5.30 | 1.06 | 1.65 | 1.39 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 22:00 | 126 | ბეტისი-ტარაგონა | 1.45 | 3.70 | 7.20 | 1.04 | 1.20 | 2.44 |
| 22:00 | 131 | მალიორკა-ვალენსია | 3.30 | 3.20 | 2.10 | 1.62 | 1.28 | 1.26 |
| 23:45 | 136 | სარაგოსა-ბილბაო | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 23:00 | 124 | ატლეტიკო-ბარსელონა | 3.25 | 3.20 | 2.10 | 1.61 | 1.27 | 1.26 |
| 19:00 | 127 | ესპანიოლი-ხეტაფე | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 19:00 | 128 | დეპორტივო-სევილია | 3.50 | 3.20 | 2.05 | 1.67 | 1.29 | 1.24 |
| 19:00 | 130 | ლევანტე-ოსასუნა | 2.25 | 2.90 | 3.30 | 1.26 | 1.33 | 1.54 |
| 21:00 | 132 | უელვა-რეალი | 4.80 | 3.30 | 1.75 | 1.95 | 1.28 | 1.14 |
| 19:00 | 134 | სოსიედადი-სელტა | 1.95 | 3.30 | 3.65 | 1.22 | 1.27 | 1.73 |
| 19:00 | 135 | ვილიარეალი-რასინგი | 1.75 | 3.30 | 4.55 | 1.14 | 1.26 | 1.91 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 20:30 | 137 | ალავესი-ეხიდო | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 20:30 | 139 | ალმერია-პონფერადინა | 1.55 | 3.70 | 5.20 | 1.09 | 1.19 | 2.16 |
| 20:30 | 142 | სპორტინგი-სალამანკა | 2.30 | 2.90 | 3.20 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 20:30 | 143 | პერკულესი-სერესი | 2.40 | 3.00 | 2.90 | 1.33 | 1.31 | 1.47 |
| 20:30 | 145 | ნუმანსია-ლას პალმასი | 2.05 | 3.00 | 3.60 | 1.21 | 1.30 | 1.63 |
| 20:30 | 147 | ვეცინდარიო-რეალი(ბ) | 3.95 | 3.20 | 1.85 | 1.76 | 1.25 | 1.17 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 138 | ალბასეტე-ხიუდადი | 2.25 | 2.90 | 3.20 | 1.26 | 1.32 | 1.52 |
| 20:00 | 140 | კადისი-ლორკა | 1.95 | 3.10 | 3.60 | 1.19 | 1.26 | 1.66 |
| 20:30 | 141 | კასტელონი-ვალიადოლიდი | 2.75 | 3.00 | 2.50 | 1.43 | 1.30 | 1.36 |
| 14:00 | 144 | მურსია-ელჩე | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 19:30 | 146 | ტენერიფე-მალაგა | 2.10 | 2.90 | 3.55 | 1.21 | 1.31 | 1.59 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 148 | ოსერი-ლილი | 2.10 | 3.00 | 3.50 | 1.23 | 1.31 | 1.61 |
| 22:45 | 149 | ლე მანი-ბორდო | 3.10 | 3.00 | 2.30 | 1.52 | 1.32 | 1.30 |
| 22:45 | 150 | ლანსი-ნიცა | 1.65 | 3.30 | 5.50 | 1.10 | 1.26 | 2.06 |
| 22:45 | 151 | მონაკო-ლიონი | 2.80 | 2.90 | 2.55 | 1.42 | 1.33 | 1.35 |
| 22:45 | 153 | ნანსი-სოშო | 2.50 | 2.90 | 2.90 | 1.34 | 1.34 | 1.45 |
| 22:45 | 154 | ნანტი-ტულუზი | 3.10 | 3.00 | 2.30 | 1.52 | 1.32 | 1.30 |
| 22:45 | 155 | პსჟ-ტრუა | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 22:45 | 156 | რენი-ლორიანი | 1.75 | 3.20 | 4.80 | 1.13 | 1.28 | 1.91 |
| 22:45 | 157 | სედანი-ვალენსიენი | 2.35 | 3.00 | 3.00 | 1.31 | 1.31 | 1.50 |
| 22:45 | 158 | სტ.ეტიენი-მარსელი | 3.00 | 3.00 | 2.35 | 1.50 | 1.31 | 1.31 |
| | | ბელგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 22:00 | 171 | ბრიუგე-სერკლე | 1.50 | 3.70 | 5.80 | 1.06 | 1.19 | 2.25 |
| 22:00 | 172 | შარლერუა-ვარეგემი | 1.42 | 4.00 | 6.50 | 1.04 | 1.16 | 2.47 |
| 22:00 | 173 | ბრიუსელი-გენკი | 2.85 | 3.20 | 2.25 | 1.50 | 1.25 | 1.32 |
| 22:00 | 175 | ლოკერენი-ლიერსი | 2.45 | 3.40 | 2.55 | 1.42 | 1.24 | 1.45 |
| 22:00 | 176 | მუსკრონი-სტანდარდი | 2.60 | 3.30 | 2.40 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 22:00 | 177 | მონსი-ანდერლეხტი | 3.20 | 3.20 | 2.05 | 1.60 | 1.24 | 1.24 |
| 22:00 | 178 | სტ.ტრუიდენი-ბევერენი | 2.40 | 3.30 | 2.55 | 1.38 | 1.23 | 1.43 |
| 22:00 | 179 | ვესტერლო-გენტი | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| | | ბელგია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 180 | დაინცე-ოსტენდე | 1.80 | 3.20 | 3.85 | 1.15 | 1.22 | 1.74 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 181 | დენდერი-ანტვერპენი | 1.85 | 3.20 | 3.65 | 1.17 | 1.22 | 1.70 |
| 17:00 | 182 | ლომელი-ვირტონი | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 17:00 | 183 | ჰევერლე-კორტრაიკი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 17:00 | 184 | რ ვარეგემ-რონსე | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 17:00 | 185 | ვაასლანდი-ეუპენი | 2.20 | 3.30 | 2.75 | 1.32 | 1.22 | 1.50 |
| 17:00 | 186 | სტ.ჟილი-ტიუბიზი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 17:00 | 187 | ტუბიზი-ეუპენი | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| 17:00 | 188 | ვიგორი-მეხელენი | 2.85 | 3.20 | 2.15 | 1.50 | 1.22 | 1.28 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 194 | მარიტიმუ-ბოავიშტა | 2.25 | 3.10 | 3.10 | 1.30 | 1.30 | 1.54 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 22:15 | 189 | ამადორა-ლეირია | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 22:15 | 190 | ბეირა მარი-ფეირენსე | 2.05 | 3.30 | 3.15 | 1.26 | 1.24 | 1.61 |
| 22:15 | 191 | ბენფიკა-აკადემიკა | 1.15 | 6.40 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.17 |
| 22:15 | 193 | ბრაგა-ნასიონალი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 22:15 | 195 | ნავალი-სეტუბალი | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |
| 22:15 | 196 | პორტუ-ავესი | 1.15 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.21 |
| 22:15 | 198 | სპორტინგი-ბელენენსესი | 1.25 | 5.10 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.37 |
| | | პორტუგალია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 19:00 | 199 | ეშტორილი-პენაფიელი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 19:00 | 200 | ფეირენსე-მოსკავიდე | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 19:00 | 201 | პორტიმონენსე-გონდომარი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 19:00 | 202 | გიმარაეში-ოლიანენსე | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| 19:00 | 203 | ლეიშოეში-შავეში | 1.30 | 4.20 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.75 |
| 19:00 | 204 | რიუ ავე-ვიზელა | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| 19:00 | 205 | სანტა კლარა-ვილ ვისენტე | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 19:00 | 206 | ტროფენსე-ვარზიმი | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| | | თურქეთი | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 208 | ბეშიქთაში-ანკარა | 1.45 | 3.50 | 7.00 | 1.02 | 1.20 | 2.33 |
| 20:00 | 212 | გალათასარაი-ფენერბაჩე | 2.00 | 3.10 | 3.35 | 1.21 | 1.25 | 1.61 |
| 20:00 | 214 | გენჩლერბირლიგი-სკარია | 1.22 | 4.50 | 12.00 | 1.00 | 1.10 | 3.27 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 207 | ანკარაგუჩუ-სივასპორი | 2.25 | 2.80 | 3.20 | 1.24 | 1.32 | 1.49 |
| 20:00 | 210 | დენიზლი-კაისერი | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 20:00 | 211 | ერჯიესი-ანტალია | 1.85 | 3.10 | 4.00 | 1.15 | 1.26 | 1.74 |
| 20:00 | 213 | გაზიანთეფი-მანისა | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| 20:00 | 215 | რიზე-კონია | 1.50 | 3.40 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.17 |
| 20:00 | 216 | ტრაბზონი-ბურსა | 1.45 | 3.40 | 7.00 | 1.01 | 1.20 | 2.28 |
| | | რუსეთი | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 16:00 | 218 | როსტოვი-ხიმკი | 2.15 | 2.70 | 3.55 | 1.19 | 1.33 | 1.53 |
| 18:00 | 219 | სატურნი-ნალჩიკი | 1.65 | 3.00 | 6.00 | 1.06 | 1.29 | 2.00 |
| 14:00 | 220 | სპარტაკი მ-ლოკომოტივი მ | 2.10 | 2.90 | 3.50 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 16:00 | 221 | ამკარი-ცსკა მ | 4.50 | 3.00 | 1.80 | 1.79 | 1.28 | 1.12 |
| 19:00 | 222 | დინამო მ-მოსკოვი | 2.50 | 2.60 | 3.00 | 1.27 | 1.36 | 1.39 |
| 16:00 | 223 | ტომსკი-კრილია | 2.10 | 2.70 | 3.90 | 1.18 | 1.36 | 1.59 |
| 14:00 | 224 | ზენიტი-რუბინი | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | პოლონეთი | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 225 | არკა-გურნიკი | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 21:30 | 227 | ლეხი-ლეგია | 2.25 | 3.10 | 3.00 | 1.30 | 1.28 | 1.52 |
| 20:00 | 229 | პოგონი-კრაკოვია | 4.20 | 3.20 | 1.80 | 1.81 | 1.25 | 1.15 |
| 20:00 | 230 | ვიძევი-ოდრა | 2.35 | 3.10 | 2.80 | 1.33 | 1.27 | 1.47 |
| 20:00 | 231 | ვისლა-გროცლინი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 20:00 | 232 | პლოცკი-ლოძი | 2.15 | 3.10 | 3.20 | 1.26 | 1.28 | 1.57 |
| | | ჩეხეთი | | | | | | |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 19:15 | 234 | ბრნო-კლადნო | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 19:15 | 235 | ლიბერეცი-ტეპლიცე | 1.45 | 3.80 | 6.30 | 1.04 | 1.17 | 2.37 |
| 19:15 | 236 | მოსტი-ბოლესლავი | 4.00 | 3.30 | 1.80 | 1.80 | 1.24 | 1.16 |
| 19:15 | 237 | ბანიკი-ბუდეიოვიცე | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 19:15 | 238 | პლზენი-იაბლონეცი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 19:15 | 239 | სიგმა-სპარტა | 4.80 | 3.40 | 1.65 | 1.99 | 1.22 | 1.11 |
| 19:15 | 240 | სლავია-ზლინი | 1.35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| 19:15 | 241 | სლოვაცკო-პრჟიბრამი | 3.80 | 3.40 | 1.85 | 1.79 | 1.24 | 1.19 |
| | | სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 19:00 | 246 | კოშიცე-სენეცი | 1.40 | 3.80 | 6.70 | 1.02 | 1.15 | 2.42 |
| 19:00 | 247 | რუჟომბეროკი-ნიტრა | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 19:00 | 248 | სლოვანი-პეტრჟალკა | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 19:00 | 249 | ჟილინა-ბ.ბისტრიცა | 1.15 | 5.50 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 3.86 |
| | | ხორვატია | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 19:00 | 250 | ციბალია-მედიმური | 1.15 | 6.20 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.08 |
| 22:15 | 251 | დინამო-ჰაიდუკი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| 19:00 | 252 | ოსიეკი-შიბენიკი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 19:00 | 253 | პულა-სლავენი | 1.60 | 3.60 | 4.60 | 1.10 | 1.18 | 2.01 |
| 19:00 | 254 | რიეკა-კამენი | 1.20 | 5.20 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.53 |
| 19:00 | 255 | ვარტეკსი-ზაგრები | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 256 | ოლბორგი-ესბიერგი | 1.60 | 3.60 | 5.20 | 1.10 | 1.22 | 2.12 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 257 | რანდერსი-ჰორსენსი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 17:00 | 258 | სილკებორგი-ნორდსიელანდი | 4.30 | 3.40 | 1.80 | 1.89 | 1.26 | 1.17 |
| 17:00 | 259 | ვეილე-მიდტიულანდი | 4.30 | 3.60 | 1.75 | 1.95 | 1.24 | 1.17 |
| 20:00 | 260 | ვიბორგი-კოპენჰაგენი | 5.30 | 3.50 | 1.65 | 2.10 | 1.25 | 1.12 |
| 17:00 | 261 | ბრიონდბიუ-ოდენსე | 2.25 | 3.30 | 2.95 | 1.33 | 1.27 | 1.55 |
| | | დანია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 262 | ორჰუსი ფრ-კიოგე | 2.85 | 3.40 | 2.15 | 1.55 | 1.22 | 1.31 |
| 17:00 | 263 | ბრაბრანდი-ნესტვედი | 3.20 | 3.40 | 1.95 | 1.64 | 1.21 | 1.23 |
| 17:00 | 264 | ჰელერუპი-კოლდინგი | 3.65 | 3.50 | 1.85 | 1.78 | 1.22 | 1.21 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 15:00 | 265 | ფრემი-ორჰუსი | 3.55 | 3.40 | 1.90 | 1.73 | 1.23 | 1.21 |
| 17:00 | 266 | აკადემისკი-ოლსტიკე | 2.05 | 3.30 | 3.10 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 17:00 | 267 | ფრედერისია-ფრემადი | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 17:00 | 268 | ჰერფოლგე-ტისტედი | 1.85 | 3.40 | 3.50 | 1.19 | 1.21 | 1.72 |
| 17:00 | 269 | სონდერიისკე-ლინგბიუ | 2.70 | 3.40 | 2.25 | 1.50 | 1.22 | 1.35 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 19:00 | 289 | გეფლე-ჰამარბი | 2.85 | 3.20 | 2.35 | 1.50 | 1.28 | 1.35 |
| 19:00 | 290 | იორებრო-მალმიო | 3.60 | 3.30 | 1.95 | 1.72 | 1.26 | 1.22 |
| | | 21 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 291 | აიკ-ჰალმსტადი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 21:00 | 292 | გაის-კალმარი | 3.10 | 3.20 | 2.15 | 1.57 | 1.26 | 1.28 |
| 21:00 | 293 | ტრელებორგი-იურგორდენი | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 19:00 | 299 | ჰეკენი-სირიუსი | 1.55 | 3.60 | 5.20 | 1.08 | 1.19 | 2.12 |
| 19:00 | 300 | მიალბი-დეგერფორსი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| | | 21 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 301 | ატვიდაბერგი-ლიუნგსკილე | 2.60 | 3.30 | 2.35 | 1.45 | 1.23 | 1.37 |
| 21:00 | 302 | ბანკერული-ლანდსკრონა | 2.85 | 3.30 | 2.20 | 1.52 | 1.24 | 1.32 |
| 21:00 | 303 | ენჩოპინგი-ორგრიტე | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 21:00 | 304 | ფალკენბერგი-სუნდსვალი | 2.65 | 3.30 | 2.30 | 1.46 | 1.23 | 1.35 |
| 21:00 | 305 | სილვია-იორგრიტე | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 19:30 | 313 | ტამპერე-ინტერი | 1.55 | 3.50 | 5.30 | 1.07 | 1.19 | 2.10 |
| 19:30 | 314 | ჰონკა-მარიეჰამნი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 19:30 | 315 | ლაჰტი-ოულუ | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 19:30 | 316 | ვიიკინგიტი-ჰაკ | 4.50 | 3.40 | 1.65 | 1.93 | 1.20 | 1.11 |
| 19:30 | 317 | ვპს-იარო | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| | | 21 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 318 | მიუპა-კტპ | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 22:30 | 538 | ლონგფორდი-დერი | 3.50 | 3.10 | 1.95 | 1.64 | 1.25 | 1.19 |
| | | 21 მაისი | | | | | | |
| 23:00 | 539 | სტ.პატრიკსი-დროგედა | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | იაპონია | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 08:00 | 319 | გამბა-კაშივა | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 09:00 | 320 | ნიიგატა-კაშიმა | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 09:00 | 321 | ნაგოია-ურავა | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| 09:00 | 322 | ოიტა-კავასაკი | 3.50 | 3.30 | 1.85 | 1.69 | 1.21 | 1.18 |
| 11:00 | 323 | ჩიბა-ჰიროსიმა | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 11:00 | 324 | ომია-იოკოჰამა ფკ | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 14:00 | 325 | კოფუ-შიმიცუ | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 10:00 | 326 | ივატა-კობე | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 11:00 | 327 | იოკოჰამა ფმ-ტოკიო | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| | | აშშ | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 23:30 | 330 | ტორონტო-ვაშინგტონი | 2.90 | 3.10 | 2.25 | 1.49 | 1.26 | 1.30 |
| 23:45 | 331 | ნიუ იორკი-კოლამბუსი | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 23:45 | 332 | ჰიუსტონი-ნიუ ინგლენდი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 23:45 | 333 | კოლორადო-კანზასი | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 334 | ჩივასი-ლოს ანჯელესი | 2.20 | 3.10 | 3.00 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| 23:45 | 335 | დალასი-სოლტ ლეიკი | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| | | არგენტინა | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 339 | ლანუსი-კოლონი | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 23:45 | 340 | ნიუელსი-სან ლორენსო | 3.10 | 3.20 | 2.05 | 1.57 | 1.23 | 1.24 |
| 23:45 | 345 | ველესი-ხიმნასია ლპ | 1.50 | 3.50 | 5.65 | 1.04 | 1.18 | 2.16 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 22:30 | 338 | ხიმნასია ჟ-ბელგრანო | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 22:30 | 341 | ნუევა ჩიკაგო-გოდოი კრუსი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 23:45 | 342 | კილმესი-ბოკა ხუნიორსი | 7.30 | 4.10 | 1.35 | 2.62 | 1.13 | 1.01 |
| 18:00 | 343 | რასინგი-ინდეპენდიენტე | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 22:00 | 344 | რივერ პლეიტი-ესტუდიანტესი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| | | ბრაზილია | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 552 | ატლეტიკო პრ-ინტერნასიონალი | 2.00 | 3.25 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.62 |
| 23:45 | 553 | ჟუვენტუდი-პარანა | 2.00 | 3.25 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.62 |
| 23:45 | 554 | სანტოსი-ამერიკა | 1.30 | 4.50 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.81 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 23:00 | 555 | ბოტაფოგო-ატლეტიკო მგ | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 23:00 | 556 | კრუზეირო-კორინთიანსი | 1.80 | 3.25 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.70 |
| 23:00 | 557 | გოიასი-ფლამენგო | 1.80 | 3.30 | 3.85 | 1.16 | 1.22 | 1.77 |
| 23:00 | 558 | პალმეირასი-ფიგეირენსე | 1.45 | 3.75 | 6.20 | 1.04 | 1.17 | 2.33 |
| 23:45 | 559 | გრემიო-ფლუმინენსე | 2.00 | 3.25 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.62 |
| 23:45 | 560 | ნაუტიკო-სან პაულუ | 4.00 | 3.25 | 1.80 | 1.79 | 1.24 | 1.15 |
| 23:45 | 561 | ვასკუ და გამა-სპორტ რესიფი | 1.45 | 3.75 | 6.25 | 1.04 | 1.17 | 2.34 |
| | | ჩილე | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 346 | ანტოფაგასტა-კობრესალი | 1.80 | 3.20 | 3.90 | 1.15 | 1.23 | 1.75 |
| 23:45 | 351 | სერენა-უ.კონსეპსიონი | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| 23:45 | 354 | უონდერერსი-ლოტა | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| 23:45 | 355 | უნ.კატოლიკა-ჰიგინსი | 1.25 | 4.80 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.13 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 347 | აუდაქსი-კოლო კოლო | 3.50 | 3.20 | 1.90 | 1.67 | 1.23 | 1.19 |
| 23:45 | 348 | კობრელოა-პალესტინო | 1.35 | 4.10 | 7.00 | 1.01 | 1.13 | 2.58 |
| 23:30 | 349 | დ.კონსეპსიონი-ევერტონი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 23:30 | 350 | უაჩიპატო-უნ.ესპანიოლა | 1.55 | 3.40 | 5.30 | 1.06 | 1.19 | 2.07 |
| 23:45 | 352 | მელიპილა-პუერტო მონტი | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| 23:30 | 353 | ნუბლენსე-კოკიმბო | 1.35 | 4.10 | 7.50 | 1.01 | 1.14 | 2.65 |
| | | ინგლისი. თასი | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 2.60 | 3.10 | 2.60 | 1.41 | 1.29 | 1.41 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10005 | დანდი იუნაიტედი-მოზერუელი | 2.50 | 2.00 | 3.80 | 1.11 | 1.50 | 1.31 |
| 10006 | დანფერმლაინი-ფოლკირკი | 2.85 | 2.00 | 3.20 | 1.17 | 1.50 | 1.23 |
| 10007 | სტ.მირენი-ინვერნესი | 2.85 | 2.00 | 3.20 | 1.17 | 1.50 | 1.23 |
| 10008 | აბერდინი-რეინჯერსი | 2.90 | 2.00 | 3.20 | 1.18 | 1.52 | 1.23 |
| 10010 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 3.90 | 2.00 | 2.45 | 1.32 | 1.50 | 1.10 |
| 10012 | კილმარნოკი-ჰართსი | 4.30 | 2.00 | 2.35 | 1.36 | 1.51 | 1.08 |
| 10013 | ბაიერნი-მაინცი | 1.65 | 2.50 | 8.00 | 1.00 | 1.36 | 1.90 |
| 10015 | აინტრახტი-ჰერტა | 2.65 | 2.00 | 3.40 | 1.13 | 1.48 | 1.25 |
| 10016 | ჰამბურგი-ალემანია | 2.05 | 2.10 | 5.70 | 1.03 | 1.50 | 1.53 |
| 10017 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 2.30 | 2.10 | 4.30 | 1.09 | 1.49 | 1.41 |
| 10018 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 2.95 | 2.00 | 3.00 | 1.19 | 1.48 | 1.20 |
| 10019 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 2.95 | 2.00 | 3.00 | 1.19 | 1.48 | 1.20 |
| 10020 | შალკე-არმინია | 1.55 | 2.70 | 9.00 | 1.00 | 1.32 | 2.07 |
| 10022 | შტუტგარტი-კოტბუსი | 1.35 | 3.20 | 12.00 | 1.00 | 1.21 | 2.52 |
| 10023 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 3.90 | 2.00 | 2.40 | 1.32 | 1.48 | 1.09 |
| 10101 | ატალანტა-ინტერი | 2.90 | 1.80 | 3.20 | 1.11 | 1.52 | 1.15 |
| 10103 | კალიარი-რომა | 2.10 | 2.00 | 5.50 | 1.02 | 1.51 | 1.46 |
| 10105 | ემპოლი-რეჯინა | 3.10 | 1.80 | 3.30 | 1.13 | 1.59 | 1.16 |
| 10106 | ლაციო-პარმა | 3.90 | 1.50 | 2.90 | 1.08 | 1.66 | 1.00 |
| 10107 | მესინა-ფიორენტინა | 7.00 | 2.20 | 1.80 | 1.67 | 1.43 | 1.00 |
| 10108 | მილანი-უდინეზე | 2.55 | 1.80 | 4.75 | 1.05 | 1.65 | 1.30 |
| 10110 | პალერმო-სიენა | 2.95 | 1.90 | 3.70 | 1.15 | 1.64 | 1.25 |
| 10111 | სამპდორია-კატანია | 2.95 | 1.80 | 3.20 | 1.11 | 1.53 | 1.15 |
| 10124 | ატლეტიკო-ბარსელონა | 3.70 | 2.00 | 2.55 | 1.29 | 1.50 | 1.12 |
| 10126 | ბეტისი-ტარაგონა | 1.85 | 2.30 | 6.50 | 1.02 | 1.44 | 1.69 |
| 10127 | ესპანიოლი-ხეტაფე | 2.65 | 2.00 | 3.75 | 1.13 | 1.55 | 1.30 |
| 10128 | დეპორტივო-სევილია | 4.00 | 2.00 | 2.55 | 1.33 | 1.55 | 1.12 |
| 10130 | ლევანტე-ოსასუნა | 2.75 | 2.00 | 3.75 | 1.15 | 1.58 | 1.30 |
| 10131 | მალიორკა-ვალენსია | 3.75 | 2.00 | 2.55 | 1.30 | 1.51 | 1.12 |
| 10132 | უელვა-რეალი | 5.20 | 2.10 | 2.15 | 1.49 | 1.52 | 1.06 |
| 10134 | სოსიედადი-სელტა | 2.40 | 2.10 | 4.00 | 1.12 | 1.50 | 1.37 |
| 10135 | ვილიარეალი-რასინგი | 2.15 | 2.10 | 5.00 | 1.06 | 1.50 | 1.47 |
| 10148 | ოსერი-ლილი | 2.60 | 1.80 | 4.20 | 1.06 | 1.60 | 1.25 |
| 10149 | ლე მანი-ბორდო | 3.70 | 1.80 | 2.85 | 1.21 | 1.60 | 1.10 |
| 10150 | ლანსი-ნიცა | 2.20 | 2.00 | 5.30 | 1.04 | 1.55 | 1.45 |
| 10151 | მონაკო-ლიონი | 3.30 | 1.80 | 3.00 | 1.16 | 1.57 | 1.12 |
| 10153 | ნანსი-სოშო | 3.00 | 1.80 | 3.40 | 1.12 | 1.59 | 1.17 |
| 10154 | ნანტი-ტულუზი | 3.80 | 1.80 | 2.80 | 1.22 | 1.61 | 1.09 |
| 10155 | პსჟ-ტრუა | 2.40 | 1.90 | 4.80 | 1.06 | 1.60 | 1.36 |
| 10156 | რენი-ლორიანი | 2.30 | 2.00 | 5.00 | 1.06 | 1.57 | 1.42 |
| 10157 | სედანი-ვალენსიენი | 2.95 | 1.80 | 3.40 | 1.11 | 1.57 | 1.17 |
| 10158 | სტ-ეტიენი-მარსელი | 3.70 | 1.80 | 2.85 | 1.21 | 1.60 | 1.10 |
| 10357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 3.10 | 1.90 | 3.10 | 1.17 | 1.54 | 1.17 |
| 10490 | ექსეტერი-მორეკამბი | 2.80 | 2.00 | 3.10 | 1.16 | 1.47 | 1.21 |

# I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11005 | დანდი იუნაიტედი-მოზერუელი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11006 | დანფერმლაინი-ფოლკირკი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11007 | სტ.მირენი-ინვერნესი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11008 | აბერდინი-რეინჯერსი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11010 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11012 | კილმარნოკი-ჰართსი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11013 | ბაიერნი-მაინცი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11015 | აინტრახტი-ჰერტა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11016 | ჰამბურგი-ალემანია | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11017 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11018 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11019 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11020 | შალკე-არმინია | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11022 | შტუტგარტი-კოტბუსი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11023 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11101 | ატალანტა-ინტერი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11103 | კალიარი-რომა | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11107 | მესინა-ფიორენტინა | 10.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 1.90 |
| 11108 | მილანი-უდინეზე | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11111 | სამპდორია-კატანია | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11124 | ატლეტიკო-ბარსელონა | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11126 | ბეტისი-ტარაგონა | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11127 | ესპანიოლი-ხეტაფე | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11128 | დეპორტივო-სევილია | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11130 | ლევანტე-ოსასუნა | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11131 | მალიორკა-ვალენსია | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11132 | უელვა-რეალი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11134 | სოსიედადი-სელტა | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11135 | ვილიარეალი-რასინგი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11136 | სარაგოსა-ბილბაო | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11148 | ოსერი-ლილი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11149 | ლე მანი-ბორდო | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11150 | ლანსი-ნიცა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11151 | მონაკო-ლიონი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11153 | ნანსი-სოშო | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11154 | ნანტი-ტულუზი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11155 | პსჟ-ტრუა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11156 | რენი-ლორიანი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11157 | სედანი-ვალენსიენი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11158 | სტ-ეტიენი-მარსელი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11490 | ექსეტერი-მორეკამბი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნკ. | მტ. |
|---|---|---|---|
| 12005 | დანდი იუნაიტედი-მოზერუელი | 1.70 | 1.90 |
| 12006 | დანფერმლაინი-ფოლკირკი | 1.70 | 1.90 |
| 12007 | სტ.მირენი-ინვერნესი | 1.70 | 1.90 |
| 12008 | აბერდინი-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 1.70 | 1.90 |
| 12012 | კილმარნოკი-ჰართსი | 1.70 | 1.90 |
| 12013 | ბაიერნი-მაინცი | 2.20 | 1.50 |
| 12015 | აინტრახტი-ჰერტა | 2.10 | 1.55 |
| 12016 | ჰამბურგი-ალემანია | 2.10 | 1.55 |
| 12017 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.90 | 1.70 |
| 12018 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 2.00 | 1.60 |
| 12019 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 2.10 | 1.50 |
| 12020 | შალკე-არმინია | 2.30 | 1.45 |
| 12022 | შტუტგარტი-კოტბუსი | 2.10 | 1.50 |
| 12023 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 2.20 | 1.50 |
| 12101 | ატალანტა-ინტერი | 1.90 | 1.70 |
| 12103 | კალიარი-რომა | 1.90 | 1.70 |
| 12105 | ემპოლი-რეჯინა | 1.70 | 1.90 |
| 12106 | ლაციო-პარმა | 1.90 | 1.70 |
| 12107 | მესინა-ფიორენტინა | 1.90 | 1.70 |
| 12108 | მილანი-უდინეზე | 1.90 | 1.70 |
| 12110 | პალერმო-სიენა | 1.70 | 1.90 |
| 12111 | სამპდორია-კატანია | 1.70 | 1.90 |
| 12124 | ატლეტიკო-ბარსელონა | 1.60 | 2.00 |
| 12126 | ბეტისი-ტარაგონა | 1.60 | 2.00 |
| 12127 | ესპანიოლი-ხეტაფე | 1.60 | 2.00 |
| 12128 | დეპორტივო-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 12130 | ლევანტე-ოსასუნა | 1.60 | 2.00 |
| 12131 | მალიორკა-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 12132 | უელვა-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 12134 | სოსიედადი-სელტა | 1.60 | 2.00 |
| 12135 | ვილიარეალი-რასინგი | 1.60 | 2.00 |
| 12148 | ოსერი-ლილი | 1.70 | 1.90 |
| 12149 | ლე მანი-ბორდო | 1.60 | 2.00 |
| 12150 | ლანსი-ნიცა | 1.60 | 2.00 |
| 12151 | მონაკო-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 12153 | ნანსი-სოშო | 1.70 | 1.90 |
| 12154 | ნანტი-ტულუზი | 1.70 | 1.90 |
| 12155 | პსჟ-ტრუა | 1.70 | 1.90 |
| 12156 | რენი-ლორიანი | 1.70 | 1.90 |
| 12157 | სედანი-ვალენსიენი | 1.70 | 1.90 |
| 12158 | სტ-ეტიენი-მარსელი | 1.70 | 1.90 |
| 12357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.60 | 2.00 |
| 12490 | ექსეტერი-მორეკამბი | 1.60 | 2.00 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13005 | დანდი იუნაიტედი-მოზერუელი | 1.70 | 1.90 |
| 13006 | დანფერმლაინი-ფოლკირკი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | სტ.მირენი-ინვერნესი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | აბერდინი-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 1.70 | 1.90 |
| 13012 | კილმარნოკი-ჰართსი | 1.70 | 1.90 |
| 13013 | ბაიერნი-მაინცი | 1.90 | 1.70 |
| 13015 | აინტრახტი-ჰერტა | 1.60 | 2.00 |
| 13016 | ჰამბურგი-ალემანია | 1.70 | 1.90 |
| 13017 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.60 | 2.00 |
| 13018 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 1.60 | 2.00 |
| 13019 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 1.60 | 2.00 |
| 13020 | შალკე-არმინია | 1.90 | 1.70 |
| 13022 | შტუტგარტი-კოტბუსი | 2.00 | 1.60 |
| 13023 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 1.60 | 2.00 |
| 13101 | ატალანტა-ინტერი | 1.60 | 2.00 |
| 13103 | კალიარი-რომა | 1.60 | 2.00 |
| 13105 | ემპოლი-რეჯინა | 1.70 | 1.90 |
| 13106 | ლაციო-პარმა | 1.60 | 2.00 |
| 13107 | მესინა-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 13108 | მილანი-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 13110 | პალერმო-სიენა | 1.70 | 1.90 |
| 13111 | სამპდორია-კატანია | 1.70 | 1.90 |
| 13124 | ატლეტიკო-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 13126 | ბეტისი-ტარაგონა | 1.90 | 1.70 |
| 13127 | ესპანიოლი-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |
| 13128 | დეპორტივო-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13130 | ლევანტე-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |
| 13131 | მალიორკა-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 13132 | უელვა-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13134 | სოსიედადი-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 13135 | ვილიარეალი-რასინგი | 1.70 | 1.90 |
| 13148 | ოსერი-ლილი | 1.90 | 1.70 |
| 13149 | ლე მანი-ბორდო | 1.90 | 1.70 |
| 13150 | ლანსი-ნიცა | 2.00 | 1.60 |
| 13151 | მონაკო-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 13153 | ნანსი-სოშო | 1.90 | 1.70 |
| 13154 | ნანტი-ტულუზი | 1.90 | 1.70 |
| 13155 | პსჟ-ტრუა | 1.90 | 1.70 |
| 13156 | რენი-ლორიანი | 1.90 | 1.70 |
| 13157 | სედანი-ვალენსიენი | 1.90 | 1.70 |
| 13158 | სტ-ეტიენი-მარსელი | 1.70 | 1.90 |
| 13357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.70 | 1.90 |
| 13490 | ექსეტერი-მორეკამბი | 1.70 | 1.90 |

# შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

| | | | |
|---|---|---|---|
| 14005 | დანდი იუნაიტედი-მოზერველი | 1.70 | 2.20 |
| 14006 | დანფერმლაინი-ფოლკირკი | 1.85 | 1.95 |
| 14007 | სტ.მირენი-ინვერნესი | 1.85 | 1.95 |
| 14008 | აბერდინი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 14010 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 2.20 | 1.70 |
| 14012 | კილმარნოკი-ჰარტსი | 2.30 | 1.65 |
| 14013 | ბაიერნი-მაინცი | 1.20 | 2.60 |
| 14015 | აინტრახტი-ჰერტა | 1.80 | 2.00 |
| 14016 | ჰამბურგი-ალემანია | 1.30 | 2.50 |
| 14017 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.65 | 2.30 |
| 14018 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 14019 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 1.90 | 1.90 |
| 14020 | შალკე-არმინია | 1.08 | 2.90 |
| 14023 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 2.20 | 1.70 |
| 14101 | ატალანტა-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 14103 | კალიარი-რომა | 1.30 | 2.50 |
| 14105 | ემპოლი-რეჯინა | 1.90 | 1.90 |
| 14106 | ლაციო-პარმა | 1.95 | 1.85 |
| 14107 | მესინა-ფიორენტინა | 2.60 | 1.20 |
| 14108 | მილანი-უდინეზე | 1.75 | 2.10 |
| 14110 | პალერმო-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 14111 | სამპდორია-კატანია | 1.90 | 1.90 |
| 14124 | ატლეტიკო-ბარსელონა | 2.10 | 1.75 |
| 14126 | ბეტისი-ტარაგონა | 1.20 | 2.60 |
| 14127 | ესპანიოლი-ხეტაფე | 1.80 | 2.00 |
| 14128 | დეპორტივო-სევილია | 2.10 | 1.75 |
| 14130 | ლევანტე-ოსასუნა | 1.80 | 2.00 |
| 14131 | მალიორკა-ვალენსია | 2.10 | 1.75 |
| 14132 | უელვა-რეალი | 2.40 | 1.45 |
| 14134 | სოსიედადი-სელტა | 1.70 | 2.20 |
| 14135 | ვილიარეალი-რასინგი | 1.45 | 2.40 |
| 14136 | სარაგოსა-ბილბაო | 1.65 | 2.30 |
| 14148 | ოსერი-ლილი | 1.75 | 2.10 |
| 14149 | ლე მანი-ბორდო | 2.00 | 1.80 |
| 14150 | ლანსი-ნიცა | 1.45 | 2.40 |
| 14151 | მონაკო-ლიონი | 1.90 | 1.90 |
| 14153 | ნანსი-სოშო | 1.85 | 1.95 |
| 14154 | ნანტი-ტულუზი | 2.00 | 1.80 |
| 14155 | პსჟ-ტროა | 1.65 | 2.30 |
| 14156 | რენი-ლორიანი | 1.45 | 2.40 |
| 14157 | სედანი-ვალენსიენი | 1.85 | 1.95 |
| 14158 | სტ.ეტიენი-მარსელი | 2.00 | 1.80 |
| 14357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.90 | 1.90 |
| 14490 | ექსეტერი-მორეკამბი | 1.85 | 1.95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თან. | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15005 | დანდი იუნაიტედი-მოზერველი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | დანფერმლაინი-ფოლკირკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | სტ.მირენი-ინვერნესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | აბერდინი-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | კილმარნოკი-ჰარტსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | ბაიერნი-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15015 | აინტრახტი-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15016 | ჰამბურგი-ალემანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15017 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15018 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15019 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | შალკე-არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15022 | შტუტგარტი-კოტბუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15023 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15101 | ატალანტა-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15103 | კალიარი-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15105 | ემპოლი-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15106 | ლაციო-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15107 | მესინა-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15108 | მილანი-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15110 | პალერმო-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15111 | სამპდორია-კატანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15124 | ატლეტიკო-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15126 | ბეტისი-ტარაგონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15127 | ესპანიოლი-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15128 | დეპორტივო-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15130 | ლევანტე-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15131 | მალიორკა-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15132 | უელვა-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15134 | სოსიედადი-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15135 | ვილიარეალი-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15136 | სარაგოსა-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15148 | ოსერი-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15149 | ლე მანი-ბორდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15150 | ლანსი-ნიცა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15151 | მონაკო-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15153 | ნანსი-სოშო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15154 | ნანტი-ტულუზი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15155 | პსჟ-ტროა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15156 | რენი-ლორიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15157 | სედანი-ვალენსიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15158 | სტ.ეტიენი-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15490 | ექსეტერი-მორეკამბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16005 | დანდი იუნაიტედი-მოზერველი | 1.40 | 2.55 |
| 16006 | დანფერმლაინი-ფოლკირკი | 1.70 | 1.95 |
| 16007 | სტ.მირენი-ინვერნესი | 1.70 | 1.95 |
| 16008 | აბერდინი-რეინჯერსი | 1.80 | 1.85 |
| 16010 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 2.40 | 1.45 |
| 16012 | კილმარნოკი-ჰარტსი | 2.90 | 1.32 |
| 16013 | ბაიერნი-მაინცი | 1.10 | 5.50 |
| 16015 | აინტრახტი-ჰერტა | 1.55 | 2.20 |
| 16016 | ჰამბურგი-ალემანია | 1.22 | 3.40 |
| 16017 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.32 | 3.00 |
| 16018 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 1.75 | 1.85 |
| 16019 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 1.80 | 1.85 |
| 16020 | შალკე-არმინია | 1.02 | 6.70 |
| 16022 | შტუტგარტი-კოტბუსი | 1.02 | 6.70 |
| 16023 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 2.40 | 1.45 |
| 16101 | ატალანტა-ინტერი | 1.80 | 1.85 |
| 16103 | კალიარი-რომა | 1.22 | 3.40 |
| 16107 | მესინა-ფიორენტინა | 5.50 | 1.12 |
| 16111 | სამპდორია-კატანია | 1.80 | 1.85 |
| 16124 | ატლეტიკო-ბარსელონა | 2.30 | 1.50 |
| 16126 | ბეტისი-ტარაგონა | 1.12 | 4.60 |
| 16127 | ესპანიოლი-ხეტაფე | 1.55 | 2.20 |
| 16128 | დეპორტივო-სევილია | 2.40 | 1.45 |
| 16130 | ლევანტე-ოსასუნა | 1.58 | 2.10 |
| 16131 | მალიორკა-ვალენსია | 2.30 | 1.48 |
| 16132 | უელვა-რეალი | 3.30 | 1.25 |
| 16134 | სოსიედადი-სელტა | 1.38 | 2.65 |
| 16135 | ვილიარეალი-რასინგი | 1.25 | 3.40 |
| 16136 | სარაგოსა-ბილბაო | 1.30 | 3.00 |
| 16148 | ოსერი-ლილი | 1.50 | 2.30 |
| 16149 | ლე მანი-ბორდო | 2.20 | 1.52 |
| 16150 | ლანსი-ნიცა | 1.23 | 3.60 |
| 16151 | მონაკო-ლიონი | 1.95 | 1.65 |
| 16153 | ნანსი-სოშო | 1.80 | 1.85 |
| 16154 | ნანტი-ტულუზი | 2.20 | 1.52 |
| 16155 | პსჟ-ტროა | 1.30 | 3.00 |
| 16156 | რენი-ლორიანი | 1.25 | 3.40 |
| 16157 | სედანი-ვალენსიენი | 1.75 | 1.85 |
| 16158 | სტ.ეტიენი-მარსელი | 2.10 | 1.60 |
| 16357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.82 | 1.82 |
| 16490 | ექსეტერი-მორეკამბი | 1.70 | 1.95 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17005 | დანდი იუნაიტედი-მოზერველი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | დანფერმლაინი-ფოლკირკი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | სტ.მირენი-ინვერნესი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | აბერდინი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | კილმარნოკი-ჰარტსი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | ბაიერნი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17015 | აინტრახტი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17016 | ჰამბურგი-ალემანია | 1.85 | 1.95 |
| 17017 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17018 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17019 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17020 | შალკე-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17022 | შტუტგარტი-კოტბუსი | 1.85 | 1.95 |
| 17023 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17101 | ატალანტა-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17103 | კალიარი-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17107 | მესინა-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17111 | სამპდორია-კატანია | 1.85 | 1.95 |
| 17124 | ატლეტიკო-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17126 | ბეტისი-ტარაგონა | 1.85 | 1.95 |
| 17127 | ესპანიოლი-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17128 | დეპორტივო-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17130 | ლევანტე-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17131 | მალიორკა-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17132 | უელვა-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17134 | სოსიედადი-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17135 | ვილიარეალი-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17136 | სარაგოსა-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17148 | ოსერი-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17149 | ლე მანი-ბორდო | 1.85 | 1.95 |
| 17150 | ლანსი-ნიცა | 1.85 | 1.95 |
| 17151 | მონაკო-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17153 | ნანსი-სოშო | 1.85 | 1.95 |
| 17154 | ნანტი-ტულუზი | 1.85 | 1.95 |
| 17155 | პსჟ-ტროა | 1.85 | 1.95 |
| 17156 | რენი-ლორიანი | 1.85 | 1.95 |
| 17157 | სედანი-ვალენსიენი | 1.85 | 1.95 |
| 17158 | სტ.ეტიენი-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.85 | 1.95 |
| 17490 | ექსეტერი-მორეკამბი | 1.85 | 1.95 |

ქართული ჭიდაობა

# მცირე მეწარმის მცირე გუნდი

**ტანმორჩილ**, სპორტული ალნაგობის შუახნის გულშემატკივარს შარშანდელი თელეთობის საჭიდაო ფორზე გამოველაპარაკე (თვალში მომხვდა მისი სამართლიანი ქომაგობა, კეთილგანწყობილება ყველა მოასპარეზის მიმართ).

„აბა, ჩემი ბიჭებიც ჭიდაობენ და სხვანაირად როგორ იქნება"... როცა გვარიც გავიგე, ყველაფერი ნათელი გახდა: მუხათელმა იაკობ და გიორგი ბაჯიაშვილებმა წინა წლებშიც დამამახსოვრეს თავი. მუხათი იქვეა ზემო თელეთთან: თეთრი წყაროს ძველ გზაზე ებჯინება სოფელ კოდას. აქაური მკვიდრი, ისტორიკოსი იაკობ ახუაშვილი ბაჯიაშვილების გვარს ლეგენდარულ მოჭიდავე ქალს ანა-ბაჯის უკავშირებს. ამისი რა მოგახსენოთ, მაგრამ ეს ძმები ნამდვილად გამორჩეულები არიან.

სერგო ბაჯიაშვილის — „მცირე მეწარმის" (სოფელში ძროხის პატარა ფერმა ჰქონია) მესამე ვაჟიც — 16 წლის ლაშა წლევანდელ ამაღლებას ვნახე (თელეთობა ამ დიდი ქრისტიანული დღესასწაულისადმი მიძღვნილი სოფლის დღეობაა). მართალია, ძმებმა თავიანთ წონის ჯგუფებში ვერ გაიმარჯვეს (მეორენი იყვნენ), მაგრამ გიორგისა და მარტყოფელი დათო ლორიაშვილის საფალავნო შერკინებამ დაამშვენა მთელი ასპარეზობა; ბოლო წამებზე, ალბათ, ძალზე პერსპექტიულმა ლორიაშვილმა დაამარცხა ცოტა უფრო მსუბუქი მეტოქე.

წლევანდელი სათელეთო ჭიდაობაც მაღალი დონის გამოდგა. სასიამოვნოა, რომ სოფელ კრწანისის ჭაბუკებს ჩინებულად აქვთ შეთვისებული ქართული ჭიდაობის სპეციფიკა. მანუჩარ მარგიანი, ვახტანგ ხორგუანი, გიორგი გერლიანი არა მარტო შეუპოვრობით, თავდაჭერითაც გამოირჩეოდნენ. როგორც ყოველთვის, ძლიერი მოჭიდავეები მოვიდნენ სოფელ მარტყოფიდან — ლევან დიდებაშვილმა, სერგო მაისურაძემ თავიანთ წონებში (60, 90 კგ) გაიმარჯვეს. ფალავანზე კი ზევით მოგახსენეთ. მისასალმებელია, რომ ხალხურ ასპარეზობებს თბილისელი სპორტსმენებიც სტუმრობენ. „თემქელმა" დიმიტრი ოთუაშვილმა გაიმარჯვა კიდეც. ამ წონაში კი (80 კგ) სწორედ გიორგი და იაკობ ბაჯიაშვილები გამოდიოდნენ.

ასპარეზობას არც სიმხიარულე დაჰკლებია. ტაბახმელელმა ძველმა მოჭიდავემ ბერიაშვილმა ჭიდაობის სურვილი გამოთქვა და თანაც ვინ, მომავალი ფალავანი გამოიწვია და ეჭიდავა კიდეც(ვეტერანები შეფასებაში არ ცდებიან).

ორიოდე სიტყვა ქართული ჭიდაობის აუცილებელ ნაწილზე — დამკვრელებზე. რომან შოშიაშვილი (დოლი), გიორგი უთურიშვილი (გარმონი), რომან დარსაველიძე (დუდუკი, კლარნეტი), არა მარტო თავისი საკრავების ოსტატები, ჭიდაობის მცოდნენიც უნდა იყვნენ — ისე ესადაგებოდა მათი აკომპანიმენტი ყოველი ორთაბრძოლის მიმდინარეობას. ძალზე სასიხარულოა, რომ მათ ერთგვარი ინიციატივა გამოიჩინეს, არ დაიზარეს და ხანგრძლივი პაუზის დროს ქართული საცეკვაო ჰანგიც ააჟღერეს. როგორც ცნობილია, ახლო წარსულშიც კი ცეკვა ჭიდაობის თანმხლები იყო (მოჭიდავეთა მოთელვისათვის, საასპარეზო განწყობის დასაუნჯებლად). მართალია, ამჯერად დაკვრას პრაქტიკული გამოხმაურება არ მოჰყოლია (დღეობის საკონცერტო პროგრამა ისედაც მდიდარი იყო), მაგრამ შემდეგ ცდას, იმედია, შედეგიც მოჰყვება. მით უმეტეს, რომ ქვემო ქართლის რეგიონში ქართულ ჭიდაობის ერთგული ხალხი არ აკლია. მალე ზემოხსენებულ მუხათშიც აპირებენ დიდი ასპარეზობის გამართვას, სადაც ამ საქმეს, როგორც ბაჯიაშვილებმა და მათმა გულშემატკივრებმა მითხრეს, ამაგდარი აღმზრდელი სოსო ნონეიშვილი მეურვეობს. ასე რომ, აცეკვებული მოჭიდავეებიც შეიძლება ვიხილოთ.

**ნოდარ იბრალიძე**



თელეთობის ფინალი: მარჯვნივ დავით ლორიაშვილი

ნოდარ იბრალიძის ფოტოები



სერგო ბაჯიაშვილი და მისი ვაჟები: იაკობი, გიორგი და ლაშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი
### სუპერფინალი (სამ მოგებამდე)

# გამოდნა, რუსთავი ჩემპიონია!

## აზოტი 3:0 ავიამშენი

18 მაისი. ვერის ბაღი

**ავიამშენი 63:85 აზოტი**

**10:29 17:17 9:24 27:15**

**ავიამშენი:** ი. ბერიშვილი (4), ხოშტარია (6), ბარბაქაძე (12), ბაბიაშვილი (16), სუხიშვილი; მოსეშვილი (9), როდუმტა (7), დ. ბერიშვილი (5), კვიმსაძე (4), ნიკოლაძე, კეიდია

**აზოტი:** გამყრელიძე (17 ქულა, 7 პასი), ტულუში (16 ქულა, 6 პასი), გოგობერიშვილი (6), ბეჟანიშვილი (9), უგრეხელიძე (6); მარკოიშვილი (11), დიდია (8), ბოისა (6), ტუჯანი (2), ბერძენიშვილი (2), მალეშევიჩი (2), ცეკვავა

*მსაჯები:* ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე

*კომისარი:* თენგიზ ქიქოძე

არის! როგორც იქნა ასრულდა რუსთაველთა ოცნება — „აზოტი" საქართველოს ჩემპიონია და ეს ამ ამბიციურმა და დამოუკიდებელი ქართული კალათბურთის ძირძველმა გუნდმა არსებობაში პირველად მოახერხა. ქვემოქართლელებმა რა არ ნახეს და გადაიტანეს გასულ 16 ჩემპიონატში... ფინალებშიც იყვნენ და გაჭირვებისგან სულსაც ღაფავდნენ, მაგრამ, ვინც მოითმენს, ის მოიგებსო?! ქვემოქართლელებმაც დიდხანს ითმინეს, ბევრი ცრემლი და წაგების სიმწარე იგემეს, მაგრამ ისინი დღეს მოგებულები, უფრო ომახიანად და რუსთაველთა საამებლად რომ ვთქვათ, ჩემპიონები არიან.

„ჩემპიონობა" — ამ სიტყვას ალბათ მისტიკური მნიშვნელობა აქვს რუსთაველთათვის. „აზოტს" არაერთხელ ჰყავდა საჩემპიონო გუნდი, ცალი ხელიც შეუვლია სანუკვარი თასისთვის, მაგრამ ვერ ალუმართავს. ისევე, როგორც ამ ფინალურ სერიაში, „აზოტი" 1998 წელსაც 2:0 უგებდა დაშლის პირას მყოფ თბილისის „ვითას". მესამე მატჩშიც გვარიანი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ვითელებმა მაშინ სასწაული მოახდინეს და შამპანურების ასაფეთქებლად შემართულ რუსთაველებს ის თამაში ხომ შემოუტრიალეს და ფინალური სერიის დარჩენილი მატჩებიც მოუგეს.

ეს კოშმარი რუსთაველებს არ დავიწყებიათ, მაგრამ გუშინ ამაზე არც არავინ ფიქრობდა და გამეორებისაც არავის ეშინოდა. „აზოტი" შინ მოგებული 2 მატჩით ჩამოვიდა თბილისში და საჩემპიონო სერიას მოხდენილი წერტილი დაუსვა.

მოგებაცაა და მოგებაც — „აზოტის" მონდომებამ ფინალისთვის შეუფერებელი სცენარით წარმართა გუშინდელი მატჩი — დავით უსტიაშვილის შეგირდებმა სეზონის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარეს. მათ, რომ იტყვიან, მიწასთან გაასწორეს ლევან მოსეშვილის „ავიამშენი" და ამ გუნდს შარშან მოპოვებული ჩემპიონობა აართვეს. თავს ვერ დავდებთ, მაგრამ ალბათ არ შევცდებით, თუ ამ თამაშს ქართული ფინალების ისტორიაში ყველაზე უინტერესოდ მოვნათლავთ. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ეს იყო ყველაზე ნაკლებად დაძაბული ფინალური მატჩი, თორემ აბა, რუსთაველებს ჰკითხეთ, თუ არ იყო საინტერესო. ქვემოქართლელები დაფრინავდნენ, მათ ქომაგებს რომ ეამებოდათ, ლამის იმაზე კარგად თამაშობდნენ და ნამატჩევს რუსთაველთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

თამაში რომ დამთავრდა, ლევან მოსეშვილმა წაგების მიზეზებზე გულახდილად ისაუბრა და პირდაპირ თქვა, რუსთავში წაგებული 2 მატჩის შემდეგ ჩვენი ჩემპიონობა ფანტასტიკის სფერო იყოო. „ავიამშენი" ნამდვილად არ იყო იმ ფორმაში, ჩემპიონატის ყველაზე სტაბილური და ძლიერი გუნდისთვის მიჯრით სამი თამაში მოეგო. სამი კი არა, ერთიც ვერ მოუგო და, ალალად რომ ვთქვათ, ღირსეულ მეორე ადგილს დაეპატრონა.

თავად მატჩი? მოედანზე თავიდანვე ცალფარა გაჩაღდა. რუსთაველებმა ისეთი დაცვა დააყენეს, „ავიატორებმა" არათუ პირველ მეოთხედში, მთელი მატჩის განმავლობაში ვერ მოახერხეს მისი გარღვევა. 13:2 — ეს იყო პირველი სოლიდური უპირატესობა, რომელსაც სტუმრებმა მიაღწიეს და ამ ცამეტიდან 7 ქულა ვაკო ბეჟანიშვილზე მიდიოდა. სწორედ ბეჟანიშვილი ეხმარებოდა დავით უგრეხელიძეს ფარქვეშ, მაგრამ ხშირად იყო ეპიზოდები, როცა რუსთაველებს მეფარეები საერთოდ არ სჭირდებოდათ. ეს თავისთავად „აზოტის" უკანახაზელთა დამსახურება გახლდათ — ლაშა გამყრელიძე, კოტე ტულუში და რამაზ გოგობერიშვილი „ავიატორთა" დაბლებს არც პერიმეტრზე აჭაჭანებდნენ და არც საკუთარ საჯარიმოში უშვებდნენ.

თავის მხრივ, რუსთაველთა უკანახაზელები შურდულებივით იყვნენ და „ავიამშენის" დაცვას ისე სერავდნენ, მათი შემჩერებელი არავინ იყო. ლაშა გამყრელიძემ რეაქტიული სისწრაფის წყალობით აზრი დაუკარგა თბილისელთა ზონურ დაცვას — მისი გამიზნული და ელვისებური პასებით არაერთმა რუსთაველმა მოიხვეჭა იოლი ქულა, თუმც სწორედ ლაშამ ჩააგდო ყველაზე მეტი ბურთი გარდამტეხ პირველ მეოთხედში და ბომბარდირობას მატჩის საუკეთესოობაც შეუთავსა.

გარდამტეხი პირველი მეოთხედი ვახსენეთ და იფიქრებთ, როდის იყო, დასაწყისში წყდებოდა მატჩის ბედიო. ეს ის გამონაკლისი შემთხვევა გახლდათ, როცა სწორედ პირველ ათწუთეულში გაცხადდა გამარჯვებული. რა თქმა უნდა, „ავიამშენს" საკმაო დრო ჰქონდა ვითარების გამოსასწორებლად, მაგრამ ყველამ კარგად დაინახა, რომ 29:10 მოგებული პირველი მეოთხედის შემდეგ რუსთაველთა შეჩერება შეუძლებელი იყო.

„ავიამშენს" ყველაფერში ხელი მოეცარა, ვერც ფარქვეშ იძალეს თბილისელებმა, ვერც კონტრშეტევებზე ააწყვეს თამაში და შორი მანძილიდან ხომ ბურთი ნაცარში ჩაუვარდათ. არსად იყო სამქულიანების ის სეტყვა, რომელიც „ავიამშენმა" ნახევარფინალში თსუ-ს დააყარა. განთქმულმა სნაიპერებმა ტყუპმა ბერიშვილებმა ვერაფრით ჩააგდეს შორიდან — ის კი არა,



რამაზ გოგობერიშვილმა ჩემპიონობა შვილთან ერთად აღნიშნა

„ავიამშენმა" პირველი სამქულიანი მესამე მეოთხედის მიწურულამდე ვერ მოინადირა, თუმც ამ დროისთვის ათიც რომ ჩაეგდო, მაინც არაფერი უშველიდა.

პირველი ტაიმი „აზოტმა" 19 ქულით მოიგო და მესამეში სულ მთლად აიწყვიტა. შესვენებიდან დაბრუნებული „ავიატორები" მთელი 6 წუთი ამაოდ ცდილობდნენ ბურთის ჩაგდებას, როცა რუსთაველები ამას ლამის თვალდახუჭული აკათებდნენ. სხვაობა კი იზრდებოდა და გადამწყვეტი მეოთხედის დაწყებამდე ისეთ ნიშნულს მიაღწია, რომლის გაბათილებაც არარეალურია — 70:36 „აზოტის" სასარგებლოდ.

ბოლო ათწუთეულმა, როცა წესით წყდება ხოლმე საფინალო მატჩების ბედი, აზრი დაკარგა. მოედანზე ორივე გუნდმა სათადარიგოები გამოუშვა და თამაშიც უჯიგრო ბურთაობაში ჩამთავრდა.

მერე იყო რუსთაველთა ზეიმი, აუწონელი სიხარული და რამაზ გოგობერიშვილის ზეალმართული თასი. სწორედ გოგობერიშვილია იმ ძველი „აზოტის" უკანასკნელი მოჰიკანი, რომელიც საუკუნეების გასაყარზე მიჯრით სამჯერ გავიდა ფინალში და ოქროს ერთხელაც ვერ შესწვდა. იგი შარშანწინ „სტუ-ჯეოსელში" გახდა ჩემპიონი, მაგრამ როგორც კაპიტანმა, თანაც რუსთაული მაისურით, გუშინ პირველად აღმართა სანუკვარი თასი და ნამატჩევს ამაყად, გულში ჩაკრული წაიღო ვერის ბაღიდან...

**ირაკლი ბერტაია**

## მესამე ადგილისთვის (ორ მოგებამდე)


ნუგზარ ჭეიშვილმა ახალშობილ შვილიშვილს ბრინჯაო მიუძღვნა

# ბრინჯაოს პაპა

## თსუ 2:1 დინამო

18 მაისი. ვერის ბაღი

**თსუ 93:74 დინამო**

**25:32 25:16 22:16 21:10**

**თსუ:** მარხვაშვილი (13), ფანჩულიძე (11), ხეცურიანი (8), შანიძე (11), იმნაძე (14); ბ. ბერიშვილი (10), მათიაშვილი (12), მ. ბერიშვილი (11), ლეჟავა (3), არწივიძე, ვეფხვაძე

**დინამო:** გულისაბედაშვილი (19), ბადრიძე (7), ლაფანაშვილი (27), გვიმრაძე (10), კოლუაშვილი (4); ნ. ნოზაძე (6), ფაიქრიძე, სიგუა (1)

*მსაჯები:* დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა

*კომისარი:* როლანდ გელოვანი

ნახევარფინალში „ავიამშენთან" დამარცხების შემდეგ თსუ-ს მესამე ადგილი რომ ვერ მოეგო, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ალბათ დეპრესიაში ჩავარდებოდა, მაგრამ სტუდენტებისთვის ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. თსუ-მ მესამე, გადამწყვეტ მატჩში ცოტა კი ანერვიულა ხელმძღვანელობა, მაგრამ საბოლოოდ მაინც გატეხა შეუპოვარი მეტოქე და ბრინჯაოს მედალს დაეპატრონა.

შარშანწინ „სტუ-ჯეოსელის" გამჩემპიონებელი ნუგზარ ჭეიშვილი წლეულს ალბათ ბრინჯაოზე მეტს უმიზნებდა, მაგრამ გუშინ ის მაინც გახარებული იყო. „ამ გამარჯვებას ჩემს შვილიშვილს ვუძღვნი" — თქვა თსუ-ს თავკაცმა, რომელიც გუშინწინ პაპა გახდა.

„დინამო" სამეულს მიღმა დარჩა და, სიმართლე ითქვას, ეს ამ გუნდისთვის სულაც არაა წარუმატებლობა. დინამოელებს რომ ცოტა მეტი დაფინანსება ჰქონოდათ და ერთი-ორი გამოცდილი მოთამაშე დაემატებინათ, გაცილებით მეტს მიაღწევდნენ. ისე კი, შემართებითა და თამაშის ორგანიზებით ისინი არავის ჩამოუვარდებოდნენ.

მაშ ასე, მესამე ადგილი ისევ თსუ-ს ერგო და ეს გუნდი მომავალ სეზონში მაინც ეცდება ბრინჯაოს ხანიდან თავის დაღწევას.

# PLAYOFFS 2007

## აღმოსავლეთი

17 მაისი

### დეტროიტი 4:2 ჩიკაგო

**ჩიკაგო 85:95 დეტროიტი**

ჩიკაგო: ბრაუნი (20), გორდონი (19), დენგი (17), ჰაინრიხი (11 ქულა, 11 პასი), ნოჩიონი (10)
დეტროიტი: ჰამილტონი (23), ბილაფსი (21), არინსი (17), ვოლესი (16 ქულა, 13 მოხსნა)



დეტროიტელმა ანტონიო მაკდაესმა ჩიკაგოელი ლუოლ დენგი ფარს არ გაცარა

# რამდენი ხარისძალა აქვს დეტროიტულ ძრავს?

**არასდროს**, არავის არ მოუგია საპლეიოფო სერია 0:3 ჩამორჩენის შემდეგ. ეს ისტორიული ფაქტია და ათეულობით წელია, ფაქტად რჩება. ყოფილან გუნდები, რომელთაც ისტორია გამოუწვევიათ დუელში, მისი შეცვლა და შეტრიალება უცდიათ და ერთი ასეთთაგანი აგერ, ეს „ჩიკაგო" იყო — „დეტროიტთან" პირველი სამი თამაშის წაგების შემდეგ ორი მოიგო და მესამის მოგების, ანუ სერიაში ანგარიშის გასწორების შანსი გაუჩნდა, რაკილა მეექვსე შეხვედრას შინ, 21-ათასიან, საკუთარი ქომაგებით გადაჭედილ აუდიტორიაში ატარებდა, მაგრამ...

ამას წინათ „დეტროიტის" ლიდერმა ჩონსი ბილაფსმა თქვა, როცა ყველაფერი კარგად მიგვდის, ვდუნდებით და ესაა ჩვენი პრობლემა, მაგრამ საკმარისია, ფაქტის წინაშე დავდგეთ და მაშინვე იმ სუპერგუნდად ვიქცევით, გზიდან ნებისმიერის ჩამოშორება რომ შეუძლიაო.

ცამდე მართალი იყო ჩონსი: კარზე „ხარებ" და საფრთხემომდგარმა დეტროიტელებმა სრული დატვირთვით ჩართეს ძრავ-დგუშები და ჩიკაგოშივე, მეექვსე თამაშში მოამთავრეს მანამდე დაწყებული.

ისევ ჩონსი ბილაფსი: „ყოველთვის რაღაც უცნაური განწყობა ეუფლება, როცა სერიას მეტოქის მოედანზე აგვირგვინებ. თითქოს ეკლესიაში ხარ, შენს ირგვლივ ამდენი ხალხია და ყველა გასუსულია".

„დეტროიტს" ამ ბოლო წლებში არა ერთი გუნდი დაუმარხავს მისსავე დარბაზში. აღმოსავლეთში ყველაზე თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო რომაა, სტატისტიკიდან და შედეგებიდანაც ჩანს — ზედიზედ მეხუთედ გადის აღმოსავლეთის ფინალში. ასეთ რამეებს მისისიპის გაღმოღმა ნბა-ში მხოლოდ მაიკლ ჯორდანის გუნდი აკეთებდა, ძველი ჩიკაგო, რომელსაც დაბევებული ჰქონდა ადგილი კონფერენციის კენწეროში და უფრო მაღლაც.

რაც შეეხება ახალ „ჩიკაგოს", ესეც არაა ურიგო გუნდი. ეს „ხარები" ახალგაზრდები არიან და მიუხედავად დიდი შემართებისა (მათ ხომ თვით ჩემპიონი „მაიამი" გააგდეს, სანამ „დეტროიტზე" გავიდოდნენ), მაინც ძალზე ბევრი აქვთ სასწავლი, თუნდაც ის, 19-ქულიანი უპირატესობა როგორ შეინარჩუნონ. „დეტროიტთან" მესამე ჯახში სწორედ 19 ქულით იგებდნენ პირველ ტაიმში და რომ ფიქრობდნენ, სხვაობას 1:2 შევამცირებთო, ამასობაში ის თამაში წააგეს და 0:3 რეალობის წინაშე დადგნენ.

ახლაც, ბოლო ჯახში, პირველ ტაიმში 10 ქულითაც ლიდერობდნენ, მაგრამ...

გამოცდილება ასეთ თამაშებში მოვა, უკვე გამოცდილი „დეტროიტი" კი კონფერენციის ფინალშია და „კლივლენდსა" და „ნიუ ჯერსის" შორის მჯობნს ელოდება.

**ბოტე ყორშია**



# ჯერ არ მომკვდარვარ!

## როჯერმა თიხის ესპანელები წააქცია

**მასტერსი. ჰამბურგი. გერმანია. თიხნარი**
საპრიზო 2 200 000 $

**მესამე წრე**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (4, სერბეთი) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 7:5 4:6 6:4; **ნიკოლას ალმაგრო** (ესპანეთი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:2 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (16, ავსტრალია) — ნიკოლაი დავიდენკო (3, რუსეთი) 6:4 2:6 6:4; **ფერნანდო გონსალესი** (5, ჩილე) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 3:6 6:3 6:4

**მეოთხედფინალი**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — დავიდ ფერერი (12, ესპანეთი) 6:3 4:6 6:3

**ქალები. რომი. იტალია. თიხნარი**
საპრიზო 1 340 000 $

**მესამე წრე**

**პატი შნიდერი** (14, შვეიცარია) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) 6:4 6:4; **სერენა უილიამსი** (8, აშშ) — შაჰარ პირი (11, ისრაელი) 6:3 6:3; **ანაბელ მედინა-გარიგესი** (ესპანეთი) — ნატალი ვიერინი (იტალია) 6:1 6:1; **დინარა საფინა** (6, რუსეთი) — კატერინა ბონდარენკო (უკრაინა) 6:2 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა** (2, რუსეთი) — იულიანა ფედაკი (უკრაინა) 7:6 6:1

**მეოთხედფინალი**

**ელენა იანკოვიჩი** (3, სერბეთი) — ელენა დემენტიევა (10, რუსეთი) 6:2 6:1



AFP ჰამბურგიდან

აი, ასეთ და ამნაირად მოთამაშე ფედერერს ელოდა ყველა ამდენ ხანს — „მხიარულმა როჯერმა" უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში პირველად აჩვენა მისთვის დამახასიათებელი ლაღი და ლამაზი თამაში და კრიტიკოსები დიდი ხნით თუ არ გააჩუმა, ქილიკის საბაბი მაინც მოუსპო. ორ დღეში დიადმა ალპელმა ორი ესპანელი, შესაბამისად თიხნარის ორი სპეციალისტი და თითქმის იდენტური გვარის მქონე ჩოგბურთელი — ფერერო და ფერერი — დასცა და ყველას დაუმტკიცა, რომ მისი ჩამოწერა ჯერ ძალიან ნაადრევია. მართალია, შვეიცარიელის თამაშში მაინც საკმარისად არის ხარვეზები, რაც განსაკუთრებით გუშინ ფერერთან შეხვედრაში გამოჩნდა, მაგრამ მთავარია ის, რომ ჩვენ ისევ ვიხილეთ ძველი ფედერერული ჩოგნაობის ნიშნები სუპერკომბინაციებითა და ულამაზესი დარტყმებით. ხარვეზებს კი ეშველება.

ძველ კარგ დროს იხსენებს ლეიტონ ჰიუიტიც, რომელიც თანდათანობით თავის თავს ემსგავსება. ავსტრალიელი დიდებულ ფიზიკურ ფორმაშია და ეს მის თამაშს აშკარად დაეტყო. ოზი ბიჭი ძველებურად სწრაფად დაქრის კორტზე და თითქმის ყველა ბურთს ქანცის გაწყვეტამდე მისდევს, რითაც მეტოქეებს ბლომად თავსატეხს უჩენს. ყოველ შემთხვევაში, ლეიტონი დღესდღეობით სწორედ ასე ჩოგნაობს და აგერ, მეოთხედფინალშიც დამსახურებულად გავიდა — თანაც მწვანე კონტინენტის წარმომადგენელმა საამისოდ თიხნარის საში აღიარებული სპეციალისტი დასცა. ჰიუიტი თავიდან ორ არგენტინელს გაუსწორდა, ახლა კი ნიკოლაი დავიდენკოს გამოუყვანა წირვა, ჩოგბურთელს, რომელიც ხუთიოდ დღის წინ რომში სამსაათნახევარი ეჭიდავა გრუნტის მეფე რაფალ ნადალს და მხოლოდ იმიტომ წააგო, რომ სირბილის თავი აღარ შერჩენოდა. ისე, რუსი ახლაც ფიზიკურმა ფორმამ დაალალატა, რადგანაც ჰიუიტს ორი სეტი თანაბრად ეომა და მხოლოდ მესამის მიწურულს დაყარა ფარ-ხმალი. ავსტრალიელი კი მეოთხედფინალში თიხნარის კიდევ ერთ მოყვარულს, მშვენიერ ფორმაში მყოფ ესპანელ ნიკოლას ალმაგროს დაეტაკება.

წლის მეორე სლემტურნირისთვის კვლავ შედის ფორმაში ფერნანდო გონსალესი. ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტმა ისევ დაიწყო სტაბილურად თამაში და ჰამბურგში საუკეთესო რვეულშიც მოხვდა, სულ რამდენიმე დღის წინ კი რომის ფინალშიც ითამაშა. ჩილელს ახლა შანსი ექნება, იტალიის დედაქალაქში გამწარებისთვის შური იძიოს, რადგანაც მეოთხედფინალში ნადალს ეტაკება — მაგრამ სამხრეთამერიკული ვენდეტის არც გულშემატკივრებს სჯერათ და ალბათ, არც თავად გონსალესს.

იტალიის დედაქალაქში მიმდინარე ქალთა ტურნირზე კი სერენა უილიამსი სულ უფრო მძლავრად გამოიყურება. მეორე წრეში ნაჩვენები არცთუ ხეირიანი თამაშის შემდეგ ამერიკელმა მეოთხედფინალის საგზური მშვენიერ, შემტევ სტილში მოიპოვა და ძალიან ადვილად დასცა სწრაფად პროგრესირებადი ებრაელი შაჰარ პირი.

სერენას ახლა პატი შნიდერთან მოუწევს ურთიერთობების გარკვევა, რომელმაც ჩემოდნები ჩაალაგებინა ტურნირის პირველ ნომერ ამელი მორესმოს წამქცევ სამანტა სტოსურს.

მეოთხედფინალშია სვეტლანა კუზნეცოვაც, ვინც პირველ სეტში კი აწვალა იულიანა ფედაკმა, მაგრამ მერე უკვე პრობლემები აღარ ჰქონია.

პირველი ნახევრაფინალისტი კი ელენა იანკოვიჩია, რომელმაც უპრობლემოდ გადაუარა სეხნია დემენტიევას და მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო.

**ბახა ლომჯუშვილი**



## პლეი ოფი. ნახევარფინალი

# ელვაში იხვი გამოჩნდა

## დასავლეთი

### დეტროიტი 2:2 ანაჰაიმი

**მეოთხე მატჩი**

**ანაჰაიმი 5:3 დეტროიტი** *3:1 0:2 2:0*

1:0 პერი (2, უასისტენტოდ), 1:1 კლირი (4, ჩელიოსი), 2:1 ბეკმანი (12, უმრ. გეცლაფი, სელიანე), 3:1 სელიანე (19, მალჩანტი, ბუშემინი), 3:2 ბერტუცი (28, უმრ. ლანგი, კლირი), 3:3 კლირი (36, უმრ. ბერტუცი, სამუელსონი), 4:3 გეცლაფი (46, უმრ. სელიანე, ბუშემინი), 5:3 რ. ნიდერმაიერი (59, ცარ. კარში, მოენი, ს. ნიდერმეიერი)

წინა მატჩში ტომას ჰოლმსტრომის წინააღმდეგ უხეშობისთვის დისკვალიფიცირებული კრის პრონგერის არყოფნის მიუხედავად, „ანაჰაიმმა" გამონახა საკმარისი ძალები და „დეტროიტთან" სერიაში გაათანაბრა. მასპინძლებმა ძალიან აკურატულად გამოიყენეს მეტოქის შეცდომები, რის გამოც „წითელფრთიანების" კიპერი დომინიკ ჰაშეკი მთელ რიგ მომენტებში იძულებული იყო, სტატისტის როლით დაკმაყოფილებულიყო. გარდა ამისა, „იხვებმა" აამუშავეს აქამდე სრულიად მკვდარი მეტობის სპეცბრიგადა და ორი შაიბა მაშინ გაიტანეს, როცა ყინულზე მეტოქეზე ერთით მეტი ჰოკეისტი ჰყავდათ.

სხვათა შორის, ერთ-ერთი გოლი იმის ანგარიშზეა, ვინც შემადგენლობაში პრონგერის ადგილი დაიკავა — რიკ ჯეკმანმა კარიერაში პირველი საპლეიოფო შაიბა გაიტანა. გამოიღვიძა აქამდე მიჩუმებულმა „იხვების" უპირველესმა სნაიპერმა ტეემუ სელიანემაც. „ფინურმა ელვამ" გოლითა და საგოლე პასით ლომის წილი დაიდო მიჩიგანური გუნდის წაქცევაში.

მომდევნო შეხვედრა კვირას დეტროიტში გაიმართება, სადაც ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი. „ანაჰაიმის" მოგების შემთხვევაში კალიფორნიელებს საქმის მალევე მოთავების დიდებული შანსი ექნებათ, ხოლო თუ მასპინძლებმა იხეირეს, მაშინ ალბათ ყველაფერი მეშვიდე მატჩში გაირკვევა.

**ბახა ლომჯუშვილი**

## ხელბურთი

# საქართველოს მე-17 ჩემპიონატი
### კაცები. მესამე ადგილისთვის. საპასუხო მატჩი

18 მაისი

**იმედი 28:29 *ქარიშხალა* (23:32)**

**იმედი:** გონჩაროვი, ვახანია, ქარდავა (გაიტანა 8 გოლი), მაისურაძე (7), ყაველაშვილი (7), ქლენტი (2), ლომიძე (2), თეთრუაშვილი (1), ბერიაშვილი (1), ბიდოდაშვილი, კერესელიძე

**ქარიშხალა:** გიგა ტორონჯაძე, ქანთარია, სხიერელი (9), ჯიშკარიანი (6), მელქოშვილი (4), ოთარ ამირანაშვილი (4), ზაალიშვილი (4), ჯორბენაძე (2), ირაკლი ტორონჯაძე, ჯოხარიძე, ალეკო ამირანაშვილი, ფერაძე, ხურციძე, ჩიხლაძე

*მსაჯები:* ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი

*დელეგატი:* თამაზ ჩხარტიშვილი

## ბრინჯაო ქარიშხალმა წაიღო

პირველი საბრინჯაოსმედლო შეხვედრის ცხრა ბურთით წაგების შემდეგ, ბუნებრივია, „იმედი" სარევანშო იმედით ვერ იქნებოდა ამ უზარმაზარი პასივის გამო.

თუმცა მასპინძლებმა ჯემალ ცერცვაძის სახელობის ცენტრის „ქარიშხალას" ბიჭებს თავიდანვე ენერგიულად შეუტიეს და მალე საგრძნობლადაც დაწინაურდნენ — 6:3, 7:4, მაგრამ გლდანელებმა იქვე გაუთანაბრეს — 8:8, მერე კი წინაც გავიდნენ და ტაიმი ოთხქულიანი სხვაობით მოიგეს — 17:13.

ერთი სიტყვით, მე-17 ეროვნული ჩემპიონატის მესამე ადგილის მფლობელის ვინაობაც გარკვეული ჩანდა. იმედელთა სასახელოდ, მათ ბოლომდე არ დაუყრიათ ფარ-ხმალი, თუმცა საფინალო სასტვენამდე მხოლოდ მინიმალურ სხვაობამდე შეძლეს ჩამორჩენის შემცირება.

ამრიგად, „ქარიშხალამ" ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

## ველორბოლა

# 90-ე ჯირო დიტალია
### 12 მაისი — 3 ივნისი

Giro d'Italia

## რობერტ ფორსტერის მესამე ფინიში



მონტევერჯინე დი მარკოლიანოს სამთო ეტაპის შემდეგ 90-ე „ჯიროს" მონაწილეებს სულის მოთქმის საშუალება მიეცათ და მეხუთე ეტაპზე, ტეანოსა და ფრასკატის შორის 173 კილომეტრი მეტნაკლებად დაბლობზე იყო გაჭიმული.

რუსმა მიხაილ იგნატიევმა და ფრანგმა მიშელ ბუფაზმა სცადეს პელოტონიდან გაქცევა და კარგა ხანს ლიდერობდნენ კიდეც, მაგრამ ბოლოსკენ ველოქარავანმა მაინც ჩაყლაპა წინ მყოფნი და ფრასკატის ქუჩებში ჯგუფური ფინიში შედგა, რომელშიც საფინიშო საქმის აღიარებულ ოსტატებს — იტალიელ ალესანდრო პეტაკის, ავსტრალიელ რობი მაკივენსა და ნორვეგიელ ტორ ჰუსჰოვდს 29 წლის გერმანელმა რობერტ ფორსტერმა აჯობა და დიდ ველოტურებზე („ჯირო", „ტური", „ვუელტა") კარიერაში მესამე გამარჯვება მოიპოვა.

**მე-5 ეტაპი. ტეანო — ფრასკატი. 173 კმ**

| | |
|---|---|
| 1 რობერტ ფორსტერი (გერმანია, „გეროლშტაინერი") | 4 სთ17 წთ 02 წმ |
| 2 ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, „კრედიტ აგრიკოლი") | |
| 3 ალესანდრო პეტაკი (იტალია, „მილრამი") | |
| 4 დანილო ნაპოლიტანო (იტალია, „ლამპრე") | |
| 5 რობი მაკივენი (ავსტრალია, „ლოტო") | *ყველას იგივე დრო* |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1 დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი") | 18 სთ43 წთ12 წმ |
| 2 ფრანკო პელიცოტი (იტალია, „ლიქუიგასი") | +26 წმ |
| 3 ანდრეა ნოე (იტალია, „ლიქუიგასი") | +35 წმ |
| 4 ვინჩენცო ნიბალი (იტალია, „ლიქუიგასი") | +35 წმ |
| 5 ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | +53 წმ |

## ძიუდო

# ქართულ ტატამზე ევრო დაიყურება
### ვიზერმა 2009 წელი დაადასტურა

**ევროპის** ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი მარიუს ვიზერი თბილისს ორდღიანი ვიზიტით-ისე ესტუმრა, საქართველოს ძიუდოს ფედერაციას საგანგებო პრესკონფერენცია რომ არ მოეწყო, ბევრი ვერც გაიგებდა. დაუგეგმავი ვიზიტის მიზეზად 2009 წელს თბილისში ჩასატარებელი ევროპის ჩემპიონატი დასახელდა.



ევროძიუდოს პირველკაცმა ქართველთათვის ტურნირის მასპინძლობის უფლება ოფიციალურად დაადასტურა და ფედერაციის ჩინოსნებთან ერთად სპორტის სასახლეში მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოებიც დაათვალიერა.

პრესკონფერენციის დიდი ნაწილი ვიზერმა ჩვენი ძიუდოს და ზოგადად, საქართველოს თუ ქართველების ქება-დიდებაში გაატარა. ქვეყნის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან წლებისწინანდელ შეხვედრასაც კი გადასწვდა და აღტაცებით ისაუბრა. კითხვას არც დალოდებია და გასულ შემოდგომაზე თბილისისთვის ჩამორთმეული ევროპის საკლუბო ჩემპიონატიც, გაიხსენა და ლამის ბოდიშებად დაიღვარა. ევროპრეზიდენტის სიტყვამდე კი პრესკონფერენცია საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა *დილარ ხაბულიანმა* გახსნა.

— მარიუს ვიზერის ვიზიტი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია. ძიუდოს ევროპის ფედერაციის პრეზიდენტი ჩამოვიდა, რათა თავად ნახოს, რა მდგომარეობაშია ქართული ძიუდო და როგორ მიდის 2009 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება. ამ დონის ტურნირი ქართული სპორტის ისტორიაში, ჯერ არასოდეს ჩატარებულა და უფლება რომ მოვიპოვეთ, ეს მნიშვნელოვანწილად, სწორედ ევროპის ფედერაციის და პირადად ბატონი ვიზერის მხარდაჭერის შედეგია.

**მარიუს ვიზერი:** მადლობა ამ თბილი სიტყვებისთვის და იმ მხარდაჭერისთვისაც, რომელიც ქართველებისგან საპრეზიდენტო არჩევნებში მივიღე. საქართველოს ძიუდოს ფედერაციასთან და, კონკრეტულად, ქართველ ძიუდოისტებთან ჩემი მეგობრული ურთიერთობა დიდი ხნის წინ ჩამოყალიბდა. სპორტის ამ სახეობაში მსოფლიოში აშკარად გამორჩეულნი ხართ და მეგობრობას რომ თავი დავანებოთ, განსაკუთრებული საქმიანი ურთიერთობაც თავისთავად განვითარდებოდა. აღტაცებული ვარ თქვენი ქვეყნით და კონკრეტულად თქვენი პრეზიდენტით, რომელთან შეხვედრამაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

-ვიცი, ამ კითხვას ვერ გავექცევი და სჯობს, შარშანდელი ევროპის საკლუბო ჩემპიონატის ფინალი ჩემით გავიხსენო. სამწუხაროდ, იმ პერიოდში ქართულ-რუსული ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა და რუსებმა ოფიციალურად მოგვმართეს, საქართველოში ვერ ჩავალთ და ფინალი სანქტპეტერბურგში გადმოიტანეთო. რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, მოგეხსენებათ, ევროპის ძიუდოს ფედერაციის საპატიო პრეზიდენტიცაა და თხოვნა პირადად მისგანაც მოდიოდა. ყველაფრის მიუხედავად, მე კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, თბილისი სანქტპეტერბურგით ჩანაცვლებულიყო და ბოლოს ბუდაპეშტის ვარიანტი შევარჩიეთ. დამიჯერეთ, ეს მაშინ ერთადერთი გამოსავალი იყო. იმედია, ის ინციდენტი ჩვენს ურთიერთობას არ დაარღვევს.

...მნიშვნელოვანია, რომ 2009 წელს ევროპის ჩემპიონატი თბილისში ჩატარდება. ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია და ტურნირს ველარავინ წაგართმევთ, თუნდაც რუსებმა საპროტესტო ნოტებით აგვავსონ. მასპინძლობის უფლებას ულაპარაკოდ იმსახურებთ და ყველანაირად დაგეხმარებით. ევროპის ფედერაცია საორგანიზაციო საკითხებშიც თქვენს გვერდით იქნება და ტურნირის ტექნიკურ უზრუნველყოფაშიც ხელს გაგიმართავთ.

...უახლოესი დიდი საერთაშორისო ტურნირი სექტემბერში, რიო დე ჟანეიროში ჩასატარებელი მსოფლიოს ჩემპიონატია. მომავალ წელს კი ოლიმპიური თამაშები გველის და ქართველ ძიუდოისტებს ორ და სხვა ტურნირებშიც წარმატებას ვუსურვებ.

ნაპრესკონფერენციევს ევროპული და ქართული ძიუდოს შეფები სპორტის სასახლეში მიმდინარე სამუშაოების დასათვალიერებლად ერთად გაეშურნენ.

თბილისი კი ვიზერმა ამ დილით დატოვა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## სუმო

# კოკაის ლილიპუტური ბალანსი
### გულივერმა ქართველი შავ ზღვაში გადააგდო

**მაისის** ბაშოს მეექვსე ტური ისე ჩატარდა, არც ლიდერთა შეიდეულს გამოჰკლებია ვინმე და არც ჩვენებურ კოკაის აულია პირველი ქულა. ლევან ცაგურიას „ბალკანელ გულივერად" წოდებულმა 202-სანტიმეტრიანმა ბულგარელმა ოძეკიმ, კოტოოსიუმ სძლია და უარყოფითი ბალანსი ექვს ქულამდე გაუმინუსა. არადა, ასე ახლოს გამარჯვებასთან კოკაი კოკუგიკანურ ბაშოზე ჯერ არ ყოფილა. მძლავრი ბიძგით ქართველმა ექსკომუსუბიმ ერთი თავით მაღალი მოწინააღმდეგე დოჰიოს ხაზამდე გაიყვანა, მაგრამ მოულოდნელად ინიციატივა დათმო და უმალ კონტრილეთზე წამოეგო.

დღეს ცაგურია კოტოსიოგიკუსთან შეეცდება სამაისო ანგარიშის გახსნას, თუმცა სერიოზულად რომ გაუჭირდება, სტატისტიკიდანაც ნათლად ჩანს — აქამდე კოკაის ამ დევკაცთან ერთხელაც არ მოუგია.

ბოლოს ექვსქულიანთა ოქტეტსაც შევახსენებთ: იოკოძუნა ასასიორიუ, ოძეკები: ხაკუხო, კაიო და ტიოტაიკაი და რიგითი მაეგაშირები: ასასეკირიუ, დეძიმა და ფუტენო.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## ჭადრაკი

### M-TEL MASTERS-ის ტურნირი

სოფია. ბულგარეთი. 9-20 მაისი

**VII ტური**

| | | |
|---|---|---|
| შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) | 0:1 | კრიშნან საშიკირანი (ინდოეთი) |
| მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 0,5:0,5 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| გატა კამსკი (აშშ) | 0,5:0,5 | ლივიუ-დიტერ ნისიპეანუ (რუმინეთი) |

**სატურნირო მითარება**

| | | |
|---|---|---|
| 1. | კრიშნან საშიკირანი | 4,5 |
| 2. | ვესელინ ტოპალოვი | 3,5 |
| 3. | შაჰრიარ მამედიაროვი | 3,5 |
| 4. | მაიკლ ადამსი | 3,5 |
| 5. | ლივიუ-დიტერ ნისინიანუ | 3,0 |
| 6. | გატა კამსკი | 3,0 |


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ღოღრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge